პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

10 აპრილი **შაბათი** 2010

№082 (13070) ფასი 60 თეთრი

რეალი VS ბარსელონა

დღეს 00:00

# ვინ გააჩერებს მესის?

## ელ კლასიკო იბრაჰიმოვიჩისა და კაკას გარეშე



წინათქმა

» გვერდი 6

2009 წლის 29 ნოემბერი. ბარსელონა-რეალი 1:0. მარცხნიდან: პეპე, მესი და ჩაბი ალონსო



## ლევერკუზენის ბოლო შანსი

» გვერდი 9



» გვერდი 8

## მილანი და რომა ფიორენტინას მზეს ფიცულობენ

# ზესტაფონმა დერბიში აიწყვიტა


ზესტაფონის სტადიონს დავით აბაშიძის სახელი ეწოდა

09.04. ზესტაფონი. დ. აბაშიძე. 3 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ზესტაფონი | 5 |
| სამტრედია | 1 |

1:0 ძარია (33), 2:0 ბენაშვილი (41), 2:1 ტყემალაძე (56), 3:1 დვალი (58. ჩიხლაძის პასით), 4:1 კორლალიძე (60. გორგიაშვილის პასით), 5:1 გორგიაშვილი (79. ჩიხლაძის პასით)

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე - კობახიძე (57. ცხადაია), გ. ონიანი, გამეზარდაშვილი, ელიავა - ბენაშვილი, დაუშვილი, ძარია (51. ჩიხლაძე), გორგიაშვილი (80. ლომია) - კორლალიძე - დვალი.

*სათადარიგოები: მამალაძე, მაკარიანი, ჭანკოტაძე, გენაძე*

სამტრედია: შენგელია - კუპრეიშვილი, გოგია, კირთაძე, ნინუა - ჩომახიძე, ილურიძე (46. ბარამიძე), ბაკურაძე, ჩალაძე (46. შ. ფირცხალავა) - ტყემალაძე - ზ. ხაჭიპერაძე (46. სამსეიშვილი).

*სათადარიგოები: ბანძავა, ეცადეიშვილი, ლომიძე, დვალიშვილი*

გაფრთხილება: სამსეიშვილი (49), ცხადაია (70)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

ამ ბოლო დროს „ზესტაფონმა“ ბევრი მნიშვნელოვანი ქულა გაანიავა და მდგომარეობის გამოსასწორებლად რიგით მეოთხე იმერულ დერბიშიც გამარჯვება ესაჭიროებოდა. ამ გუნდების წინა სამი დაპირისპირება ფეროელთა სასარგებლოდ დასრულდა და მიუხედავად ზესტაფონელთა ბოლოდროინდელი არასტაბილურობისა, წყვილში ფავორიტებად მაინც ისინი მოიაზრებოდნენ.

ვიდრე მატჩის პერიპეტიებზე გადავალთ, ერთ სიახლეზე უნდა გავამახვილოთ თქვენი ყურადღება. გუშინ 40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც „ზესტაფონის“ ყოფილი გენერალური დირექტორი **დავით აბაშიძე** გარდაიცვალა. საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, კლუბის ხელმძღვანელობამ ქალაქის ცენტრალურ სტადიონს მისი სახელი მიანიჭა. მატჩის დაწყებამდე დიქტორმა ეს ამბავი სტადიონზე შეკრებილ გულშემატკივრებს ამცნო, რასაც ოვაციები და აპლოდისმენტები მოჰყვა...

წვიმის, სიცივის და გვიანი მატჩის მიუხედავად, ზესტაფონის განათებულ არენაზე საკმაოდ ბევრი გულშემატკივარი შეიკრიბა. 200-მდე ერთგული ფანი „სამტრედიასაც“ ჩამოჰყვა. მატჩის მიმდინარეობისას წვიმამაც გადაიღო და მინდორიც საკმაოდ კარგ მდგომარეობაში იყო. მოკლედ, ყველანაირი წინაპირობა იყო, რომ გუნდებს კარგი ფეხბურთი გაეჩალებინათ... თავიდანვე ვიტყვით, რომ მაყურებლებს მართლაც არ მოუწყენიათ, ისინი საკმაოდ დინამიკური და, რაც მთავარია, უხვგოლიანი თამაშის მომსწრენი გახდნენ.

„ზესტაფონი“ იმერულ დერბის სერიოზული დანაკლისით შეხვდა. დისკვალიფიკაციის გამო გუნდს წამყვანი ფეხბურთელები - **აფციაური, გელაშვილი, ხიდეშელი** და **წინამძღვრიშვილი** აკლდნენ. მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა თავიდანვე მოიპოვეს უპირატესობა და მე-13 წუთზე რეალური საგოლე მომენტიც შექმნეს, თუმცა **გორგიაშვილის** უაღრესად სახიფათო დარტყმის შემდეგ სტუმრები ძელმა იხსნა. ზემოიმერლებს სამტრედიელებიც არ ჩამორჩნენ და 23-ე წუთზე მათ ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა მიეცათ. **ზაურ ხაჭიპერაძე** მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, თუმცა 100-პროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენა - ბურთი კარს ააცილა.

ხუთიოდე წუთში კვლავ საპირისპირო კართან „ჩამოცხა“, **ბენაშვილის** მიერ ფლანგიდან ჩამოწოდებულ ბურთს **დვალმა** თავური დარტყმა მიაყოლა და სამტრედიელები კვლავ ძელმა იხსნა. ფეროელთა აქტიურობამ შედეგი 33-ე წუთზე გამოიღო. ძარია საჯარიმოს მისადგომებს მიუახლოვდა და უძლიერესი დარტყმით **შენგელიას** მარჯვენა კუთხეში გაუტანა - 1:0.

ცოტა ხანში **გია გეგუჩაძის** ბიჭებმა ანგარიშს უფრო სოლიდური სახე მისცეს. მას შემდეგ, რაც **კორლალიძემ** კარგად გაატარა ბურთი, ბენაშვილი მარცხენა ფლანგიდან მიუახლოვდა საჯარიმოს და კარის მიმართულებით უძლიერესად დაარტყა, ბურთმა ჯერ სამტრედიელთა ხარიხა „მოიკითხა“, ხოლო შემდეგ ბადეშიც აფართხალდა - 2:0.

შესვენების შემდეგ სამტრედიელთა რიგებში სამმაგი ცვლილება მოხდა. **ილურიძის, ჩალაძისა** და **ხაჭიპერაძის** ნაცვლად მოედანზე **ბარამიძე, ფირცხალავა** და **სამსეიშვილი** გამოჩნდნენ. „ახალმა სისხლმა“ სტუმრებზე თავდაპირველად დადებითად იმოქმედა. 56-ე წუთზე **ვაკო ტყემალაძე** მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, პირველი დარტყმა **კვასხვაძემ** კი მოიგერია, მაგრამ ბურთი ისევ ტყემალაძეს დარჩა და ანგარიში შეამცირა - 2:1.

ამან „ზესტაფონი“ გამოაფხიზლა და ფეროელთა შეჩერება შეუძლებელი გახდა. გოლის ავტორთა გარდა, განსაკუთრებით შეცვლაზე შესული **ნიკოლოზ ჩიხლაძისა** და **ზაალ ელიავას** თამაშია გამოსარჩევი. მართალია, მათ გოლი არ გაუტანიათ, მაგრამ ძალიან სასარგებლოდ გაისარჯნენ და საგოლე კომბინაციაშიც მიიღეს მონაწილეობა. 58-ე წუთზე ელიავამ მარცხენა ფლანგზე გაიბრწყინა, რასაც საჯარიმოში ჩაწოდება მოჰყვა, იქ კი ჩიხლაძემ კარგად გახსნილი **დვალი** მოძებნა და ზესტაფონელთა ფორვარდს სამტრედიელთა დამწუხრება არ გასჭირვებია - 3:1.

მე-60 წუთზე მორიგი საგოლე კომბინაციაც ელიავამ წამოიწყო. მისი ფლანგური ჩაწოდების შემდეგ გორგიაშვილმა კორლალიძე მოძებნა და ანგარიში 4:1 გახდა. სამტრედიელთა რბევას წერტილი გორგიაშვილმა დაუსვა. მე-80 წუთზე, დაუშვილის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ, ჩიხლაძემ გორგიაშვილს მიაწოდა, თორნიკე სამ მეტოქეს გაუსწორდა და შენგელიას აუღებელი დაურტყა - 5:1.

ამ გამარჯვებით „ზესტაფონმა“ სატურნირო ცხრილში კვლავ მეორე ადგილზე აინაცვლა, თუმცა რამდენი ხნით, ეს დღეს, „დინამო“-“სიონის“ მატჩის შემდეგ გახდება ცნობილი...

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი* | 28 | 20 | 6 | 2 | 56-14 | 63 |
| 2. ზესტაფონი | 29 | 16 | 9 | 4 | 48-23 | 57 |
| 3. დინამო | 28 | 16 | 7 | 5 | 42-15 | 55 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 28 | 13 | 10 | 5 | 37-26 | 49 |
| 5. სპარტაკი | 28 | 8 | 9 | 11 | 32-44 | 33 |
| 6. სამტრედია | 29 | 8 | 7 | 14 | 36-55 | 31 |
| 7. სიონი | 28 | 6 | 12 | 10 | 20-32 | 30 |
| 8. ბაია | 28 | 5 | 8 | 15 | 22-36 | 23 |
| 9. ლოკომოტივი | 28 | 3 | 10 | 15 | 13-35 | 19 |
| 10. გაგრა | 28 | 3 | 6 | 19 | 22-48 | 15 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| აკიძე (ოლიმპი) | **26 (10პენ.)** |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | **15 (1პენ.)** |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | **11 (1პენ.)** |

**ოლიმპს დაკლებული აქვს 3 ქულა. ზესტაფონი-ოლიმპის მატჩში ორივე გუნდს ჩაეთვალა წაგება 0:3*

**დღეს**

**ვიტ ჯორჯია-გაგრა**

10.04. რუსთავი. ფოლადი

**16:00**

წინა მატჩები: 0:4, 5:1, 1:0

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი. ასისტენტები: კ. ტეფნაძე, დ. კურტანიძე; მეოთხე მსაჯი: ო. ხეცაძე

**სპარტაკი-ბაია**

10.04. გორი. ქართლი

**16:00**

წინა მატჩები: 1:0, 1:4, 2:0

არბიტრი: ლ. სილაგავა. ასისტენტები: გ. ჩიგოგიძე, ი. უკლება; მეოთხე მსაჯი: ა. ნონიკაშვილი

**დინამო-სიონი**

10.04. თბილისი. ეროვნული

**16:30**

წინა მატჩები: 0:0, 0:2, 1:0

არბიტრი: ვ. გუმბერიძე. ასისტენტები: ზ. ფიფია, ზ. მენთეშაშვილი; მეოთხე მსაჯი: თ. გვანცელაძე

*Live პირველ არხზე*

**ხვალ**

**ლოკომოტივი-ოლიმპი**

11.04. თბილისი. ამერი

**16:00**

წინა მატჩები: 1:2, 1:3, 0:2

არბიტრი: მ. ბუუქლიშვილი. ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, ლ. მიქელაძე; მეოთხე მსაჯი: ა. კრიჭაშვილი

**საქართველოს თასი**

**14 აპრილი. ოთხშაბათი**

| | |
|---|---|
| დინამო-სპარტაკი | (0:0) |
| ვიტ ჯორჯია-მარტვილი | (0:1) |

**მომდევნო ტური**

**17 აპრილი. შაბათი**

სამტრედია-ოლიმპი
გაგრა-ზესტაფონი

**18 აპრილი. კვირა**

ლოკომოტივი-ბაია
სპარტაკი-დინამო
სიონი-ვიტ ჯორჯია

**დიდი კაპიტანი**

## ჩივაძე საუკუნის წიგნში

8 აპრილს ლეგენდარულ **ალექსანდრე ჩივაძეს** 55 წელი შეუსრულდა. ქართულმა საფეხბურთო საზოგადოებამ იუბილარს სხვადასხვა სახის საჩუქარი გაუკეთა. აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის საჩუქარი ორიგინალურია - ალექსანდრე ჩივაძე „საუკუნის წიგნში“ შეიტანეს.

*„აზრი ვკითხეთ ჩვენი რეგიონული ფედერაციის აღმასკომის წევრებს და გადაწყვეტილებაც ამის შემდეგ მივიღეთ. კერძოდ, დევნილობაში აფხაზეთის ფეხბურთის შენარჩუნებისა და განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, საპატიო წიგნში - „აფხაზეთის ფეხბურთის საუკუნის მემატიანე“, შეტანილი იყოს ბატონ ალექსანდრე ჩივაძის სახელი. ვფიქრობ, ეს წიგნი ათწლეულებს გაუძლებს და როცა მას მომავალი თაობები გადაფურცლავენ, სხვა დასაფასებელ პიროვნებათა გვერდით ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის გვარ-სახელსაც ამოიკითხავენ. მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ ჩვენი ფეხბურთის ისტორია. ჩივაძე სწორედ ის გამორჩეული ფიგურაა, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ჩვენი ფეხბურთის განვითარებასა და იმიჯის შექმნაში. ჩივაძე ახლა ნაკრები გუნდების კოორდინატორია და ვუსურვებთ, ამ პოსტზე მუშაობისას წარმატებებისთვის მიეღწიოს“,* - აღნიშნა აფხაზეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის თავკაცმა **მურად ანჯაფარიძემ**.

**დავით ცაბაძე**

**ლეგიონი**

## დევდარიანი 3 კვირას დაისვენებს

დანიის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ორჰუსის“ ქართველმა შემტევმა **დავით დევდარიანმა** მუხლი დაიზიანა. ჩვენებურმა ტრავმა მე-11 წუთზე მიიღო და „რანდერსთან“ თამაში ველარ განაგრძო. მაშინვე ცხადი იყო, რომ დავითის ტრავმა სერიოზული იყო, ექიმებს ეჭვი ჯვარედინი იოგების დაზიანებაზე ჰქონდათ. რაც დადასტურდა კიდეც, თუმცა დაზიანება შედარებით მსუბუქია და ის, სულ მცირე, სამ კვირას გამოტოვებს. ასე რომ, სეზონის დასრულებამდე დევდარიანი თამაშს კიდევ მოასწრებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ქართველებმა გაიმარჯვეს

გერმანიის მეორე ბუნდესლიგის მორიგი ტური გუშინ დაიწყო. „მიუნხენ 1860“-მა ბილეფელდის „არმინიას“ უმასპინძლა და 3:1 გაიმარჯვა. **მათე ღვინიანიძემ** მიუნხენელთა დაცვის ცენტრში შეუცვლელად ითამაშა. ქართველის გუნდმა გამარჯვების მიუხედავად, სატურნირო ცხრილში პოზიცია ვერ გაიუმჯობესა და კვლავ მე-7 ადგილზეა. „ცისფერ ლომებს“ პირველ ბუნდესლიგაში გადასვლის მიზერული შანსიღა დარჩათ.

უკრაინის ჩემპიონატის ტური ზაპოროჟიეს „მეტალურგისა“ და „ობოლონის“ შეხვედრით გაიხსნა. მასპინძლებმა 2:1 მოიგეს, **ირაკლი მოდებაძე** კი „მეტალურგის“ შემადგენლობაში 79-ე წუთიდან გამოჩნდა. ამ დროისთვის მატჩის საბოლოო ანგარიში უკვე დაფიქსირებული იყო. ზაპოროჟიელები ცხრილში მე-9 საფეხურზე იმყოფებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ადამიას ყარაბახში მოსწონს

აზერბაიჯანულ პრესასთან საუბარში აგდამის „ყარაბახის“ ქართველმა შემტევმა **გიორგი ადამიამ** განაცხადა, რომ ამ კლუბში ყველაფერი აკმაყოფილებს და იქ დიდი ხნის განმავლობაში სიამოვნებით ითამაშებდა.

*„აქ ყველაფერი მომწონს. დიდი ხანი არაა, რაც „ყარაბაღში“ ვარ, მაგრამ ადაპტაცია უკვე გავიარე და თავს გუნდის სრულფასოვან წევრად ვგრძნობ. დიდი მადლობა კლუბის ხელმძღვანელობასა და სამწვრთნელო შტაბს, რომლებმაც ჩემი შესაძლებლობებისა ბოლომდე ირწმუნეს და დიდი ნდობა გამომიცხადეს. გარკვეული პერიოდი გამიცდა და ამიტომაც ოპტიმალურ ფორმაში არ ვარ, მაგრამ ძველ კონდიციებს მალე დავიბრუნებ და „ყარაბაღისთვის“ უფრო სასარგებლო ფეხბურთელი გავხდები. იმედი მაქვს, ჩემპიონატის დასრულებამდე ცოტა დროღა დარჩა, მაგრამ იმედია, ამას მიმდინარე სეზონშივე მოვასწრებ“,* - ამბობს ადამია.

მან იქვე დასძინა, რომ შეთავაზების შემთხვევაში, კლუბთან კონტრაქტს აუცილებლად გააგრძელებს. შეგახსენებთ, ადამია „ყარაბაღში“ „ბაქოდან“ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გადავიდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**U 15**

## პირველი შეკრება მთავრდება

საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრები 13 აპრილს შეკრებას ასრულებს. როგორც იცით, გუნდი, რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია, ამჟამად ზუგდიდის „ბაიას“ ბაზაზე იმყოფება, სადაც დღეში ორჯერ ვარჯიშობს. უკვე ტრადიციად იქცა, რომ იქ მყოფ სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებს იდეალურთან მიახლოებული საწვრთნელი პირობები აქვს შექმნილი და გამონაკლისი არც ეს შემთხვევაა.

**გელა შეყილაძის** გუნდმა პირველი საკონტროლო მატჩი 30 მარტს ჩაატარა აჭარა-გურიის თანატოლთა გაერთიანებულ ნაკრებთან და 5:0 გაიმარჯვა. **ბარამიძემ** დუბლი შეასრულა, თითო გოლი **მალანიამ, მაისურაძემ** და **ქვარიამ** გაიტანეს.

3 აპრილს 15-წლამდელთა ნაკრები იმერეთის ნაკრებს შეხვდა და **ეგუტიძისა** და **კანდელაკის** გოლებით 2:0 გაიმარჯვა; 8 აპრილს კი შეყილაძის გუნდის მეტოქე „ბაიას“ 16-წლამდელები იყვნენ. მატჩი ზუგდიდელებმა 1:0 მოიგეს. ყველა ეს შეხვედრა „ბაიას“ ბაზის ხელოვნურსაფარიან მოედანზე გაიმართა. შემდეგ მატჩს 15-წლამდელთა ნაკრები ხვალ მარტვილელ თანატოლებთან ჩაატარებს, შეკრების დასკვნით შეხვედრას კი 13 აპრილს სამეგრელოს ნაკრებთან გამართავს. ზუგდიდური შეკრება სწორედ ამ დღეს დასრულდება.

ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა ამ ეტაპისთვის დაგეგმილი სამუშაოები სრულად განახორციელა. შეკრებამ შეფერხებების გარეშე ჩაიარა. იმის მიუხედავად, რომ დასავლეთ საქართველოში ჯერ ქარი იყო, შემდეგ კი უხვი ნალექი, ნაკრებს ერთი ვარჯიშიც არ გასცდენია.

ნაკრების საბოლოო ჩამოყალიბებამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა დარჩენილი. გუნდის სამწვრთნელო შტაბი ნაკრებისთვის საჭირო ფეხბურთელებს საქართველოს ყველა რეგიონში ეძებს. შემდეგი შეკრება მაისისთვისაა დაგეგმილი. ორი წლის შემდეგ ამ ასაკის ფეხბურთელებისგან შემდგარ გუნდს 17-წლამდელთა ნაკრების სტატუსი ექნება და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაერთვება. საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრების შესახებ „ლელოს“ უახლოეს ნომრებში უფრო ვრცლად გიამბობთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უნიკალური უნივერსალი

**გასული საუკუნის 60-80-იანი წლების ცნობილ ქართველ ფეხბურთელს და შემდგომში არანაკლებ ტიტულოვან და წარმატებულ მწვრთნელს, რევაზ ძოძუაშვილს დღეს იუბილე აქვს - 65 წელი შეუსრულდა!**

**...რევაზ ძოძუაშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, მხოლოდ ქართულ ფეხბურთში კი არა, საერთოდ, მაშინდელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, უნივერსალიზმის ცნება რომ დაამკვიდრა; თავად განსაჯეთ: ახალგაზრდობაში წარმატებულ ცენტრფორვარდად მიიჩნეოდა, მარცხენა და მარჯვენა გარემარბადაც უთამაშია, ნახევარდაცვაშიც გამოუყენებიათ მისი უნივერსალური თვისებები და სამი სეზონის განმავლობაში კი მარცხენა მცველი გახლდათ; თუმცა, საყოველთაო აღიარებას მაშინ მიაღწია, დაცვის მარჯვენა ფლანგზე რომ დააყენეს - შვიდი-რვა წლის განმავლობაში ამ პოზიციაზე თბილისის „დინამოშიც" და საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც უკონკურენტო იყო!**

**რევაზ ძოძუაშვილს ქუთაისის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში 300-ზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული, ოთხჯერ ბრინჯაოს მედალს დაეუფლა, შვიდჯერ დაასახელეს „33 საუკეთესოთა" შორის (აქედან, ოთხჯერ - პირველ ნომრად); ხუთი წელიწადი საბჭოთა კავშირის ნაკრებში თამაშობდა და 49 მატჩი ჩაატარა; ეგ კი არა, რევაზ ძოძუაშვილს მართლაც უნიკალური მიღწევა ეკუთვნის - იმ იშვიათ ფეხბურთელთა კატეგორიას მიეკუთვნება, სამივე უდიდესი გათამაშების (მსოფლიოს ჩემპიონატი, ევროპის ჩემპიონატი, ოლიმპიადა) ფინალურ ეტაპზე რომ უასპარეზიათ. ეგ კი არა, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის და ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლითაც იწონებს თავს; სწორედ სანაკრებო დონეზე გაითქვა საქვეყნოდ სახელი, როცა თავის ფლანგზე გასაქანს არ აძლევდა 70-იანი წლების მსოფლიო ფეხბურთის აღიარებულ ფორვარდებს - ჯაირსა თუ ლუბანსკის, ჟაირზინიოსა თუ პაულუ ცეზარს. მაგრამ განსაკუთრებული და დასამახსოვრებელი მაინც ბრიტანული ფეხბურთის ლეგენდასთან, ჯორჯ ბესტთან დაუვიწყარი პაექრობებია. „მანჩესტერ იუნაიტედისა" და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების მართლაც განუმეორებელ ვარსკვლავს ისე არასდროს გასჭირვებია რომელიმე მცველთან თამაში, როგორც - რევაზ ძოძუაშვილთან! 1969 წლის 10 სექტემბერს, ბელფასტის „უინძორ პარკზე" შეკრებილი 40000 ადგილობრივი ქომაგი გაოგნებული უცქერდა იმ დროისათვის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისა და ქართველი მცველის დაუსრულებელ „დუელს"; მაგრამ, 90 წუთის განმავლობაში ბესტმა ვერაფერი გააწყო რევაზ ძოძუაშვილის წინააღმდეგ - ასეთი რამ კი მანამდე არავისთან მომხდარა...**

**რევაზ ძოძუაშვილმა საფეხბურთო კარიერა შედარებით ადრეულ ასაკში, 31 წლისამ დაამთავრა; იმის შემდეგ მეტ-ნაკლები წარმატებით საქართველოს რამდენიმე გუნდში მუშაობდა. მერე, სულაც... მსაჯობდა კიდეც. თუმცა, მშობლიური „ტორპედოს" დასახმარებლად რომ დაუძახეს, უარი ვერ თქვა და კვლავაც სამწვრთნელო ასპარეზს დაუბრუნდა. 1988 წელს „ტორპედო" სწორედ ძოძუაშვილის ხელმძღვანელობით გადავიდა საკავშირო პირველ ლიგაში; მალე საქართველოს ეროვნული ჩემპიონატიც დაიწყო და ამ ოცი წლის განმავლობაში სხვადასხვა გუნდთან უამრავი ტიტულიც მოიპოვა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საქართველოს ჩემპიონობა სამ სხვადასხვა გუნდთან („დინამო", „ტორპედო", „ოლიმპი") მოიპოვა; იმავეს თქმა შეიძლება თასზეც, ასევე სამ სხვადასხვა გუნდს („დინამო", „ტორპედო", „ლოკომოტივი") რომ მოაპოვებინა. ერთი პერიოდი დავით ყიფიანთან ერთად საქართველოს ნაკრებსაც ხელმძღვანელობდა; ამას გარდა, საკმაოდ ნაყოფიერი სამწვრთნელო კარიერა ჰქონდა უკრაინაში, რუსეთში, ლატვიასა და ყაზახეთში. განსაკუთრებით კი ლატვიური პერიოდი გვინდა აღვნიშნოთ - ამ ქვეყანაში ფეხბურთის აღმავლობა სწორედ ქართველი მწვრთნელის წარმატებულ მუშაობას უკავშირდება.**

**...სამწუხაროდ, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჩანდეს, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და ტიტულოვანი ქართველი მწვრთნელი დღესდღეობით, ფაქტობრივად, უმუშევარია. კი, პირველი ლიგის ერთ-ერთი მოკრძალებული მიზნების მქონე გუნდში სულ ახლახან კონსულტანტის სტატუსით მივიდა, მაგრამ ასეთი გამოცდილი სპეციალისტი, ალბათ, უფრო მეტს იმსახურებს. ამის გამო გულისტკენა არც ჩვენთან საუბარში დაუმალავს, თუმცა კი ინტერვიუს დროს სხვა საჭირბოროტო საკითხებსაც შევეხეთ...**



1968 წელი. მიხეილ მესხი (მარცხნივ) და რევაზ ძოძუაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**- ყველა, ძველ თუ ახალ ცნობარში თქვენი დაბადების დღედ 15 აპრილია მითითებული...**

- მერწმუნეთ, 10 აპრილს ვარ დაბადებული. ეტყობა, თავიდანვე შეეშალათ და ასე დარჩა 15 აპრილი დაბადების თარიღად. აი, რაც შეეხება საფეხბურთო კარიერას, ჩემი პირველი გუნდი ქუთაისის „იმერეთი" იყო - 60-იანი წლების დასაწყისში საქართველოს პირველობაზე რომ ასპარეზობდა. სხვათა შორის, ჩემთან ერთად თამაშობდნენ სერგო კუტივაძე და ჯემალ ხერხაძე, მწვრთნელებად კი ჩინებული სპეციალისტები - ჯუმბერ რუსაძე და არჩილ კილაძე მუშაობდნენ.

**- ამის შემდეგ უფრო დიდი მასშტაბის მწვრთნელებთან მოგიწიათ ურთიერთობამ...**

- საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში ცენტრფორვარდის პოზიციაზე ვთამაშობდი და „დინამოს" მაშინდელ მთავარ მწვრთნელს მიხეილ იაკუშინს ისე მოვეწონე, მაშინვე დუბლებში ჩამრიცხა. მერე, ანდრო ჟორდანიას დავალებით ქუთაისის „ტორპედოში" დამაბრუნეს; თუმცა, ჩემი მშობლიური ქალაქის გუნდში არნახული კონკურენცია იყო და სოხუმის „დინამოში" გადავედი. იქაც გამიმართლა, იური გრამატიკოპულოსთან რომ მოვხვდი - ამ მწვრთნელს კიევის „დინამოს" „სკოლა" ჰქონდა გავლილი და მისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. სწორედ გრამატიკოპულომ დამაყენა პირველად მარჯვენა მცველად და მეორე თუ მესამე შეხვედრაში (ბათუმის „დინამოსთან") იმ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დამასახელეს!

**- ანუ, ამპლუა საბოლოოდ შეიცვალეთ?**

- მცველი კი გავხდი, მაგრამ მალე გიგა ნორაკიძემ ქუთაისის „ტორპედოში" მიმიწვია და თბილისის „დინამოში" გადმოსვლამდე... მარცხენა მცველად ვთამაშობდი. არადა, „ტორპედოც" უმაღლეს ლიგაში იყო იმ დროს და თბილისის „დინამოსთან" ერთ-ერთ მატჩში თვით სლავა მეტრეველის მეურვეობამ მომიწია. აი, სწორედ იმ შეხვედრაში მოვეწონე „დინამოს" მაშინდელ მთავარ მწვრთნელს ვიაჩესლავ სოლოვიოვს და 1967 წლის ბოლოს უკვე თბილისში ვიყავი. ამასთან, სოლოვიოვმა საბჭოთა კავშირის ნაკრების ხელმძღვანელობასთანაც რეკომენდაცია გამიწია და ნაკრების კანდიდატთა სიაში მოვხვდი.

**- სათამაშო პოზიციების ასეთი ხშირი ცვლა არ გიძნელდებოდათ?**

- ხომ ამჩნევთ, დღევანდელ ფეხბურთში უნივერსალები როგორ ფასობენ? მე, პირადად, თავდასხმაში ასპარეზობის გამოცდილება ძალიან მეხმარებოდა - ფაქტობრივად, წინდაწინ ვიცოდი, მეტოქის ფორვარდის გასანეიტრალებლად რა უნდა გამეკეთებინა. აი, სულ ახლახან მეგობრებმა მკითხეს: თავის დროზე ბესტს, ჯაირსა და ლუბანსკის ფეხი არ გაანძრევინე და მესის წინააღმდეგ როგორ ითამაშებდიო?..

**- ისე, მართლაც საინტერესოა - ამ გენიალურ ფეხბურთელს ძოძუაშვილი-მცველი რას დაუპირისპირებდა?**

- სამი შესაძლო ვარიანტია: პირველი - პერსონალურად უნდა ეთამაშო, აი, რომ იტყვიან, „ფეხზე აზისო"; მეორე - მეტოქეს თვითონ უნდა მოახვიო თამაშის აგრესიული სტილი და მაქსიმალურად ხშირად გადახვიდე კონტრშეტევაზე, მერე კი მოწინააღმდეგის საჯარიმოსთან რიცხობრივი უპირატესობა მოიპოვო; მესამე - შესაძლოა, დაცვის „ზონური" პრინციპი აირჩიო, ოღონდ მესისთან, რაც შეიძლება ახლოს უნდა იმყოფებოდე...

**- „დინამოს" დავუბრუნდეთ და ისიც ვთქვათ, რომ გარკვეული პერიოდი მესხისა და მეტრეველის გვერდით მოგიწიათ ასპარეზობამ.**

- ალბათ, ადვილი წარმოსადგენია მაშინდელი „დინამოს" სიძლიერე, როცა ფლანგებზე მსოფლიო დონის ორი ასეთი ვარსკვლავი თამაშობდა! „დინამო", საერთოდ, აკადემიას ჰგავდა - მესხისა და მეტრეველის მაგალითზე გაიზარდნენ დათო ყიფიანი, ვოვა გუცაევი, რამაზ შენგელია; ისე როგორც, ხურცილავას „ესტაფეტა" საშა ჩივაძემ ჩაიბარა, ჩემს მერე ნოდარ ხიზანიშვილი, თამაზ კოსტავა და გელა კეტაშვილი წარმოჩინდნენ დაცვის მარჯვენა ფლანგზე; მე თვითონაც, კარიერის დასაწყისში, მუდამ იმას ვცდილობდი, გივი ჩოხელისთვის მიმებაძა.

**- ძალიან ბევრ და სახელოვან მწვრთნელთან გიმუშავიათ; მათგან რომელს გამოარჩევდით?**

- მიჭირს კონკრეტულად ვინმეს გამოყოფა: ჟორდანია, ნორაკიძე, იაკუშინი, კაჩალინი, ბესკოვი - ყველა მართლაც მაღალი დონის სპეციალისტი იყო. ცოტა ხანს ნოდარ ახალკაცთანაც მომიწია მუშაობამ და საერთოდაც, მუდამ ვცდილობდი, ყველასგან საუკეთესო თვისებები „ამომერჩია". რაღა თქმა უნდა, ასეთი დონის სპეციალისტებთან ურთიერთობა ჩემ სამწვრთნელო კარიერაშიც გამომადგა - ვფიქრობ, ამ ასპარეზზეც რაღაც წარმატებებს მივაღწიე; მაგრამ, რად გინდა - დღესდღეობით საქართველოში ძოძუაშვილი-მწვრთნელი არავის სჭირდება...

**- სამწვრთნელო კარიერას კიდევ დავუბრუნდებით. მანამდე კი სანაკრებო ბატალიები გვინდა გაიხსენოთ; ბოლოს და ბოლოს, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების, აგრეთვე ოლიმპიადის ფინალურ ტურნირებზე გაქვთ ნათამაშები.**

- ვიცი, ბესტთან პაექრობა გაინტერესებთ. მოკლედ გეტყვით: მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩვენი უმთავრესი კონკურენტი ჩრდილოეთ ირლანდია იყო. ეს ნაკრები კი, ფაქტობრივად, ჯორჯ ბესტის თამაშზე იყო დამოკიდებული. მე მგონი, ჩემი მოკრძალებული წვლილიც არის იმაში, მექსიკის ჩემპიონატის საგზური რომ მოვიპოვეთ. რაც შეეხება ბესტს, 50 000 ფუნტ სტერლინგად შეფასებული მისი მაისურა ქუთაისში ინახება...

**- გადმოცემით გვსმენია, რომ 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე პელეს მეურვეობა უნდა დაგკისრებოდათ.**

- სრული სიმართლეა: ამისთვის მამზადებდნენ, მაგრამ ურუგვაისთან დავმარცხდით. ამას გარდა, იყო ლაპარაკი, რომ 1972 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში გერდ მიულერის წინააღმდეგ მეთამაშა. თუმცა, ისევ ჩემს ფლანგზე დამტოვეს, სამაგიეროდ, ფინალში ვისაც ვმეურვეობდი, კრემერსი იყო გვარად, იმის შემდეგ გერმანიის ნაკრებში აღარ გამოუძახებიათ...

**- კარიერა საკმაოდ ადრე, 31 წლის ასაკში დაამთავრეთ; არადა, მაღალ დონეზე თამაში კიდევ შეგეძლოთ.**

- ჩემთვის მეორე მსოფლიო ჩემპიონატისთვის ვემზადებოდი, მაგრამ ჩილეში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების გამო საბჭოთა კავშირის ნაკრები ამ ქვეყანაში განმეორებითი მატჩის ჩასატარებლად აღარ გაგვიშვეს. არ დაგიმალავთ და მოტივაციაც დაკარგული მქონდა: მსოფლიოზე ვითამაშე, ევროპაზეც, ოლიმპიადაზეც და 1974 წელს უკვე ჩაფიქრებული მქონდა, რომ ერთ-ორ წელიწადში კარიერას დავამთავრებდი. ასეც მოხდა...

**- კარიერის დასრულებისთანავე რამდენიმე წელიწადი სხვადასხვა ქართულ გუნდს ხელმძღვანელობდით. აი, ამის შემდეგ გადადგმული ნაბიჯი კი, არ დაგიმალავთ, დღესაც უცნაურად მიგვაჩნია...**

- ფეხბურთელი ვიყავი, უკვე მწვრთნელობაც დაწყებული მქონდა, მაგრამ ფეხბურთის „შიდა სამზარეულოს" ნიუანსებში კიდევ რჩებოდა ბევრი რამ, რისი გაგებაც ძალიან მსურდა. ჰოდა, მსაჯობა გადავწყვიტე! არ გატყუებთ: ამ საქმეშიც გარკვეული წარმატებები მქონდა და ამას წინათ ანატოლი მილჩენკომაც აღიარა; ფაქტობრივად, იმ დონეს მივაღწიე, რომ მალე უმაღლესი ლიგის მატჩები უნდა მემსაჯა, მაგრამ ქუთაისის „ტორპედოს" გაწვრთნა შემომთავაზეს და უარი ველარ ვთქვი.

**- ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და ტიტულოვანი ქართველი მწვრთნელი ბრძანდებით, მაგრამ ერთ გუნდში დიდხანს რატომ არ ჩერდებოდით?**

- ეს კითხვა მე კი არა, ფეხბურთში „ყოვლისმცოდნე" პრეზიდენტებსა თუ სხვა ხელმძღვანელებს უნდა დაუსვათ; არ ვიცი, რას დავაბრალო, მაგრამ მუდამ ისე ხდებოდა, რომ მიზანმიმართულად იბრძოდნენ ჩემ წინააღმდეგ. „დინამო" ისე ავათამაშე, XXI საუკუნის გუნდად მოიხსენიებდნენ, მაგრამ ევროპაზე გავიყვანე თუ არა, მთავარი მწვრთნელობიდან მომხსნეს; თითქმის იგივე ხდებოდა „ლოკომოტივში", „ტორპედოშიც" და „ოლიმპშიც" - ჩემპიონი გავხდებოდი ან თასს ავიღებდი, ევროტურნირების დაწყებამდე... გუნდიდან მიშვებდნენ-ხოლმე...

**- მიზეზით არ ინტერესდებოდით?**

- ვიღაცებს, ალბათ, არ უნდოდათ, რომ რევაზ ძოძუაშვილის ხელმძღვანელობით ქართულ გუნდებს ევროტურნირებზე სამი ეტაპი გაევლოთ! ჰო, სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: ქართულ ფეხბურთში არის ხალხი, რეზო ძოძუაშვილის წარმატება მათ ინტერესებში რომ არ შედის; თან, არამარტო ჩემი - ერთი პერიოდი ხომ უფროსი თუ საშუალო თაობის ყველა ვეტერანი ჩამოაცილეს ქართულ ფეხბურთს...

**- სამაგიეროდ, ახლა ეს ტენდენცია სასიკეთოდ იცვლება.**

- ძალიან კარგი პროცესი დაიწყო და ორივე ხელით მივესალმები იმ ფაქტს, ჩივაძე, გუცაევი, გაბელია ისევ ქართული ფეხბურთის სამსახურში რომ არიან. დღეს თუ არა, ხვალ და ზეგ ყოველივე ამას გარკვეული შედეგიც მოჰყვება, ოღონდ, ყველას ცოდნა-გამოცდილება უნდა გამოვიყენოთ: ძოძუაშვილის, ხურცილავას, მაჩაიძის, შენგელიას, ჩელებაძის, კოსტავასი; ყველასი, ვისაც დიდი ფეხბურთი უთამაშია. თორემ, სამწვრთნელო ლიცენზია ვერასდროს გადაწონის ამა თუ იმ ვეტერანი ქართველი ფეხბურთელის ცოდნასა თუ გამოცდილებას. დამეთანხმებით, რომ ქართული ფეხბურთი არც ისე მდიდარია თავისი საფეხბურთო პიროვნებებით და თუ გვინდა, ისევ ძველი დიდება დაუბრუნდეს, ყველა ვეტერანის პროფესიონალიზმი, სიბრძნე და ნიჭი უნდა გამოვიყენოთ...

**გია ტუხაშვილი**

## მილოცვები

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან 65 წელს ულოცავს ცნობილ ვეტერან ფეხბურთელს და მწვრთნელს, ოლიმპიური თამაშების მესამე, ევროპის ჩემპიონატის მეორე და სსრ კავშირის ჩემპიონატების ოთხგზის მესამე პრიზიორს, 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილეს რევაზ ძოძუაშვილს.**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან 65 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს სახელოვან ვეტერან ფეხბურთელს და მწვრთნელს, ოლიმპიური თამაშების (1972) მესამე პრიზიორს რევაზ ძოძუაშვილს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნოვაცია

ინტერვიუ მურად ანჯაფარიძესთან

ამ რამდენიმე დღის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა მეორე ლიგის ახალი ფორმატი დაამტკიცა. ეს პროექტი ერთგვარი ნოვაციაა და რეგიონებში ფეხბურთის კიდევ უფრო მეტად გამოცოცხლებაზეა გათვლილი. მისი ავტორი აფხაზეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი მურად ანჯაფარიძეა.

მარტის მიწურულს დაგპირდით, რომ ამ პროექტის შესახებ ვრცლად მისსავე ავტორთან საუბრით მოგითხრობდით. პირობას ვასრულებთ და დეტალურად განვიხილოთ თუ როგორი იქნება მეორე ლიგა.



# მეორე ლიგაში 4 ზონა, 12-12 გუნდით

**- სფფ-ის აღმასკომმა მეორე ლიგის პროექტი დაამტკიცა, რომელიც უკვე ნოვაციადაა მიჩნეული. იქნებ უფრო დეტალურად მოგვითხროთ ამ პროექტის შესახებ...**

- ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ლიგის გათამაშების ეს ახალი პროექტი ფეხბურთის რეგიონულ ფედერაციებთან ერთად შევიმუშავეთ. ჩვენს პროექტში რეგლამენტით გათვალისწინებული საერთო მოთხოვნები იგივეა. ნოვაცია ისაა, რომ მეორე ლიგა ფართოვდება და 4 ზონად დაიყოფა. შესაბამისად, გათამაშებას 4 რეგიონული ფედერაცია უხელმძღვანელებს, რომელთაც პირობითად ორგანიზატორი ფედერაციები დავარქვით. ისინი პარტნიორ ფედერაციებთან ერთად ჩაატარებენ გათამაშებას.

**- ამ 4 ზონისა და მასში შემავალი რეგიონების შესახებ რას გვეტყვით?**

- მეორე ლიგა დაყოფილი იქნება 4 ზონად. 1. აღმოსავლეთის I ზონა აერთიანებს, თბილისის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამხრეთ ოსეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ ფედერაციებსა და გუნდებს. ამ ზონაში შეჯიბრების ორგანიზატორი თბილისის ფეხბურთის ფედერაცია იქნება. თფფ და ამ ზონაში შემავალი სხვა რეგიონული ფედერაციები, რომლებიც მისი პარტნიორები იქნებიან, ერთმანეთს უნდა დაეხმარონ. ერთი სიტყვით, მხარეებმა მუნიციპალიტეტებთან და ადგილობრივ მმართველობებთან შეთანხმებით ადგილზე უნდა მოიძიონ სპონსორები, რათა ამ გუნდებმა მეორე ლიგაში მონაწილეობა შეძლონ; 2. აღმოსავლეთის II ზონა აერთიანებს აფხაზეთის, კახეთისა და ქვემო ქართლის გუნდებსა და რეგიონულ ფედერაციებს. ამ ზონაში ორგანიზატორია აფხაზეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია. 3. დასავლეთის I ზონაში ორგანიზატორი იმერეთის ფეხბურთის ფედერაციაა. ამ ზონაში კი გურიის, რაჭა-ლეჩხუმის რეგიონული ფედერაციები და გუნდები შევლენ. 4. დასავლეთის II ზონაში სამეგრელოსა და ზემო-სვანეთის, აჭარის რეგიონული ფედერაციები და გუნდები შევლენ და ორგანიზატორი სამეგრელოს ფედერაცია იქნება. აქვე ერთსაც დავამატებდი, იმერეთისა და თბილისის ფედერაციების წინადადებით, თუ მაგალითად ქობულეთის გუნდს უნდა მონაწილეობა I ზონაში, სადაც იმერეთია ორგანიზატორი, მაშინ სამეგრელოსა და აჭარის რეგიონულ ფედერაციებს უნდა შეუთანხმდეს და ეს პრობლემა არ იქნება. ერთი სიტყვით, ჩვენ არავის ვზღუდავთ, უბრალო, გვინდა ეს ყველაფერი სისტემაში მოვიყვანოთ და რეგიონებში ფეხბურთი გამოვაცოცხლოთ.

**- ზემოთ პარტნიორული ხელშეკრულებები ახსენეთ. მაინც რას მოცავს ეს კონტრაქტები და რა სახის იქნება?**

- ყველა ზონაში ორგანიზატორ და პარტნიორ ფედერაციებს შორის პარტნიორული ურთიერთობის ხელშეკრულება გაფორმდება, რომელიც ორივე მხარის მოთხოვნებს ითვალისწინებს. უკვე გვაქვს ამ ხელშეკრულების პროექტი. თუ რომელიმე პარტნიორი მხარის ფედერაცია ადგილზე გააკეთებს ორგანიზებას და თავის ზონაში 4, 5 ან 6 გუნდს წარადგენს გათამაშებაში მონაწილეობისათვის, მაშინ ყველა ხარჯის დაფარვის შემდეგ, ჩვენი შემოსავლიდან 30%-ს რეგიონულ ფედერაციებს გადავურიცხავთ, რათა ეს თანხა ისევ რეგიონში ფეხბურთის განვითარებას მოახმარონ. საორიენტაციოდ, ყველა ხარჯის დაფარვის შედეგად, თითო გუნდიდან 1 000 ლარი უნდა დარჩეს. ამ 1 000 ლარის 30%-ს მიიღებენ რეგიონული ფედერაციები, რომლებიც გათამაშებაში გუნდების ჩართვაში დაგვეხმარებიან. თუ ამა თუ იმ გუნდმა თავად მოგვძებნა ან ჩვენ თავად მოვიძიეთ მონაწილე კლუბები, მაშინ რეგიონულ ფედერაციებს ეს თანხა აღარ ერგებათ. ეს პროექტი მიზნად ისახავს რეგიონული ფედერაციების უფრო აქტიურად საქმიანობას და რეგიონებში ფეხბურთის გამოცოცხლებას, რაც ქვეყნის ხელისუფლებისა და სფფ-ის პრიორიტეტია. ჩვენ, აფხაზეთის რეგიონულ ფედერაციას, გვინდა, ეს კლუბები გათამაშებაში რეგიონული ფედერაციების წარდგინებით ჩაერთონ. მართალი გითხრათ, თბილისის ფეხბურთის ფედერაციას თავიანთი ხედვა აქვს. ერთი სიტყვით, ამის თაობაზე მხარეებს შორის პარტნიორული ურთიერთობის სხვადასხვა ფორმის ხელშეკრულებები დაიდება... რეგიონებში ფეხბურთის გამოცოცხლებისათვის ჩვენ სხვა ჩანაფიქრიც გვაქვს...

**- რა ჩანაფიქრი?**

- გვინდა რეგიონულ ფედერაციებთან ერთად 17 და 19-წლამდელთა რეგიონული ნაკრებები ჩამოვაყალიბოთ, ისე როგორც ავსტრიაში, გერმანიასა და სხვა ქვეყნებშია... მეორე ლიგის ამ პროექტის მიხედვით, ყველა კლუბისთვის აუცილებელი მოთხოვნაა მინიმუმ 5 ფეხბურთელი 18-წლამდე ასაკისა ჰყავდეს. დანარჩენი კი, თუ უნდათ, უფროსი ასაკის ფეხბურთელები ათამაშონ.

**- მეორე ლიგის ამ 4 ზონიდან პირველ ლიგაში გადასვლა როგორ მოხდება?**

- თითოეულ ზონაში გამარჯვებული აღმოსავლეთისა და დასავლეთ ზონების პირველადგილოსნები ერთმანეთს შეხვდებიან, ოთხიდან ორი გამარჯვებული პირველ ლიგაში გადავა.

**- ამ 4 ზონიდან თითოეულში რამდენი გუნდი იასპარეზებს?**

- 12-12 გუნდს ვვარაუდობთ, თუ მეტი იქნება, ნამდვილად არ შევზღუდავთ. ადგილებზე მუნიციპალიტეტებმა და თვითმმართველობებმა ფეხბურთისთვის გარკვეული თანხა უკვე გამოყვეს. ამ მხრივ სამეგრელო საკმაოდ აქტიურობს და ვფიქრობ, თითო ზონაში 12 გუნდის შეგროვება არ გაჭირდება.

**- მეორე ლიგა ახლაც ტარდება სხვა ფორმატით...**

- კი, ტარდება, მაგრამ ამ ახალი პროექტით უფრო მეტად გამოცოცხლდება რეგიონებში ფეხბურთი და ინტერესიც მეტი გაჩნდება. ამ ნოვაციით მეორე ლიგაში გუნდების რაოდენობაც გაიზრდება, ეს კი კადრების მასშტაბის გაზრდას ნიშნავს.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

# გურული: მეტი შემიძლია

ლვოვის „კარპატის" ქართველმა თავდამსხმელმა **სანდრო გურულმა** კლუბის ოფიციალურ ვებგვერდს მცირე ინტერვიუ მისცა, სადაც საკუთარი და გუნდის თამაში შეაფასა.

*„საკუთარ თავზე საუბარი ძნელია, მაგრამ ვფიქრობ, ნაყოფიერად გავლილმა მოსამზადებელმა შეკრებებმა ჩემს ფორმასა და კონდიციებზე დადებითად იმოქმედა. „კარპატი" ბოლო პერიოდში მაღალი ხარისხის ფეხბურთს თამაშობს და მეც ვგრძნობ, რომ გუნდისთვის ახლა უფრო დიდი სარგებლობა მომაქვს, ვიდრე სეზონის პირველ ნახევარში. მოხარული ვარ, რომ დიდ ნდობას მიცხადებენ, მწვრთნელი მოედანზე დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულებას მავალებს და ვფიქრობ, შეტევაში თამაშიც და დაცვით ოპერაციებში მონაწილეობაც ნორმალურად გამომდის. ეს კი იმის დამსახურებაა, რომ ფიზიკური კონდიციების ამაღლებისთვის ბევრი ვიშრომე. რაც მთავარია, იმასაც ვგრძნობ, რომ ამაზე გაცილებით მეტი შემიძლია და დარწმუნებული ვარ, ახლო მომავალში მოედანზე კიდევ უფრო შესამჩნევი გავხდები"*, - ამბობს გურული, რომელსაც უკრაინის მიმდინარე ჩემპიონატში 18 მატჩი აქვს ჩატარებული, მისი „კარპატი" კი უკრაინის 16-გუნდიან უმაღლეს ლიგაში დღეისათვის მე-5 ადგილზეა და ევროპის ლიგის საგზურის მოპოვების კარგი შანსი აქვს. სანდრო ლვოველთა ღირსებას ორწელიწად-ნახევარია, იცავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

# შემცირდება ლეგიონერთა რიცხვი?

## კლუბებს უცხოელთა ჩამოყვანისთვის უკვე თანხის გადახდა მოუწევთ

როგორც ჩანს, ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე კლუბებს, ახალი სეზონიდან, უცხოეთიდან ლეგიონერთა ჩამოყვანისთვის, ფეხბურთის ფედერაციაში გარკვეული თანხის გადახდა მოუწევთ. ეს პრაქტიკა უცხოეთში უკვე აპრობირებულია და ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში ამაზე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამაც** ისაუბრა. როგორც შევიტყვეთ, ახლა ბჭობა იმაზეა, თუ რა ოდენობით განისაზღვრება უცხოელთა ჩამოყვანისთვის დაწესებული თანხა. საფეხბურთო კულისებში თანხის ოდენობის ერთი ვარიანტიც გახმაურდა. კერძოდ, თითო ჩამოყვანილ უცხოელ ფეხბურთელზე 15 ათასი დასახელდა. ამ თანხის შესაბამისი ვალუტა დაკონკრეტებული არაა და ოდენობასაც სხვადასხვა ინტერპრეტაცია მიეცა. ზოგი ამბობს, რომ, ლაპარაკია 15 ათას ევროზე, ზოგი ამ ოდენობის აშშ დოლარს, ზოგიც კი ლარს ასახელებს.

ერთი სიტყვით, თანხის დაწესებაზე ახლა მსჯელობენ. როგორც ჩანს, ამ კონსულტაციებში კლუბების ხელმძღვანელებიც ჩაერთვებიან. ჩვენი ინფორმაციით, კლუბების ხელმძღვანელთა ერთი ნაწილის პოზიცია ასეთია - თუ უცხოელი ფეხბურთელების ჩამოყვანისთვის გადასახადის დაწესება აუცილებელია, მაშინ ეს თანხა თითოეულ ფეხბურთელზე 5 000 ლარზე მეტი არ უნდა იყოს. რადიკალური ნაწილი კი ამტკიცებს, რომ ლეგიონერების ჩამოყვანით ეროვნული ჩემპიონატის სანახაობრივი დონე და ინტერესი მატულობს, რაც საბოლოოდ თამაშის დონის მატებას განაპირობებს. ნაწილი კი ამტკიცებს, რომ უცხოელთა ჩამოყვნისთვის თანხის დაწესება ჯერჯერობით ნაადრევია. ამ ნოვაციის მოწინააღმდეგეები უმთავრეს მიზეზად კლუბების არასტაბილურ ფინანსურ მდგომარეობას ასახელებენ. პრინციპში, ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ეს პოზიცია ალოგიკურად სულაც არ მოჩანს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ლეგიონერები ჩვენს ჩემპიონატში არა მხოლოდ უმაღლეს, არამედ პირველი ლიგის კლუბებშიც ასპარეზობენ. ქვედა ლიგის გუნდების მესვეურები მიიჩნევენ, რომ თუ უცხოელი ფეხბურთელების ჩამოყვანისთვის გარკვეული თანხის გადახდა მაინც დაწესდება, მაშინ ამ გადასახადში უმაღლეს და პირველი ლიგის გუნდებს შორის გარკვეული დიფერენციაცია უნდა იყოს.

ერთი სიტყვით, ამ საკითხზე მუშაობა ფეხბურთის ფედერაციის მუდმივმოქმედი კომიტეტებიდან ერთ-ერთს, კერძოდ კი იურიდიულ კომიტეტს დაევალა, რომელსაც **მურად ანჯაფარიძე** ხელმძღვანელობს. ბუნებრივია, ამ საკითხით დავინტერესდით და კომენტარისთვის ანჯაფარიძეს მივმართეთ.

*„დიახ, ჩვენი, იურიდიული კომიტეტი სრულადაა ჩამოყალიბებული და სხვადასხვა მიმართულებით ვმუშაობთ. კერძოდ - ახალ სატრანსფერო დებულებასა და სადისციპლინო კოდექსზე, რომელიც ახალი სეზონის დაწყებამდე მზად უნდა იყოს.*

*უცხოელი ფეხბურთელების ჩამოყვანის სანაცვლოდ გარკვეული გადასახადის დაწესება არაერთ ქვეყანაში აპრობირებული მეთოდია... ლეგიონერის ჩამოყვანისთვის დაწესებული თანხა ჯერ განსაზღვრული არაა. ამ საკითხზე ვმუშაობთ და ალბათ უპრიანი იქნება, თუ კონსულტაციებში კლუბების ხელმძღვანელებიც ჩაერთვებიან. გარკვეული თანხის დაწესებას მეც ვეთანხმები, მაგრამ რა ოდენობის იქნება ეს გადასახადი, ამის თაობაზე კლუბების პოზიციაც საინტერესოა. ეს ფული სპეციალურად გამოყოფილ ანგარიშზე ჩაირიცხება. ეს თანხა მიზნობრივად დაიხარჯება და ვფიქრობ, ბავშვთა და რეგიონული ფეხბურთის განვითარებას მოხმარდება. ჯერჯერობით მეტს ვერაფერს გეტყვით. ეს საკითხი მაის-ივნისში ალბათ უფრო მეტად იქნება გარკვეული"*, - ჩვენთან საუბარში აღნიშნა ფეხბურთის ფედერაციის იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელმა მურად ანჯაფარიძემ.

**დავით ცაბაძე**

მწვრთნელი

# ცხადაძე: მუშაობა და განვითარება მინდა...

ბაქოს „ინტერის" გულშემატკივრებთან ონლაინ-კონფერენციის დროს, ამ გუნდის ქართველ მთავარ მწვრთნელ **კახა ცხადაძეს** ჰკითხეს, თუ რატომ გადაწყვიტა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მოულოდნელად დატოვება და „ინტერში" მუშაობა. ცხადაძემ თავისი გადაწყვეტილება ინტენსიური მუშაობის სურვილით ახსნა.

*„ნაკრებში მუშაობა რა თქმა უნდა, საინტერესოა, მაგრამ ისეთი ინტენსიური არაა, როგორც კლუბში. აქედან გამომდინარე, ჩემთვის საკლუბო ფეხბურთი უფრო საინტერესოა. მინდა ვიმუშაო და განვვითარდე. ეს კი სანაკრებო ფეხბურთის სპეციფიკიდან გამომდინარე, არცთუ წარმატებულად მოხერხდებოდა"*, - განაცხადა ცხადაძემ, რომელმაც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები შარშან დატოვა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

„ალკოლიზინი" ✕ „პახმელიას"

„ალკოლიზინი" უნიკალური პრეპარატია, მას სამედიცინო სფეროში ანალოგი არ გააჩნია, ორიგინალურია მისი მიღების წესიც. „ალკოლიზინი" ასტიმულირებს ალკოჰოლის დამშლელი ფერმენტების, აცეტალდეჰიდდეჰიდროგენაზის და ალკოჰოლდეჰიდროგენაზის აქტივობას, რითაც ბოლომდე შლის ალკოჰოლს ორგანიზმში.

„ალკოლიზინის" დახმარებით თქვენ თავიდან შეგიძლიათ აიცილოთ „პახმელიის სინდრომი", დაიცვათ ღვიძლი ალკოჰოლური გადაგვარებისაგან, შეამციროთ თრობის ხარისხი. „ალკოლიზინი" დამზადებულია ეკოლოგიურად სუფთა მცენარეებისგან. ალკოლიზინს გვერდითი მოვლენები და უკუჩვენებები არ გააჩნია.




ალკოჰოლის მიღების წინ არ დაგავიწყდეთ „ალკოლიზინი", ის თქვენ ცხოვრებას უფრო სასიამოვნოს გახდის. გამოიყენება პროფილაქტიკის მიზნითაც 3 კვირის განმავლობაში.

მოგვაკითხეთ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზ. №28 ან მიმართეთ „ნეოფარმის" და „ჯი პი სის" სააფთიაქო ქსელს, როგორც თბილისში, ასევე ქუთაისსა და ბათუმში.
დაგვიკავშირდით ნომრებზე:
ტელ: 99-00-14; 92-19-68; 893 66-83-18; 899 21-02-32
e-mail - promoita@mail.ru; nikosaniltd@mail.ge

მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

## კონსტანტინე შანიძე

შარის სტუმარი

# რატომ დაიჭირა ბერიას დაცვამ ფეხბურთელი...



უმცროს ნოდარ ახალკაცთან ერთად

ჩვენი დღევანდელი სტუმარია ლეგენდარული ფოტოკორესპონდენტი კონსტანტინე შანიძე. ერთი, ჩემი ჯიგარი კაცი მომიყვანეთო, - ეროსი მანჯგალაძე რომ იტყოდა, ყველამ იცოდა, კოსტია შანიძეს გულისხმობდა.

ბუნებრივია, ყველა იცნობდა, მაგრამ მხოლოდ ცნობა არაფერია - რაც მთავარია, გარშემომყოფების სიყვარულით სარგებლობდა. მისთვის ფოტოგრაფია მხოლოდ საყვარელ სახეობასა და ადამიანებთან (ფეხბურთელებთან) ახლოს ყოფნის საშუალება იყო.

მისი ოჯახიც ფეხბურთით სუნთქავდა და სუნთქავს - შანიძის სიძე „ოქროს თაობის" ცნობილი ფეხბურთელი, ცხონებული გურამ პეტრიაშვილი გახლდათ, შვილიშვილი კი ფიფას, უეფას დირექტორი და თბილისის „დინამოს" ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი დათო პეტრიაშვილი.

შეიძლება ითქვას, ქართული ფეხბურთის მსგავსი მემატიანე აღარც შემოგვრჩა. კონსტანტინე შანიძეს არა მხოლოდ „დინამოს" პირველი თამაშები უნახავს, ისიც ახსოვს, რა იყო მანამდე. დღემდე ფეხბურთით ცოცხლობს და 70-წლისწინანდელ მოვლენებს გუშინდელივით გვიყვება.

პირადად იცნობდა ლავრენტი ბერიას და გვიყვება, როგორ დააგეს დიდუბეში ასფალტი ბერიას საყვარლის გამო, რატომ ჩაგრავდა სტალინი „დინამოს" და იცავდა ბერია, რატომ დაიჭირეს ძმები სტაროსტინები, როგორ იკვებებოდნენ გასული საუკუნის 30-იანი წლების ქართველი ვარსკვლავები პირდაპირ ქუჩაში და ასე შემდეგ.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მოვუსმინოთ ქართული ფეხბურთის ფოტომემატიანე კონსტანტინე შანიძეს, რომელიც 9 აპრილს 94 წლის გახდა.

**- ბატონო კონსტანტინე, თქვენ თბილისის „დინამოს" პირველი მატჩი გემახსოვრებათ.**

- რას ჰქვია მახსოვს?! საგურამოს ქუჩაზე ვცხოვრობდი და სტადიონი იქვე არაა? სტადიონის აშენებამდე, იქ მეურნეობა იყო და კიტრი და პომიდორი მოჰყავდათ. მაშინ პატარა ბიჭები ვიყავით და ხშირად შევიპარებოდით ხოლმე იქ, მაგრამ ჯინჭრები იყო და გვსუსხავდა. თუ არ მეშლება, 1934 წელს დაიწყეს სტადიონის მშენებლობა და ბავშვებს ისე გაგვიხარდა, სიხარულით ვეხმარებოდით. „დინამო" 1935 წელს საბჭოთა კავშირის B კლასში გამოდიოდა და თუ არ მეშლება, მაშინ პლეხანოვის 172-ში მდებარე სტადიონზე თამაშობდნენ, „დინამოს" სტადიონი კი 1936 წელს გაიხსნა. პირველი შეხვედრა კიევის „დინამოსთან" გვქონდა.

**- ფოტოგრაფობა როგორ დაიწყეთ?**

- ფეხბურთის სიყვარულით, ოღონდ სტადიონთან ახლოს ვყოფილიყავი და ამაზე უკეთესი საშუალება რა უნდა ყოფილიყო? კარის უკან ვიდექი და თამაშს ლამის მოედნიდან ვუყურებდი. ვთამაშობდი და „საგურამოს ქუჩის ბიჭების" გუნდსაც ვავარჯიშებდი. გუნდს თამაშებზე და ლესელიძის შეკრებაზე დავყვებოდი.

**- როგორც ვიცი, ფაქტობრივად, „დინამოს" წევრივით იყავით.**

- თავიდანვე ასე იყო, ბიჭებთან ვმეგობრობდი და ვახლობლობდი. მათგან გავიცანი სანდრო მაცოლა და ჟიუსტ ფონტენი. მე ის მიხარია, რომ ქართულ ფეხბურთზე გამოსული თითქმის ყველა წიგნში ჩემი სურათია.

**- დღევანდელი გადასახედიდან ბევრისთვის გაუგებარია, რა იყო კომუნისტების პერიოდში ქართველებისთვის ფეხბურთი?**

- რა იყო და, ცხოვრების სტიმული, ხალისი და სიხარული. „დინამო" იყო ჩვენთვის იმედი, რომ რაღაცას წარმოვადგენდით. ეს ხომ არ იყო საქართველოს ჩემპიონატი, ყველა ტურში უცხო ქვეყნის ნაკრებს ვხვდებოდით. განსაკუთრებით დაძაბული შეხვედრები ერევანში „არარატთან" გვქონდა. სომხები როცა აგებდნენ, ქვებს გვესროდნენ (იცინის), თუმცა, უმრავლესობას ვუყვარდით. დღეს რომ ყველას პირზე აკერია სიტყვა „რეკლამა", რეკლამა მაშინ იყო, ქუჩის გუნდების თამაშის აფიშა რომ გაგვეკრა, გამვლელები ყურადღებას უცებ აქცევდნენ და უამრავი ხალხი იკრიბებოდა, „დინამოს" მატჩებზე ბევრს აღარ ვიტყვი - სტადიონი ყოველთვის ბოლომდე ივსებოდა.

**- 30-40-იან წლებში „დინამოს" როგორი პირობები ჰქონდა?**



კონსტანტინე შანიძე და ლავრენტი ბერიას შვილი სერგო გეგეჭკორი (დედის გვარით)

- იმას პირობები არ ერქვა, ბევრი არაფერი იყო. ეს დღევანდელებს აქვთ დიდი მადა, თორემ, კარგად მახსოვს, შავგულიძე და სხვებიც, მატჩის შემდეგ საგურამოს ქუჩაზე ჩამოდიოდნენ, კიტრსა და პომიდორს დაჭრიდნენ და პირდაპირ ქუჩაში ჭამდნენ. კი არ ეთაკილებოდათ, რადგან მაშინ ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. არადა, შავგულიძე იყო ვარსკვლავი! ბიჭებს შეკრების დროს, სტადიონის საჭიდაო დარბაზში ეძინათ. ეს რა პირობები იყო?

**- კი მაგრამ, „დინამოს" მთავრობა არ პატრონობდა?**

- რა თქმა უნდა, მაგრამ მაშინ ფეხბურთში დიდი ფული არ ტრიალებდა, ფული 50-იანი წლების ბოლოს წამოვიდა. მანამდე გუნდის პატრონობად სტადიონის აშენება, შეკრების მოწყობა და ტრანსპორტირება ითვლებოდა, ალაგ-ალაგ საჩუქრებსაც აკეთებდნენ. კარგად მახსოვს, გუნდი ლესელიძეში ემზადებოდა და სოჭში ექსკურსია დაიგეგმა, მაგრამ ავტობუსმა დაიგვიანა. „დინამოს" მაშინდელმა მწვრთნელმა ვსევოლოდ სოლოვიოვმა პირდაპირ ბერიას დაურეკა. 15 წუთში სოხუმის მთავრობა ფეხზე დადგა და ყველა ჩამოვიდა. თუმცა, სოლოვიოვი ისეთი გამწარებული იყო, ექსკურსიაზე უარი თქვა.

**- გუნდის პრობლემაზე ბერიას ასე იოლად უკავშირდებოდნენ?**

- რა თქმა უნდა! რომ იცოდეთ, ბერია „დინამოს" კარგად პატრონობდა, მსაჯებშიც გვეხმარებოდა. თუმცა, მოედანზე გასვლა უკვე დიდი პასუხისმგებლობაც იყო. ერთხელ მოსკოვის „ტორპედოსთან" პირველი ტაიმი 0:1 წავაგეთ. შესვენებაზე გასახდელში გენერალი შემოვარდა, გაგიჟებული იყო, თქვენი გულისთვის სამსახური უნდა დავკარგოო? ბიჭები ანერვიულდნენ. ბერიას გენერალი ასეთი გამწარებული რომ შემოვარდა, ხომ ხვდებით, წაგებაზე რა ელოდათ და მეორე ტაიმში ისე მოინდომეს, 2:1 მოიგეს.

**- ბერია „დინამოს" ეხმარებოდა თუ აშინებდა?!**

- რა თქმა უნდა, ეხმარებოდა! ერთხელ „დინამო" ბულგარეთში მიდიოდა და ბიჭებს თბილი ტანსაცმელი არ ჰქონდათ, არადა, უკვე მაგრად ციოდა, ეს ბორის პაიჭაძემ ბერიას შესჩივლა. ამ ამბიდან გავიდა ერთი დღე და გუნდი ბულგარეთში მატარებლით მიდიოდა. მატარებელი კურსკში იყო, როდესაც პაიჭაძე ვაგონიდან ჩაიყვანეს და მოსკოვში დააბრუნეს. ბუნებრივია, ყველას შეეშინდა, რაიმე ცუდი არ მოსვლოდა, სულ ტყუილად - ბერიამ მოსკოვში 22 ახალთახალი პალტო დაახვედრა! როგორ არ გვეხმარებოდა.

**- სხვაგვარი ისტორიაც გამიგია: 1953 წელს თბილისის „დინამოს" ჩემპიონობა რომ წაართვეს, ბერიამ კრემლში მისული ქართველები დატუქსა, რუსების იმპერიაში ქართველის პირველობაზე ფიქრი თავხედობაა, თქვენთვის მეორე ადგილიც ბევრიაო.**

- ბერიამ თქვა ის, რაც სტალინმა დაადგინა - ჩემპიონები მხოლოდ მოსკოვის გუნდი უნდა გახდესო. ბერია „დინამოს" ნაღდად მფარველობდა, ყოველ დილით, რვიდან ცხრა საათამდე სტადიონზე აუცილებლად შემოივლიდა.

**- თქვენ პირადად იცნობდით?**

- პირადად არა, მაგრამ რამდენჯერმე შეხება მქონდა.

**- რა საქმესთან დაკავშირებით?**

- მასთან რა საქმე უნდა მქონოდა. ერთხელ სტადიონის მშენებლობაზე რომ მოვიდა, აგურზე ხელი დაესვარა. პატარა ბიჭი ვიყავი და წყალზე გამიშვეს. სასწრაფოდ მოვურბენინე, მაგრამ ხელსახოცი ვერ იპოვეს. ბერიამ შემხედა, დიდი თმები მქონდა და ხელები ჩემს თმაზე შეიხოცა, მაინც დიდი თმა გაქვსო. რა უნდა მეთქვა, ამაორთქლებდა.

**- სიტყვამ მოიტანა და რომელიმე ფეხბურთელი დაუჭერია?**

- დაჭერის არა და, გათავისუფლების ფაქტი კი მახსენდება. პირველი თაობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფეხბურთელის, გრამატიკოპულოს ძმა დაჭერების სერიაში მოყვა და ეს ამბავი რომ მოახსენეს, ბერიამ უცებ გაუშვა. თუმცა, როგორ არ დაიჭირა, მოსკოვის „სპარტაკში" ძმები სტაროსტინები იყვნენ და ოთხივე ერთად დააპატიმრა.

**- ამიტომ ეზიზღებოდათ ქართველები?**

- მანამდეც გულზე არ ვეხატებოდით, მოსკოვის გუნდები ისედაც პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ და კიდევ ჩვენს დაჩაგვრას ცდილობდნენ. დაჭერის შემდეგ ქართველები კიდევ უფრო შეეზიზღათ. ისე, არ გაინტერესებთ, რატომ დაიჭირეს?

**- როგორ არ გვაინტერესებს?!**

- „დინამოსთან" და ყველა სხვა რესპუბლიკის გუნდებთან მსაჯებზე ზეწოლას ახდენდნენ. ჩვენ კიდევ ეს გვინდოდა, სტალინის მითითებაც მუშაობდა, მაგრამ ძმებ სტაროსტინებს მეტისმეტი მოუვიდათ და ბერიამ დაიჭირა. ისე, იყვნენ ერთ ამბავში, მართლა ეგონათ, რომ ყველას სჯობდნენ. მოსკოვს მართლაც ძლიერი გუნდები ჰყავდა, მაგრამ ჩვენც არ ვიყავით სუსტები. ასეთ პირობებში კიდევ მსაჯების ცუდი მოპყრობით და ზეწოლით გვძირავდნენ. ბერია კი ცდილობდა მისი გუნდი, თბილისის „დინამო" დაეცვა. ეს პრინციპის საქმეც იყო, უზარმაზარი გავლენის მქონე კაცის გუნდს რომ დაჩაგრავდნენ, როგორ აიტანდა? კიდევ ერთი ამბავი გამახსენდა, როდესაც ფეხბურთის თამაშის გამო, ჩემი მეგობარი ბერიას ხალხმა კინაღამ დაიჭირა. თუმცა, რაღა კინაღამ, მართლა დაიჭირეს.

**- ფეხბურთის თამაშის გამო?!**

- დიახ, ფეხბურთის თამაშის გამო! საგურამოს ქუჩის პარალელურ გლდანის ქუჩაზე ლავრენტი ბერიას საყვარელი ცხოვრობდა. სხვათა შორის, ლავრენტის მითითებით, პირველად სწორედ მის ქუჩაზე დააგეს ასფალტი, რომელიც მანამდე ნანახი არ მქონდა. სტადიონზე და საყვარელთან ხშირად დადიოდა და ერთხელ ჩვენს ქუჩაზე გამოიარა. ამ დროს ბავშვები ფეხბურთს ვთამაშობდით და მისი მანქანა ვერ შევნიშნეთ. ერთ-ერთმა ჩვენიანმა, გვარად სიხარულიძემ, გააქანა ბურთი და შემთხვევით ბერიას მანქანას საქარე მინა არ ჩაუმტვრია?! ვის ეფეხბურთებოდა, უცებ ყველა შევჩერდით და შიშისგან გავინაბეთ. მანქანამ გაირა და ვიფიქრეთ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდაო, მაგრამ მეორე დღეს ეს ბიჭი უცებ აორთქლდა. მისი ასავალ-დასავალი ვერავინ შეიტყო. მერე გავიგეთ, რომ სიხარულიძე „ჩეკისტებმა" დაიჭირეს.

**- დახვრიტეს?!**

- საბედნიეროდ გადარჩა.

**- როგორ, რანაირად?**

- როგორ და წაიყვანეს „ჩეკისტებმა" და აინტერესებდათ, ბერიას მანქანას ბურთი შეგნებულად მოარტყა თუ შეუგნებლად. პატარა ბიჭები ვიყავით და შემთხვევითობაც დაუშვეს. ჩვენი მეგობარი ამან გადაარჩინა. თქვა, როგორც მოარტყა და დაუჯერეს, მაგრამ სამი დღე დაიტოვეს, მაგრად აპურმარილეს, წიგნები აჩუქეს და გამოუშვეს.

**- კი მაგრამ, ბერიას მანქანას ბურთი როგორ მოხვდა, დაცვა არ ჰყავდა, ან სამთავრობო ესკორტი ქუჩას არ კეტავდა?**

- არა, რა დაცვა და ქუჩის გადაკეტვა, მანქანით მარტო დადიოდა და ქუჩის გადაკეტვაც გამორიცხული იყო. ან რატომ უნდა გადაეკეტა, მაშინ მანქანა ორიოდე კაცს ჰყავდა და ქუჩაში მოძრაობა იოლი იყო.

**- რომელიმე ფეხბურთელი არ უყვარდა?**

- ასეთი ვერ ვიხსენებ. [illegible]რათ, საბჭოთა ხელისუფლების საიდუმლოებებს საიდან ვიგებდით? კრემლის კომენდანტის შვილი ფეხბურთის გულშემატკივარი იყო, სლავა მეტრეველთან მეგობრობდა და როდესაც მოსკოვში ჩავდიოდით, სლავას აუცილებლად ვნახულობდით. ის მაშინ მოსკოვის „ტორპედოში" თამაშობდა. ერთი თვით ადრე ვიგებდით, რაც მერე ხდებოდა ცნობილი, რა ამბები ტრიალებდა კრემლში და ა.შ.

**- „დინამოს" უამრავი უცხოელი მწვრთნელი ჰყავდა. მათგან რომელს გამოარჩევდით?**

- როგორც პიროვნებას, თუ როგორც სპეციალისტს?

**- ორივე კუთხით.**

- ორივენაირად გამორჩეულის დასახელება გამიჭირდება. ზოგი კარგი პიროვნება, მაგრამ სუსტი მწვრთნელი იყო, ან პირიქით. კარგი მწვრთნელებიც მახსენდება. მაგალითად, „დინამოს" პირველი მწვრთნელი, ჩეხი ლიმბეკი, რომელიც ძალიან მკაცრი და მომთხოვნი იყო. ეგაა, 100 გრამის გადაკვრა უყვარდა. ყველას მაინც მიხეილ იაკუშინი მერჩივნა.

**- რატომ?**

- იმიტომ, რომ საკმაოდ კარგი პიროვნება და გამორჩეული სპეციალისტი გახლდათ. თითქმის არ მახსენდება შემთხვევა, რომ მეორე ტაიმი არ მოეგოს. სხვათა შორის, ნოდარ ახალკაცმა მისგან ბევრი რამ ისწავლა, ნოდარი უნიჭიერესი კაცი იყო და უცებ სწავლობდა.

**- ყველაზე უსიამოვნო მწვრთნელი რომელი იყო?**

- ომამდე მუშაობდა... გვარს ვერ ვიხსენებ, ლენინგრადელი იყო. გერმანე ზონინიც არ იყო სასიამოვნო მოსაგონარი. კაცი ფულზე გიჟდებოდა. სხვა სადარდებელი არ ჰქონია. თბილისის „დინამოდან" რომ გაუშვეს, ორი სატვირთო მანქანა დატვირთა და ისე გაემგზავრა.

**- თქვენი აზრით, რომელი იყო „დინამოს" ისტორიაში საუკეთესო გუნდი?**

- 1964 წლის გუნდმა პირველი სიხარული მოგვიტანა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ და უნიჭიერესი ბიჭები თამაშობდნენ. ლამის ყველა ვარსკვლავი იყო და ეს თაობა ძალიან მიყვარს. თუმცა, როგორ შეიძლება 1981 წლის თაობა უკანა პლანზე დავაყენო? ამ ბიჭებმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობაც მოიპოვეს, თასიც და რაც მთავარია, საერთაშორისო სარბიელზეც გვასახელეს. ამ ორ თაობას კი არ გავყოფ, გავაერთიანებ და ვიტყვი, რომ ოქროს ბიჭები არიან, მაგათ ვენაცვალე, როგორ გვახარებდნენ... ეს ხომ ქვეყნის წარმატება იყო. მოგების მეორე დღეს ხალხი გაღიმებული და ბედნიერი დადიოდა.

**- ფეხბურთელებთან ვისთან მეგობრობდით?**

- ჩოხელთან, ვარდიმიადისთან, მესხთან, იამანიძესთან... ყველას როგორ გავიხსენებ?

**- საქართველოს პირველი პირებიდან ფეხბურთი ვის უყვარდა?**

- ბერიას ინტერესი ჰქონდა, ვასილ მჟავანაძეს კი უზომოდ უყვარდა. მის დროს ფეხბურთი სხვა დონეზე ავიდა, პირობები გაუმჯობესდა და ფეხბურთელებს ცივ ნიავს არ აკარებდნენ. თუმცა, მჟავანაძეს ედუარდ შევარდნაძემ აჯობა, „დინამოს" საბჭოთა კავშირში საუკეთესო პირობები შეუქმნა და შედეგსაც ამიტომ მივაღწიეთ. კარგად მახსოვს, ვოროშილოვოგრადის (ამჟამინდელი ლუგანსკის) „ზარიასთან" მატჩში დიდი ამბები რომ მოხდა, შევარდნაძე ლოჟიდან მოედანზე კიბეებით კი არ ჩავიდა, პირდაპირ ტრიბუნაზე, ხალხში გადააბიჯა, ხალხს არ მოერიდა - მთავრობიდან მხოლოდ ნუგზარ ფოფხაძე გამოყვა. მათ წინ ყიფიანი ჩაუდგა და ქუჩაში გავიდნენ.

**- ქართული ფეხბურთის დღევანდელ მდგომარეობაზე რას ფიქრობთ?**

- ჩვენ რომ გვინდა, ისე მალე ვერ გაცოცხლდება... ვერ განიკურნება. საქმეს მარტო ფედერაციის პრეზიდენტების გამოცვლა არ უშველის. საჭიროა ფული და ხარისხიანი მოედნები. თქვენ რა გგონიათ, „დინამომ" როდის მიაღწია წარმატებებს? მაშინ, როდესაც ფული ჰქონდა და ჩვენი ბიჭების ნიჭიც გამომჟღავნდა. ნიჭიერი ბავშვები ახლაც გვყავს, მაგრამ ფულით თუ არ შევეშველებით, მარტო ნიჭით შორს ვერ წავლენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ესპანეთი

ლა ლიგა. XXXI ტურის წინ

# მესიანური მისია

## ყველაზე, ყველაზე...



ისტორიული 6:2. ლეო მესი პეპეს წინააღმდეგ

| დღეს | |
|---|---|
| მალაგა-სევილია | 20:00 |
| ტენერიფე-ვალიადოლიდი | 22:00 |
| ვილიარეალი-სპორტინგი | 22:00 |
| ხერესი-ხეტაფე | 22:00 |
| რეალი-ბარსელონა | 00:00 |
| **ხვალ** | |
| ბილბაო-ალმერია | 19:00 |
| დეპორტივო-რასინგი | 19:00 |
| ოსასუნა-სარაგოსა | 19:00 |
| ესპანიოლი-ატლეტიკო | 21:00 |
| მალიორკა-ვალენსია | 23:00 |

ესპანეთში სხვა გუნდების გულშემატკივრებს გულებს დავწყვეტთ, დღეს მხოლოდ „რეალი"-"ბარსელონას" მატჩზე დავწერთ - წლის ყველაზე საინტერესო, ყველაზე მნიშვნელოვან და ყველაზე ვარსკვლავურ მატჩზე. მოკლედ, ამალამ „ესპანური დერბი", იგივე „ელ კლასიკო" გველის...

„კლასიკო" ჯერ ხომ ისედაც ესპანური (და არამარტო) ფეხბურთის მთავარი მოვლენაა, ახლა ამას ხელს სატურნირო მდგომარეობაც უწყობს - ჩემპიონატის დასრულებამდე 8 ტურით ადრე „რეალი" და „ბარსელონა" 77-77 ქულებით ცხრილის სათავეში არიან. ამიტომაც „კლასიკოს" ესპანურ მედიაში „გრანდ" მიუწერეს.

„კლასიკო" 1902 წლიდან იმართება და ეს გუნდების 160-ე დაპირისპირებაა, ჯერჯერობით „რეალი" „ბარსელონას" 68:61-ს უგებს (30 მატჩი ფრედ დასრულდა) კატალონიურ გრანდს. სტატისტიკას კიდევ ერთხელ შევეხოთ - „ელ კლასიკოს" ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი დღეს სათადარიგოთა სკამზე იჯდება, **რაულ გონსალეს ბლანკოს** 11 გოლი აქვს გატანილი „ბარსელონას" კარში, მეორე ადგილზეა ლა ლიგაში „რეალის" პირველი გოლის ავტორი, ნავარელი ფორვარდი **ხაიმე ლასკანო** (8 გოლი). აი, მესამე კი უკვე **ლეო მესია, ლუის „კორსო„ რეგეიროსთან და ლუის ენრიკესთან** ერთად (6-6 გოლი „კლასიკოზე"). ამ უკანასკნელს ორივე გუნდში უთამაშია. პირველ წრეში „კამპ ნოუზე" „ბარსამ" **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** ეული გოლის წყალობით 1:0 მოიგო, ჯერი „სანტიაგო ბერნაბეუზეა".

მაშ ასე, დღეს ორი ტიტანი, აქეთ „ლოს მერენგესი", იქით „ლა ბლაუგრანა", ერთმანეთს სეზონის მატჩში დაუპირისპირდება. არ დარჩენილა ორივე გუნდიდან მწვრთნელი, ფუნქციონერი თუ ფეხბურთელი, რომ არ ეთქვა - ეს მატჩი ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტიო - თუმცა, ამ შემთხვევაში, მათ ერთეულები თუ უჯერებენ. „ელ კლასიკომ" ძალიან დიდი ალბათობით შეიძლება ჩემპიონის ვინაობა გამოავლინოს! უფრო ზუსტად, ტიტულისთვის ბრძოლაში გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

„ბარსელონა" „კლასიკოს" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის საგზურით და უმაგრეს ფორმაში მყოფი მესით ხვდება, „რეალი" კი სეზონში ნელა გაქანდა, მაგრამ ახლა ამ მატარებელმა ისეთი სისწრაფე აკრიფა... 12 მატჩია ზედიზედ, რაც „სამეფო კლუბი" იგებს, 12 მატჩში „რეალმა" 39 გოლი გაიტანა! დავუმატოთ ამას „სანტიაგო ბერნაბეუზე" მოგებული ყველა მატჩი სეზონში და მთლად მესივით ვერა, მაგრამ მაინც ბრწყინვალედ მოთამაშე **კრიშტიანო რონალდო**... მოკლედ, ფეხბურთის გურმანებს, ამ ღამეს **მანუელ პელეგრინის** და **პეპ გვარდიოლას** გუნდები არ მოაწყენენ - ამის გარანტიას გაძლევთ.

საფეხბურთო სპექტაკლს თუკი რამ დააკლდება, მხოლოდ ტრავმების გამო - სამწუხაროდ, არც ეს „კლასიკო" იქნება გამონაკლისი. ყველა წყაროს ცნობით ჩემპიონატის მთავარ მატჩს დააკლდებიან **კაკა** და ზლატან იბრაჰიმოვიჩი. არის სხვა დანაკლისიც, თუმცა ამ ორი კაშკაშა ვარსკვლავის არყოფნა „კლასიკოს" ყველაზე მეტად აზარალებს.




კაკას ტრავმა ქრონიკული აღმოჩნდა, მან ოთხშაბათს სცადა გუნდთან ერთად ვარჯიში, მაგრამ ვერ შეძლო. ამის შემდეგ „რეალის" შტაბიდან გამოვიდა ინფორმაცია, რომ კაკა არ იქნება „კლასიკოზე". მართალია, ზლატანის ტრავმა ქრონიკული არაა, მაგრამ აქაც დაახლოებით იგივე სიტუაციაა - იბრაჰიმოვიჩმა „ბილბაოსთან" მატჩისწინა მოთელვაზე დაიშავა კოჭი და მას მერე არ ჩანს, „ბლაუგრანას" შიდა სამზარეულოდან გამოსული ინფორმაციით შვედი ვერ ითამაშებს, მაგრამ ვინ იცის?

გუშინ „სამეფო კლუბმა" თამაშამდე ბოლო რეპეტიცია ჩაატარა, პელეგრინის ბრძანებით ბაზა დაიხურა. ვარჯიშის შემდეგ ჩილელმა თავკაცმა 19 კაცის სია ჩამოწერა, რომელთაგანაც ის 11 საუკეთესოს შეარჩევს. სია თითქმის იგივეა, რა შემადგენლობითაც „რეალი" სანტანდერში ჩავიდა, დისკვალიფიკაცია გაუვიდათ **ჩაბი ალონსოსა** და **სერხიო რამოსს** და მათ გუნდში **მარკოს ალონსოს** და **მატეოსის** ადგილები დაიკავეს. დღეს „რეალი" წინასამატჩოდ „სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩვენი დროით 13 საათზე შეიკრიბება. ცნობილია „ბარსელონას" 19-კაციანი შემადგენლობა, რომელიც „კლასიკოსთვის" ემზადება. სიაში არაა **ერიკ აბიდალი**, რომელიც დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ „რეალთან" დაპირისპირებას გამოტოვებს. ძალზე საეჭვოა **ჟერარდ პიკეს** თამაში, თუმცა თავად ფეხბურთელი იმედიანადაა. „რეალში" საეჭვოდ აფასებენ ჩაბი ალონსოს შანსებს, რომელსაც მცირე ტრავმა აქვს. პელეგრინი სასტარტო შემადგენლობას ამ კონტინგენტიდან შეარჩევს:

**მეკარეები:** კასილიასი, დუდეკი.

**მცველები:** არბელოა, ალბიოლი, რამოსი, გარაი, მარსელო, მეტცელდერი.

**ნახევარმცველები:** ჩაბი ალონსო, გაგო, ლ. დიარა, მ. დიარა, გუტი, ვან დერ ვაარტი, გრანერო.

**ფორვარდები:** ბენზემა, იგუაინი, რაული, რონალდო.

„ბლაუგრანა" ესპანეთის დედაქალაქში ამ შემადგენლობით ჩადის:

**მეკარეები:** ვალდესი, პინტო.

**მცველები:** პიკე, პუიოლი, დ. ალვეში, მილიტო, მარკესი, მაქსველი, ჩიგრინსკი.

**ნახევარმცველები:** ტურე, კეიტა, ბუსკეტსი, ჩავი, ინიესტა, ჟეფრენი.

**ფორვარდები:** მესი, ანრი, კრკიჩი, პედრო.

„ელ კლასიკოც" ჩაივლის და შემდეგი ტურიც, რომელიც შუა კვირაშია, მაგრამ მომავალ უქმეებზე ესპანურ ფეხბურთს დიდი თავსატეხი ელის - გუშინ ფეხბურთელთა ასოციაციამ საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ესპანეთის ჩემპიონატის ყველა დივიზიონში ფეხბურთელები გაიფიცებიან, მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო და ის შეჩერებულია, 33-ე ტური საფრთხეშია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 30 | 25 | 2 | 3 | 83-26 | 77 |
| 2. ბარსელონა | 30 | 24 | 5 | 1 | 75-19 | 77 |
| 3. ვალენსია | 30 | 16 | 8 | 6 | 48-32 | 56 |
| 4. მალიორკა | 30 | 14 | 6 | 10 | 46-34 | 48 |
| 5. სევილია | 30 | 14 | 6 | 10 | 43-35 | 48 |
| 6. ბილბაო | 30 | 13 | 6 | 11 | 41-41 | 45 |
| 7. ვილიარეალი | 30 | 12 | 7 | 11 | 45-41 | 43 |
| 8. დეპორტივო | 30 | 12 | 6 | 12 | 32-38 | 42 |
| 9. ხეტაფე | 30 | 12 | 5 | 13 | 42-40 | 41 |
| 10. ატლეტიკო | 30 | 11 | 7 | 12 | 47-45 | 40 |
| 11. სპორტინგი | 30 | 9 | 10 | 11 | 33-38 | 37 |
| 12. ალმერია | 30 | 9 | 10 | 11 | 32-39 | 37 |
| 13. ოსასუნა | 30 | 9 | 7 | 14 | 26-35 | 34 |
| 14. ესპანიოლი | 30 | 8 | 10 | 12 | 22-37 | 34 |
| 15. სარაგოსა | 30 | 8 | 8 | 14 | 37-53 | 32 |
| 16. მალაგა | 30 | 7 | 10 | 13 | 34-38 | 31 |
| 17. რასინგი | 30 | 7 | 10 | 13 | 30-44 | 31 |
| 18. ტენერიფე | 30 | 6 | 7 | 17 | 29-61 | 25 |
| 19. ვალიადოლიდი | 30 | 4 | 12 | 14 | 30-53 | 24 |
| 20. ხერესი | 30 | 5 | 8 | 17 | 26-52 | 23 |

ნიკოლოზ ნეფარიძე




ტრავმათოთეკა

# ეშლის ხელი არ შეეშლება

თუკი ორი კვირის შემდეგ, „ჩელსისა" და „სტოკ სიტის" შეხვედრაში მოედანს დასავლეთლონდონელთა მარცხენა მცველი **ეშლი კოული** დაუბრუნდება, კლუბისთვის ხომ დიდი შვება იქნება და ინგლისის ნაკრებიც ამოისუნთქებს. ხოლო, თუ ამ ამბიდან ერთი კვირის შემდეგ, „ლივერპულთან" შეხვედრაში **კარლო ანჩელოტის** განკარგულებაში **მიკაელ ესიენიც** დაბრუნდება, „ჩელსის" საჩემპიონო შანსები შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს - ყოველ შემთხვევაში თეორიულად ასე ჩანს, ხოლო პრაქტიკულად რა იქნება, დარჩენილ ხუთ ტურში გამოჩნდება.

შეგახსენებთ, რომ ეშლი კოულმა კოჭი 10 თებერვალს „ევერტონთან" შეხვედრაში დაიზიანა. ის თამაში ლივერპულელებმა ლონდონელებს 2:1 მოუგეს კიდეც. თავდაპირველი ინფორმაციით კოულის დროული გამოჯანმრთელება და მისი მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში მოსალოდნელი აღარც იყო, მაგრამ როგორც ხედავთ, მკურნალობის პროცესში სულ სხვა პერსპექტივა გამოჩნდა, რაც, ბუნებრივია, ძალიან გაახარებს ნაკრების მწვრთნელ **ფაბიო კაპელოს**.



ეშლი კოულის ტრავმა
კარლო ანჩელოტისა და ფაბიო კაპელოს
ერთდროული საფიქრალია

„ჩელსის" თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ თქვა: „ჯერჯერობით მას ვარჯიში სჭირდება, მაგრამ იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება და „სტოკთან" შეხვედრისთვის ის მზად იქნება. ამწუთას იმის თქმა შემიძლია, რომ მისი საქმე კარგად მიდის. კარგად მიდის ესიენის საქმეც. ის შეიძლება მოედანს ეშლისთან ერთად ვერ დაუბრუნდეს, მაგრამ ეშლის დაბრუნებიდან ერთ კვირაში მიკაელიც საქმეში იქნება".

თუ კოული „სტოკთან" შეხვედრაში მართლაც დაუბრუნდება მოედანს, გამოდის, რომ ის სეზონის ჩამთავრებამდე სამ შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას: „სტოკთან", „ლივერპულთან" და „უიგანთან". გარდა ამისა, თუ „ლურჯები" დღეს ფეხბურთის ასოციაციის თასზე „ასტონ ვილას" დაამარცხებენ, კოული ამ შეჯიბრების ფინალშიც შეძლებს გამოსვლას და მსოფლიოს ჩემპიონატის წინ გარკვეული პრაქტიკა გამოუვა. ზემოხსენებულ ესიენს კი მუხლის ტკივილის გამო 27 იანვრის შემდეგ არ უთამაშია.

ილია ბაბუნაშვილი

ინგლისი — პრემიერლიგა. XXXIV ტურის წინ

# ...მერე კი იქნება დერბი

| დღეს | |
|---|---|
| ჰალი-ბარნლი | 18:00 |
| ვესტ ჰემი-სანდერლენდი | 18:00 |
| **ხვალ** | |
| ვულვზი-სტოკ სიტი | 15:00 |
| ბლექბერნი-მანჩესტერ იუნ | 16:30 |
| ლივერპული-ფულჰემი | 18:00 |
| მანჩესტერ სიტი-ბირმინგემი | 19:00 |
| **13 აპრილი** | |
| ჩელსი-ბოლტონი | 23:00 |
| **14 აპრილი** | |
| ასტონ ვილა-ევერტონი | 22:45 |
| უიგანი-პორტსმუთი | 22:45 |
| ტოტენჰემი-არსენალი | 23:00 |

რაც „მანჩესტერ იუნაიტედმა" ამ ბოლო დღეებში **უეინ რუნის** გამოჩენა-გაქრობით ფოკუსები ატარა, სამ-ოთხ საცირკო სანახაობას ეყოფოდა. რა მიხვედრა უნდა, უპირველეს ყოვლისა, დიდებული ინგლისელი თავდამსხმელის „ბაიერნთან" საპასუხო მატჩში გამოჩენას ვგულისხმობთ - გახსოვთ, რა ამბავი ატყდა ბრიტანულ პრესაში, არიქა, ბიჭმა შეიძლება მსოფლიოს ჩემპიონატზეც ვერ ითამაშოსო. არადა, მისი გამოჯანმრთელება, თურმე, ერთი კვირის ამბავი იყო. სერ **ალექს ფერგიუსონსაც** უყვარს წვრილ-წვრილი ეშმაკობები - ეგონა, მიუნხენელებს აბნევდა. და აი, ახლა, რუნი უკვე გამოჩენილი რომ გვგონია, მას ისევ აქრობენ - ხვალ, პრემიერლიგის შეხვედრაში „ბლექბერნ როვერსთან" ინგლისური ფეხბურთის მთავარი ვარსკვლავი არ ითამაშებს. ამბობენ, „ბაიერნთან" პირველ შეხვედრაში ნატკენი კოჭი მეორე შეხვედრაში გაიმიზეზაო.

არადა, მიუნხენის „ალიანს არენაზე" რომ არ დაშავებულიყო, „იუნაიტედის" ფორვარდი მართლაც რომ ყველაფერს ბრდღვნიდა. მიმდინარე სეზონში, რომელიც თანდათანობით დასასრულს უახლოვდება, რუნის ყველა შეჯიბრებაში ერთად, არც მეტი-არც ნაკლები, 34 გოლი აქვს გატანილი.

გუშინ ფერგიუსონმა ჟურნალისტებს რუნის კოჭის შესახებ ასე უთხრა: *„არა მგონია საქმე ისე სერიოზულად იყოს, თავიდან რომ ვფიქრობდით. რუნი „ბლექბერნთან" შეხვედრას გამოტოვებს და შემდეგ ტურში „სიტისთან" სათამაშოდ მზად იქნება".*

დიახ, შემდეგ შაბათს პრემიერლიგაში მანჩესტერული დერბი უწევს, წინა ტურში კი, შეგახსენებთ, „იუნაიტედმა" „ჩელსისთან" 2:1 წააგო.

რაკილა „იუნაიტედზე" ვლაპარაკობთ, ბარემ აქვე დავძენთ, რომ ინგლისის ჩემპიონმა თანხად, რომელსაც არ ასახელებენ, მექსიკელი თავდამსხმელი **ხავიერ ერნანდესი** შეიძინა. აქამდე ერნანდესი „გვადალახარაში" გამოდიოდა. „იუნაიტედის" წარმომადგენელთა განცხადებით, ფეხბურთელთან, რომლისგანაც ამ ზაფხულზე, მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში თავის გამოჩენას ელიან, ხელფასი და სხვა კერძო პირობები უკვე შეთანხმებულია. სამედიცინო შემოწმება უკვე გავლილია და ახლა საქმე ბრიტანეთის მთავრობის მიერ ქვეყანაში მუშაობის უფლების გაცემაზეღაა. ოფიციალურ პროცედურას, რასაკვირველია, დრო სჭირდება და თუ ყველაფერი კარგად იქნა, 21 წლის ერნანდესი „მანჩესტერ იუნაიტედში" ბურთს უკვე პირველ ივლისს გააგორებს.

ისევ ალექს ფერგიუსონი: *„ძალიან მიხარია, ამ ნიჭიერი ახალგაზრდის შეძენასთან დაკავშირებით მექსიკურ მხარესთან საერთო ენა რომ გამოვნახეთ. ხავიერ ერნანდესი, როგორც კლუბში ასევე ნაკრებში, მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. იგი ჩვენთვის მნიშვნელოვანი დამატება იქნება".*

ზემოთ ვახსენეთ, რომ ფერგიუსონის განკარგულებაში არ იქნება უეინ რუნი, სამაგიეროდ „ივუდ პარკზე" ითამაშებენ **გარი ნევილი, რაიან გიგზი** და **პოლ სქოულზი**. რაც შეეხება „ბლექბერნის" თავკაც **სემ ელერდაისს**, მან უნდა გადაწყვიტოს კვლავ 18 წლის ცენტრალურ მცველს **ფილ ჯონსს** ენდობა თუ შემადგენლობაში კაპიტან **რაიან ნილსენს** დააბრუნებს. ცნობისათვის: ჯონსმა ბოლო ოთხ შეხვედრაში საუცხოოდ ითამაშა, მაგრამ ამასობაში ნილსენიც გამოჯანმრთელდა და ელერდაისიც დილემის წინაშე აღმოჩნდა. „ბლექბერნს" დაუბრუნდებიან **კიტ ენდრიუსი** და **ვინს გრელა**.

დღეს ორი თამაშია, „ჰალი" „ბარნლის" მასპინძლობს და „ვესტ ჰემი" „სანდერლენდს". „ჰალისა" და „ბარნლის" შეხვედრა პრემიერლიგაში დარჩენისთვის ბრძოლა რომ არის, რაღ უნდა ლაპარაკი. მასპინძელთა ფეხბურთელს **ჯორჯ ბოატენგს** ამ შეხვედრაში თამაშს ექიმები 45 პროცენტით ჰპირდებოდნენ. ასე ზუსტად გამოთვლილი პროცენტები საიდან მოჰქონდათ, ნამდვილად ვერ გეტყვით, მაგრამ ჰოლანდიელმა წინა ტურში (სტოკში) **თუნჯაისთან** შეჯახების შემდეგ მოედანი საკაცით რომ დატოვა, ფაქტია. თუნჯაი „მაკრატელას" ურტყამდა და ბოატენგს სახეში წიხლი მისცხო. საბედნიეროდ, სახის სკანირებამ აჩვენა, რომ ბოატენგს არანაირი საშინელება არ სჭირს და ახლა ისაა შესამოწმებელი, ტვინის შერყევის თვალსაზრისით როგორ არის საქმე. „სტოკთან" შეხვედრაში არ იყო **იბრაჰიმა სონკო**, რომელიც დღეს, სავარაუდოდ, ითამაშებს. „ბარნლიში" ოთხი თვის გამოტოვების შემდეგ შეიძლება **სტივ კოლდუელი** დაბრუნდეს. მოსალოდნელია, რომ ითამაშებს **კევინ მაკდონალდიც**, აი ის, წინა შეხვედრაში შესვენების შემდეგ სტადიონის მოპირდაპირე ბარში დასალევად რომ გადავიდა.

„ვესტ ჰემისა" და „სანდერლენდის" შეხვედრაში მეტი პრობლემა თითქოს სტუმრებს აქვთ - მწვრთნელს **სტივ ბრუსს** ბევრი ფეხბურთელი ჰყავს დაშავებული.

„ვულვზი" „სტოკს" ხვალ უმასპინძლებს. სტოკელთა ერთადერთი საფიქრალი და საზრუნავი **რიკარდო ფულერია**. იამაიკელმა თავდამსხმელმა ბოლო ორ ტურში გოლები გაიტანა, მაგრამ წინა შეხვედრაში, „ჰალთან", მოედანი შესვენებისას დატოვა. თუ **დეივ კიტსონს** ექიმები თამაშის ნებას არ დართავენ, მის ნაცვლად ან ზემოხსენებული თუნჯაი ითამაშებს, ან კიდევ **მამადი სიდიბე**.

„ლივერპული" „ფულჰემს" მასპინძლობს. მერსისაიდელთა ესპანელი ფორვარდი **ფერნანდო ტორესი** მართალია, ბოლო შეხვედრებში მუხლის ტკივილით თამაშობდა, მაგრამ ამ თამაშისთვის, წესითა და რიგით, მზად უნდა იყოს.

„ფულჰემის" მწვრთნელი **როი ჰოჯსონი** თავის შემადგენლობას რამდენადმე შეცვლის. აქილევსის მყესის ტკივილის გამო საეჭვოა **ბობი ზამორას** თამაში. ნეკნი იტკინა **საიმონ დევისმაც** და შეიძლება მანაც ვერ ითამაშოს. ბარძაყის ტკივილის გამო არ იქნება **კლინტ დემპსი**, თუმცა დაბრუნდება ვირუსმოხდილი **დევიდ ელმი**.

„მანჩესტერ სიტი" კი მანჩესტერული დერბის წინ „ბირმინგემს" მასპინძლობს. სტუმართა კარს **მაიკ ტეილორი** დაიცავს, რომელიც პრემიერლიგაში მეორედ ითამაშებს. რატომ არ იქნება გუნდის ძირითადი მეკარე **ჯო ჰარტი**? - იკითხავთ თქვენ. იმიტომ, რომ ის „სიტიდან" არის „ბირმინგემში" გაქირავებული და კონტრაქტის თანახმად, თავისი გუნდის წინააღმდეგ თამაშის უფლება არ აქვს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 33 | 23 | 5 | 5 | 84-30 | 74 |
| 2. მანჩესტ. იუნ | 33 | 23 | 3 | 7 | 77-27 | 72 |
| 3. არსენალი | 33 | 22 | 5 | 6 | 75-34 | 71 |
| 4. მანჩესტ. სიტი | 32 | 16 | 11 | 5 | 64-40 | 59 |
| 5. ტოტენჰემი | 32 | 17 | 7 | 8 | 58-32 | 58 |
| 6. ლივერპული | 33 | 16 | 7 | 10 | 54-33 | 55 |
| 7. ასტონ ვილა | 32 | 14 | 12 | 6 | 44-32 | 54 |
| 8. ევერტონი | 33 | 13 | 11 | 9 | 52-44 | 50 |
| 9. ბირმინგემი | 33 | 12 | 10 | 11 | 34-38 | 46 |
| 10. სტოკი | 32 | 10 | 12 | 10 | 32-35 | 42 |
| 11. ბლექბერნი | 33 | 11 | 9 | 13 | 35-50 | 42 |
| 12. ფულჰემი | 32 | 11 | 8 | 13 | 35-37 | 41 |
| 13. სანდერლენდი | 33 | 9 | 11 | 13 | 44-51 | 38 |
| 14. ვულვზი | 33 | 8 | 8 | 17 | 28-51 | 32 |
| 15. ბოლტონი | 33 | 8 | 8 | 17 | 36-61 | 32 |
| 16. უიგანი | 33 | 8 | 7 | 18 | 30-64 | 31 |
| 17. ვესტ ჰემი | 33 | 6 | 10 | 17 | 40-57 | 28 |
| 18. ჰალი | 32 | 6 | 9 | 17 | 31-66 | 27 |
| 19. ბარნლი | 33 | 6 | 6 | 21 | 32-71 | 24 |
| 20. პორტსმუთი | 33 | 6 | 5 | 22 | 28-60 | 13* |

** - პორტსმუთს დაკლებული აქვს 9 ქულა*



თუნჯაის მაკრატელა ბოატენგს კინაღამ ძვირად დაუჯდა

დამარცხებულთა ბანაკში



...გამარჯვებულთა ბანაკში კი ნახევარფინალში გასვლას აღნიშნავდნენ

# ნაგების ცოდნა

მას მერე, რაც „მანჩესტერ იუნაიტედი" მიუნხენის „ბაიერნმა" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალიდან გააგდო, ბევრისთვის კიდევ ერთხელ გახდა აშკარა, რომ ინგლისის ჩემპიონის თავკაცი სერ **ალექს ფერგიუსონი** ნაგებებს ღირსეულად ვერ ეგუება და წუწუნს იწყებს. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ფერგიმ დაიჩივლა, რომ მეტოქემ „სუფთა გერმანულად" გაიმარჯვა რაც თურმე იმას ნიშნავს, რომ მსაჯ **ნიკოლა რიცოლის** „ბაიერნის" ფეხბურთელები გარს რომ არ შემოხვეოდნენ, **რაფაელს** მოედნიდან არავინ გააძევებდა - მოგეხსენებათ, მანჩესტერელთა ბრაზილიელი ფეხბურთელი მეორე გაფრთხილების გამო დაითხოვეს მოედნიდან, ფერგი კი ამტკიცებს, რომ მას **ფრანკ რიბერის** წინააღმდეგ თამაშის წესი არ დაურღვევია. მანჩესტერელთა მწვრთნელის ვერსიით, მსაჯმა იგი მოედნიდან იმიტომ გააძევა, რომ „ბაიერნის" ფეხბურთელები გარშემო შემოეხვივნენ და იმოქმედეს. ფერგიუსონის ასეთმა განცხადებამ „ბაიერნის" პრეზიდენტი **ული ჰიონესი** გააბრაზა. მან 1999 წელი გაიხსენა და თქვა: *„1999-ში ჩვენ ვაჟკაცურად წავაგეთ და ახლა მანჩესტერელებისგანაც იმავეს ვითხოვთ".*

თუმცა სერ ალექსს მარტო ერთი ჩივილი რომ ჰქონოდა, რაღა უჭირდა. „სუფთა გერმანული გამარჯვების" გარდა მან მეტოქეს, აგრეთვე, **უეინ რუნიზე** ნადირობაში დასდო ბრალი და ერთიც ძალიან ბავშვური რამ დააყოლა - მოედანზე თერთმეტნი რომ ვყოფილიყავით, ჩვენ გავიმარჯვებდითო. ჰიონესმა დასძინა:

*„როგორც ჩანს, მას დამარცხება ისე ეწყინა, რომ გადამეტებული რეაქცია ჰქონდა. ჩვეულებრივ ის ჯენტლმენია, თუმცა იმაში, რაც ამ შემთხვევაში ილაპარაკა, მართალი არ იყო".*

„იუნაიტედის" სქოთი ნახევარმცველი **დარენ ფლეტჩერი** კი, როგორც ჩანს, შეფისგან განსხვავებით დამარცხებას უფრო ეგუება, რადგან უკვე პრემიერლიგის ბრძოლებზე ფიქრობს - ჩემპიონთა ლიგა ჩავლილი ამბავია. თუმცა, „ბაიერნთან" ორ თამაშს შორის სენდვიჩივით მოქცეულმა „ჩელსისთან" მარცხმაც შესაძლოა მანჩესტერელებზე ძალიან ცუდად იმოქმედოს. ამიერიდან ინიციატივა „იუნაიტედის" ხელთ არ არის - პირველ ადგილზე დასავლეთლონდონელები გადავიდნენ და უპირატესობასაც ისინი ფლობენ. თუ „ლურჯები" დარჩენილ შეხვედრებს მოიგებენ, ჩემპიონობაც მათ დარჩებათ.

26 წლის ფლეტჩერი გართულებულ მდგომარეობაზე ასე ფიქრობს: *„ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნა ძალიან გულდასაწყვეტი იყო. ამ მარცხთან შეგუებას, რასაკვირველია, დიდი ხანი დასჭირდება, მაგრამ ბიჭები რამენაირად თავს უნდა მოერიონ და თავიანთი მტკიცე ხასიათი გამოამჟღავნონ. ჩვენ სეზონის დამთავრებამდე კიდევ ხუთი თამაში გვაქვს ჩასატარებელი და პრემიერლიგის ტიტულისთვის ბრძოლას ვაგრძელებთ. კარგია, რომ ყოველ მომდევნო შეხვედრაზე შეგვიძლია გადავერთოთ. აი, ახლაც, მთელი გონება უკვე პრემიერლიგის შეხვედრისკენ უნდა მოვმართოთ და ეს ძალიან დაგვეხმარება. საერთოდაც, ყოველ სეზონში გუნდს პერიოდულად უწევს უტეხი სულის გამომჟღავნება. დიახ, ძალიან ძნელი პერიოდი გავიარეთ, „ჩელსისთანაც" დავმარცხდით და ჩემპიონთა ლიგიდანაც გავვარდით, მაგრამ სტიმულის გარეშე ხომ არ დავრჩენილვართ? დარჩენილ ხუთ შეხვედრაში ჩვენ ისევე უნდა ვითამაშოთ, როგორც „ბაიერნთან" საპასუხო შეხვედრის პირველ ტაიმში. თან, ჩემპიონთა ლიგისა თუ შუა კვირის სხვა თამაშები აღარ დაგვღლის, ასე რომ, შეგვიძლია ძალ-ღონე მოვიკრიბოთ და მიზნის მისაღწევად ყველაფერი გავაკეთოთ".*

არადა, „იუნაიტედის" „ბაიერნთან" დამარცხება მართლა ფრიად იშვიათი რამ გამოდგა. პირველ შეხვედრაში, მიუნხენში, ინგლისის ჩემპიონი 1:0-ს იგებდა, მაგრამ 2:1 წააგო, საპასუხო შეხვედრაში კი კვლავ იგებდა, ამჯერად 3:0-ს, თუმცა, პირველი ტაიმის მიწურულს ერთი გოლი გაუშვა (რითაც გერმანელებს გადარჩენის შანსი მისცა), შესვენების შემდეგ კი მეორეც გაუშვა და გავარდა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მეორე გოლის გაშვებამდე „იუნაიტედი" უმცირესობაში დარჩა, რაც გადამწყვეტ მომენტად მიიჩნიეს.

ფლეტჩერმა განაგრძო: *„პირველ ტაიმში ისე კარგად ვითამაშეთ, რომ ამის მერე ორი გოლის გაშვება და შეჯიბრებიდან გავარდნა საოცრება იყო. ზუსტად შესვენების წინ გატანილმა გოლმა მეტოქის ბრძოლას აზრი დაუბრუნა. არა მგონია, რომ ჩვენ „ბაიერნს" ბევრი საგოლე მომენტი მივეცით, მაგრამ ეს ისეთი გუნდია, საკმარისია ნახევარი მომენტი იხელთოს, რომ ჩათვალე, ბურთი შენი კარის ბადეშია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მიუნხენში ვერ ვითამაშეთ ისე, როგორც გვინდოდა და შეგვეძლო. კიდევ, ვფიქრობ, რომ მიუნხენში, შეხვედრის დასაწყისში გატანილმა გოლმა იმოქმედა ჩვენზე ცუდად. მივიჩნიეთ, რომ უკვე ხელჩასაჭიდი უპირატესობა გვქონდა. თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს. საპასუხო შეხვედრაში ხომ ჩვენ უდიდესი უპირატესობა გვქონდა და ის უნდა გამოგვეყენებინა".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

„ლიგა"
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ☎ 32 21 21, 31 73 24

იტალია

სერია A XXXIII ტურის წინ

# შეიცვლება ლიდერი?

## რომა და მილანი ფიორენტინას იმედად

ტურის ცენტრალური მატჩი ფიორენტინა-ინტერია



| დღეს | |
|---|---|
| ნაპოლი-პარმა | 20:00 |
| ფიორენტინა-ინტერი | 22:45 |

| ხვალ | |
|---|---|
| რომა-ატალანტა | 17:00 |
| მილანი-კატანია | 17:00 |
| პალერმო-კიევო | 17:00 |
| იუვენტუსი-კალიარი | 17:00 |
| სიენა-ბარი | 17:00 |
| ბოლონია-ლაციო | 17:00 |
| ლივორნო-უდინეზე | 17:00 |
| სამპდორია-ჯენოა | 22:45 |

XXXIII ტურის ცენტრალური შეხვედრა ფლორენციაში გაიმართება, სადაც „ფიორენტინა" „ინტერს" უმასპინძლებს. ჩემპიონთა ლიგაში წარმატებული ასპარეზობის ფონზე, სერია A-ში „ნერაძურის" პოზიციები გვარიანად შეირყა და საქმე იქამდე მივიდა, რომ შეიძლება ერთი წაფორხილება ლიდერობის დაკარგვის ტოლფასი გახდეს. არადა, „არტემიო ფრანკიზე" გამარჯვება რომ იოლი საქმე არ გახლავთ, ალბათ, ყველა დაგვეთანხმება. საკუთარ კედლებში „ვიოლა" პრაქტიკულად არ აგებს და გამომდინარე აქედან, დიდია შანსი, რომ ამ უქმეებზე ლიდერი შეიცვალოს. ეს კიდევ უფრო დამაინტრიგებელს ხდის მოახლოებულ პაექრობას და მთლიანად ტურს.

**ჟოზე მოურინიო** ფლორენციელებთან ჯახს განსაკუთრებული დანაკლისის გარეშე ხვდება. გასაკვირია, მაგრამ „ინტერის" არც ერთი ფეხბურთელი არ გახლავთ დისკვალიფიცირებული. მიმდინარე სეზონში ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდება. სამი მოთამაშე ტრავმირებულია: **დავიდე სანტონი, ფრანჩესკო ტოლდო** და **ტიაგო მოტა**. კი ვთქვით, სერიოზული დანაკლისი არ არისო, მაგრამ მოტას არყოფნა მაინც პრობლემად უნდა მივიჩნიოთ. ბოლო დროს ტიაგო შესანიშნავად ათამაშდა და გუნდის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ ჩამოყალიბდა. ბრწყინვალე შეხვედრა ჩაატარა ლონდონში, „ჩელსის" წინააღმდეგ, „ბოლონიასთან" კი სულაც დუბლი გაახერხა. რაც შეეხება სანტონს, როგორც გუშინდელ ნომერში გამცნეთ, საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო და სავარაუდოდ, სეზონის ბოლომდე ველარც ითამაშებს.

„გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, მოურინიო მის ერთ-ერთ ფავორიტ ტაქტიკას, 4-2-3-1-ს აირჩევს. ასეთ სქემას პორტუგალიელი ძირითადად გასვლით პაექრობებში მიმართავს, უფრო მეტად მაშინ, როდესაც ძლიერ მეტოქესთან უწევს ურთიერთობის გარკვევა. ამ მოდელით ჟოზე მოედნის ცენტრზე გაბატონებას და ტერიტორიული უპირატესობის მოპოვებას შეეცდება. ვნახოთ, რამდენად კარგად გამოუვა ეს ყველაფერი.

ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი **დიეგო მილიტო** იქნება, რომელსაც სამი ფეხბურთელი გაუმაგრებს ზურგს: **უესლი სნეიდერი, მარიო ბალოტელი** და **სამუელ ეტო'ო**. როგორც უკვე მიხვდით, ჰოლანდიელი ცენტრში ითამაშებს, ნომინალური ფორვარდები კი ფლანგებიდან შეუტევენ. თუმცა, ბალოტელის და ეტო'ოს დაცვითი ფუნქციების შესრულებაც მოუწევთ. საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციებს **ესტებან კამბიასო** და **ხავიერ ძანეტი** შეასრულებენ - ასეთ დროს „ინტერის" საჯარიმოს მისადგომები საგულდაგულოდ იკეტება, რაც **ჩეზარე პრანდელიმ** აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.

ერთადერთი ფეხბურთელი, რომელსაც პრანდელი მოისაკლისებს, **ალესანდრო გამბერინი** გახლავთ. იტალიის ნაკრების კანდიდატს **კომოტო** შეცვლის, თუმცა გამბერინისგან განსხვავებით, მარჯვენა ფლანგზე იასპარეზებს. ცენტრში **მასიმო გობი** შემოიწევს და **კროლდრუპს** შეუწყვილდება, დაცვის მარცხენა ფრთას კი **ფელიპე** გაამაგრებს. სინიორ ჩეზარე სავარაუდოდ 4-3-2-1 ტაქტიკას აირჩევს და შეტევის წინა ხაზზე **ალბერტო ჯილარდინოს** გაამწესებს. ტრადიციულად, ჯილას ფლანგებიდან **მანუელ ვარგასი** და **სტევან იოვეტიჩი** დაეხმარებიან. საერთოდ, ძლიერ მეტოქეებთან პრანდელის 4-4-1-1-ით უყვარს თამაში, მაგრამ ამჯერად მხოლოდ მოგება აძლევს ხელს და მთლად ასეთ ჩაკეტილ ტაქტიკას ვერ დაეყრდნობა.

ფლორენციელები ჯერ კიდევ არ იშლიან თავისას და ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრაზე ოცნებობენ. თუ „ინტერთან" სამი ქულის მოპოვება ვერ შეძლეს, ამ ოცნებასთანაც მოუწევთ განშორება. შესაძლოა, სწორედ ამაშია სტუმართა შანსი - „ვიოლა" გაიხსნება და ზონებს მოაშიშვლებს, რისი გამოყენებაც მილანელებს ძალიან კარგად ეხერხებათ.

სატურნირო ცხრილში „ფიორენტინას" მე-8 ადგილი უკავია და სანუკვარ მე-4 ადგილამდე ექვსი ქულა აშორებს. საქმეს ის ართულებს, რომ გარდა „პალერმოსი", რომელიც ამ დროისთვის სწორედ მეოთხე პოზიციაზეა, ფლორენციელებს კიდევ სამი გუნდის ჩამოცილება მოუწევთ: „ნაპოლის", „სამპდორიას" და „იუვენტუსის". თავად განსაჯეთ, რამდენად რეალურია ამის შესაძლებლობა.

ლიდერთან ჯახს მოუთმენლად ელის სტევან იოვეტიჩი, მისი თქმით, საკუთარ კედლებში „ფიორენტინას" ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია:

*„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამ უქმეებზე იტალიის საუკეთესო გუნდთან მოგვიწევს შეტოქება. „ინტერი" ძალიან ძლიერი გუნდია და ამას საერთაშორისო სარბიელზეც ამტკიცებს. მიუხედავად ამისა, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მჯერა, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. ამისთვის მაქსიმუმის გაღებაა საჭირო და ეს კარგად გვაქვს გაცნობიერებული. მიზანი სამი ქულის მოპოვებაა და შესაბამისად, დაცვაში ჩადგომას არ ვაპირებთ. ვეცდებით, მეტოქეს საკუთარი თამაში მოვახვიოთ თავს და იმედია, გამოგვივა კიდეც. „არტემიო ფრანკიზე" ნებისმიერი მოწინააღმდეგის დამარცხება შეგვიძლია, მათ შორის მილანური გრანდის".*

### სავარაუდო შემადგენლობები

**ფიორენტინა (4-3-2-1):** ფრეი - კომოტო, გობი, კროლდრუპი, ფელიპე - სანტანა, ბოლატი, მონტოლივო - ვარგასი, იოვეტიჩი - ჯილარდინო.

**ინტერი (4-2-3-1):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, სამუელი, კივუ - ძანეტი, კამბიასო - ბალოტელი, სნეიდერი, ეტოო - მილიტო.

დღეს თუ „ინტერმა" „ფიორენტინას" დამარცხება ვერ მოახერხა, რომის ოლიმპიური სტადიონი ნამდვილად გადაიჭედება. და ეს მიუხედავად იმისა, რომ „ჯალოროსის" არა რომელიმე გრანდთან, არამედ, ბერგამოს „ატალანტასთან" უწევს დაპირისპირება. საქმე იმაშია, რომ მოვლენათა ასეთი განვითარების შემთხვევაში, **კლაუდიო რანიერის** შეგირდები გალიდერების ბრწყინვალე შესაძლებლობას მიიღებენ.

დედაქალაქელები მოახლოებულ პაექრობას სრული საბრძოლო შემადგენლობით ხვდებიან, არც ტრავმებს უჩივიან, არც დისკვალიფიკაციებს. რანიერი ალბათ მოურინიოს მსგავს ტაქტიკას აირჩევს და ერთი გამოკვეთილი ფორვარდით შეუტევს. ეს მისია **ლუკა ტონის** დაეკისრება, თუმცა მოედანზე იქნებიან **ფრანჩესკო ტოტი** და **მირკო ვუჩინიჩი**. ისინი უფრო სიღრმიდან შეუტევენ, მაგრამ არა გვგონია, ამან ბერგამოელ მცველებს საქმე გაუადვილოს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც შემტევი პოტენციალი სიღრმეში დაიმალება და საჭირო მომენტში ამოხეთქავს. თუ მედგრად არ დადგებიან სტუმრები, ნამდვილად ცუდი დღე დაადგებათ, რადგან „რომა" შესანიშნავ ფორმაშია და თამაშს თამაშზე იგებს.

სხვა რა შეიძლება ითქვას, მოედნის ცენტრის გაკონტროლებას **დანიელე დე როსი, დავიდ პისარო** და **როდრიგო ტადეი** შეეცდებიან, დაცვის მარცხენა ფრთაზე კი **არნე რიისე** გაირჯება. ნორვეგიელზე იმად გავამახვილეთ ყურადღება, რომ ხშირად მთელ ფლანგს აკონტროლებს და მცველობასთან ერთად, გარემარბის ფუნქციებსაც ითავსებს. ვნახოთ, ამჯერად როგორ ითამაშებს სკანდინავიელი და მთლიანად „რომა".

### სავარაუდო შემადგენლობები

**რომა (4-2-3-1):** ჟულიო სერჟიო - კასეტი, ბურდისო, ჟუანი, რიისე - პისარო, დე როსი - ტადეი, ტოტი, ვუჩინიჩი - ტონი.

**ატალანტა (4-4-2):** კონსილი - კაპელი, ბიანკო, პელეგრინი, მანფრედინი - პერეირა პინტუ, პადოინი, დე აშენტისი, ვალდესი - ტირიბოკი, ამორუზო.

ბოლო დღეებია, თითქოს პირი შეკრეს მილანელებმა - ყველა იმას იძახის, მჯერა, სკუდეტო ჩვენ დაგვრჩებაო. ან რაღაც წინათგრძნობა აქვთ, ან კარგად ესმით, რომ კონკურენტებს უკეთესი შანსები აქვთ და ასეთი გამონათქვამებით თუ ინუგეშებენ თავს. თუმცა, ასე სკეპტიკურადაც ნუ ვიქნებით განწყობილნი, რადგან ერთ ტურში შეიძლება ყველაფერი თავდაყირა დადგეს.

**ლეონარდოს** ტრავმირებული ფეხბურთელები აკლია, მაგრამ ამას უკვე იმდენად მივეჩვიეთ, რომ დანაკლისზე საუბარი ცოტა გაგვიჭირდება. აბა როგორ ვთქვათ, **დევიდ ბექჰემის** არყოფნა დანაკლისიაო, როდესაც ინგლისელი უმძიმეს ტრავმას იშუშებს და ჯერ კიდევ კაცმა არ იცის, მომავალ სეზონში რომელი კლუბის ღირსებას დაიცავს. თუნდაც **ალეშანდრე პატო** ავიღოთ, ნახევარი სეზონი გაუცდა და მისი არყოფნა უკვე ჩვეულებრივ ამბად გვეჩვენება. ალარაფერს ვამბობთ **ამანტინო მანსინიზე**, რომელიც „ინტერის" ლაზარეთიდან „მილანის" ლაზარეთში გადაბარგდა და ალბათ იქ ახდენს „შესაძლებლობების დემონსტრირებას".

ლეო კვლავ სამი ფეხბურთელით შეუტევს - ერთი **რონალდინიო** იქნება, მეორე კლას-იან ჰუნტელაარი, მესამე კი მარკო ბორიელო. **ფილიპო ინძაგიმ** ღიად განაცხადა, მეტი სათამაშო დრო მჭირდებაო, მაგრამ კვლავ სათადარიგოთა სკამზე მოიაზრება. სტაბილურად ხვდება განაცხადში **კახა კალაძეც**, თუმცა მისი მოედანზე გასვლის შანსები ძალიან მცირეა. კინაღამ დაგვავიწყდა, „მილანი" „კატანიას" მიიღებს, გუნდს, რომელმაც ბოლო შეხვედრები აღმაფრენით ჩაატარა. სიცილიელები **მასკარა-მაქსი ლოპესით** შეუტევენ და ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან.

ბოლოს, **სილვიო ბერლუსკონის** გადავცეთ სიტყვა, რომელმაც „მილანის" თამაში მკაცრად გააკრიტიკა: *„ბოლო შვიდ თამაშში მხოლოდ ექვსი გოლი გავიტანეთ, რაც ძალიან ცუდი შედეგია. ჩვენი ფორვარდები სიღრმიდან თამაშობენ, ზედმეტად იწევენ უკან და რა გასაკვირია, რომ გოლების გატანა უჭირთ. საერთოდაც, გაცილებით უფრო მეტი უნდა ვიმოძრაოთ მოედანზე, სხვაგვარად, წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია. მიუხედავად ამისა, მინდა დავიტოვო იმედი, რომ ბოლო შეხვედრებს მაღალ დონეზე ჩავატარებთ".*

### სავარაუდო შემადგენლობები

**მილანი (4-3-2-1):** დიდა - ძამბროტა, ტიაგო სილვა, ფავალი, ანტონინი - პირლო, ამბროზინი, ზეედორფი - რონალდინიო, ჰუნტელაარი - ბორიელო.

**კატანია (4-4-2):** ანდუხარი - პოტენცა, სპოლი, ტერლიცი, კაპუანო - კარბონი, ბიაჯანტი, რიკიუტი, იცკო - მაქსი ლოპესი, მასკარა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 32 | 19 | 9 | 4 | 61-28 | 66 |
| 2. რომა | 32 | 19 | 8 | 5 | 57-35 | 65 |
| 3. მილანი | 32 | 18 | 9 | 5 | 52-31 | 63 |
| 4. პალერმო | 32 | 14 | 9 | 9 | 46-40 | 51 |
| 5. სამპდორია | 32 | 14 | 9 | 9 | 40-38 | 51 |
| 6. ნაპოლი | 32 | 12 | 13 | 7 | 42-37 | 49 |
| 7. იუვენტუსი | 32 | 14 | 6 | 12 | 48-47 | 48 |
| 8. ფიორენტინა | 32 | 13 | 6 | 13 | 44-37 | 45 |
| 9. ჯენოა | 32 | 12 | 9 | 11 | 52-52 | 45 |
| 10. ბარი | 32 | 11 | 10 | 11 | 38-38 | 43 |
| 11. პარმა | 32 | 11 | 10 | 11 | 32-39 | 43 |
| 12. კალიარი | 32 | 11 | 7 | 14 | 50-50 | 40 |
| 13. კატანია | 32 | 9 | 11 | 12 | 36-36 | 38 |
| 14. კიევო | 32 | 10 | 8 | 14 | 28-31 | 38 |
| 15. უდინეზე | 32 | 9 | 8 | 15 | 41-49 | 35 |
| 16. ბოლონია | 32 | 9 | 8 | 15 | 34-47 | 35 |
| 17. ლაციო | 32 | 7 | 13 | 12 | 28-34 | 34 |
| 18. ატალანტა | 32 | 8 | 7 | 17 | 31-42 | 31 |
| 19. სიენა | 32 | 6 | 8 | 18 | 32-55 | 26 |
| 20. ლივორნო | 32 | 6 | 8 | 18 | 22-48 | 26 |

**ლაშა წიკლაური**



გერმანია

ბუნდესლიგა, XXX ტური, წინ

# შეაჩერებს ჰაინკესი ბაიერნს?

## სლომკას შალკეზე შურისძიება სურს

| | |
|---|---|
| **გუშინ** | |
| ბორუსია (მ)-აინტრახტი | 2:0 |
| **დღეს** | |
| ჰერტა-შტუტგარტი | 17:30 |
| მაინცი-ბორუსია (დ) | 17:30 |
| ჰანოვერი-შალკე | 17:30 |
| ჰოფენჰაიმი-კიოლნი | 17:30 |
| ვერდერი-ფრაიბურგი | 17:30 |
| ლევერკუზენი-ბაიერნი | 20:30 |
| **ხვალ** | |
| ბოხუმი-ჰამბურგი | 17:30 |
| ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 19:30 |

სეზონის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე, ბუნდესლიგა ყველა ფრონტზე უალრესად დაძაბულ და ძალიან საინტერესო ბატალიებს გვპირდება. 30-ე ტურის ცენტრალური მატჩი კი დღეს საღამოს ლევერკუზენის „ბაი არენაზე" გაიმართება, სადაც მესამეადგილოსანი ბოლო დროს ძალიან არეული და წარუმატებელი „ბაიერი", რომელსაც მესამე ადგილის დაკარგვის საფრთხეც დაემუქრა, ლიდერ „ბაიერნს" უმასპინძლებს. მესამე ადგილზე გადასვლის ნომერ პირველი კანდიდატი კი დორტმუნდის „ბორუსიაა", რომელიც ამ ტურში „მაინცს" სტუმრობს.

გელზენკირხენის „შალკეს", რომელიც წინა ტურში „ბაიერნთან" „საჩემპიონო მატჩში" დამარცხდა და პირველი ადგილი დაკარგა, დღეს ლიდერობის დაბრუნება შეუძლია - მინიმუმ ერთი საათით, რადგან „ბაიერნი" მოგვიანებით თამაშობს. მაგრამ ამისათვის აუცილებელია, რომ **ფელიქს მაგათის** გუნდმა ერთ-ერთ აუტსაიდერ „ჰანოვერს" მოუგოს. აქ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ „ჰანოვერს" **მირკო სლომკა** წვრთნის - სპეციალისტი, რომელსაც „შალკესთან" ანგარიში აქვს გასასწორებელი და შურისძიების სურვილი ამოძრავებს. საქმე იმაშია, რომ არც ისე შორეულ წარსულში სლომკა „შალკეს" თავკაცი იყო და მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ სიმპათიური და არცთუ წარუმატებელი გუნდი ჰყავდა, გელზენკირხენული კლუბიდან დაიფრინეს. ფაქტია, რომ სლომკა დღეს ძალიან თხოვს თავის შეგირდებს, „შალკესთან" მაქსიმალური კონცენტრაციით ითამაშონ და იქნება თუ არა ეს საკმარისი იმისათვის, რომ „წითლებმა" „ხუმარები" დაამარცხონ, ეს საღამოს გამოჩნდება. ფაქტია ისიც, რომ „ჰანოვერს", როგორც „შალკეს", ქულები ჰაერივით სჭირდება. მაგათს უკანა ხაზში მოუწევს იძულებითი ცვლილებები, რადგან დაცვის ბურჯი **მარსელო ბორდონი** დისკვალიფიცირებულია (ბრაზილიელი წინა ტურში გააძევეს). „ჰანოვერში" კი **ირჟი შტაინერს** ვერ ვნახავთ, რადგან ეს უკანასკნელიც დისკვალიფიცირებულია.

„ჰანოვერი" 24 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა და მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება „ფრაიბურგს", რომელსაც დღევანდელი მდგომარეობით რელეგაციაზე, მეორე ბუნდესლიგის მესამეადგილოსანთან მოუწევს პლეი ოფი. ამავდროულად, სლომკას გუნდი ორი ქულით უსწრებს ბერლინის „ჰერტას", რომელიც გააფთრებული იბრძვის გადარჩენისთვის და ბოლო დროს სასიცოცხლო მნიშვნელობის ქულების დაგროვება დაიწყო. ბერლინელებს სამმატჩიანი წაუგებელი სერია აქვთ და ბოლო სამ ტურში შვიდი ქულა მოიპოვეს (მოგება ვოლფსბურგში, ფრე „დორტმუნდთან" და მოგება კიოლნში). „ჰერტა" დღეს ევროპის ლიგის საგზურის მაძიებელ „შტუტგარტს" მასპინძლობს და მოგების შემთხვევაში, ბოლო ადგილისთვის თავის დაღწევა შეუძლია. ამისათვის კი, საჭიროა, რომ **ლევან კობიაშვილის** გუნდმა ბოლოს და ბოლოს საკუთარ მოედანზეც ითამაშოს ისეთი ფეხბურთი, როგორიც ვოლფსბურგსა (5:1) და კიოლნში (3:0) ითამაშა. თუმცა „ჰერტას" „შტუტგარტის" სახით ძალიან რთული მეტოქე ჰყავს. შვაბებმა წინა ტურში მიონხენგლადბახის „ბორუსია" დაამარცხეს (2:1), იმის წინ კი, ასეთივე ანგარიშით თვით მიუნხენის „ბაიერნსაც" მოუგეს და ამრიგად, დღესდღეობით, **კრისტიან გროსის** ფორმაციის „შტუტგარტი" ბუნდესლიგის მეორე წრის საუკეთესო გუნდია. და გროსის გუნდი ევროპის ლიგის საგზურისთვის იბრძვის.

დორტმუნდის „ბორუსიას" კი, როგორც შესავალშიც აღვნიშნეთ, უფრო მაღალი მიზანი ამოძრავებს. მას მერე, რაც შავ-ყვითლები საუკეთესო ხუთეულს გაუშინაურდნენ, ხოლო მესამეადგილოსანმა „ლევერკუზენმა" კი ქულების განიავება დაიწყო, „ბორუსიას" ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, პირველად გაუჩნდა ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსი. შავ-ყვითლებმა წინა ტურში უშუალო კონკურენტ „ვერდერს" მოუგეს და საოცნებო მესამე ადგილს ახლა მხოლოდ ერთი ქულა აშორებთ. „მაინცთან" გასვლით მატჩში დორტმუნდელები კაპიტან **სებასტიან კელს** ვერ გამოიყენებენ, რომელმაც ისევ ტრავმა მიიღო. სამაგიეროდ, მწყობრში ჩადგა და ძირითადში იქნება დორტმუნდელთა მთავარი გოლეადორი **ლუკას ბარიოსი**. მაინცის „შტადიონ ამ ბრუხვეგზე" დაბრუნება „დორტმუნდის" თავკაც **იურგენ კლოპისთვის** განსაკუთრებული მოვლენაა. თვითონ განსაჯეთ: კლოპმა „მაინცში" 18 (!) წელი იმუშავა: 340 მატჩი როგორც ფეხბურთელი ემსახურა, 270 მატჩი - როგორც მწვრთნელი. თუმცა ფაქტია, რომ კლოპი მაინცელებს ამჯერად საჩუქრებს ვერ (არ) ჩაუტანს, რადგან „ბორუსიას" ძალიან სჭირდება სამი ქულა. „მაინცს" ერთ-ერთი ლიდერი, **ანდრეას ივანშიტცი** არ ეყოლება.

„ჰოფენჰაიმისა" და „კიოლნის" სახით ერთმანეთს ისეთი გუნდები ხვდებიან, რომლებსაც ამ სეზონში დიდად ალარაფერი ანერვიულებთ, მაგრამ ამ მომენტში ძალიან გაბრაზებულები არიან, რადგან წინა ტურში, „ჰოფენჰაიმი" ვოლფსბურგში განადგურდა (0:4), „კიოლნი" კი აუტსაიდერ „ჰერტასთან" (0:3). ასე რომ, დღეს ორივე გუნდი მდგომარეობის გამოსწორებისთვის იბრძოლებს და ვნახოთ, რომელს გამოუვა. ისე, „კიოლნს" უფრო მეტად სჭირდება ქულები, რადგან ცხრილში „ჰოფენჰაიმზე" ქვემოთაა და ელიტაში დარჩენა ჯერ არ გაუნაღდებია.

„ვერდერი" „ფრაიბურგს" მასპინძლობს და ლოგიკურად, ამ მატჩის შედეგის გამოცნობა ძალიან ადვილია - მით უმეტეს, რომ პირველ წრეში „მუსიკოსებმა" „ფრაიბურგი" მისსავე სტადიონზე 6:0 გაანადგურეს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ფრაი" გადარჩენისთვის იბრძვის. სამაგიეროდ, „ვერდერს" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის სურს გაბრძოლება, რადგან ევროპის ლიგის საგზური უკვე განაღდებული აქვს (თასის ფინალიდან). ჰოდა, თუ ბრემენელები სერიოზულად ფიქრობენ ჩემპიონთა ლიგაზე, მაშინ „ფრაიბურგთან" სამი ქულის მოპოვება ვალდებულებაა.

მთავარი მატჩი კი ჩვენი დროით, 20 საათსა და 30 წუთზე დაიწყება: ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტი „ბაიერნი" „ლევერკუზენს" სტუმრობს. „ბაიერი" არის გუნდი, რომელმაც სეზონის პირველი ნახევარი ძალიან კარგად ჩაატარა და პირველი წრე ისე მოიგო, რომ ერთი წაგებაც არ ჰქონდა, სამაგიეროდ, ბოლო ხუთი მატჩიდან ოთხი წააგო. შესაბამისად, „ფარმაცევტების" მთავარი მწვრთნელი **იუპ ჰაინკესი** შიშობს, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურს დაკარგავს. რაც მთავარია, „დონ იუპს" მთავარი გოლეადორი **შტეფან კისლინგი** ჰყავს კარგ ფორმაში - ამ უკანასკნელმა წინა ტურში, „აინტრახტთან" წაგებულ მატჩში (2:3) დუბლი შეასრულა. „ბაიერნს" ორი კვირაა, სულ უმნიშვნელოვანესი შეხვედრები აქვს. „შალკე", „მანჩესტერი", „შალკე", „მანჩესტერი" და ახლა „ლევერკუზენი" - მიუნხენელებმა მოედანი ოთხივე მატჩის შემდეგ გახარებული სახეებით დატოვეს, ჯერ კიდევ სამივე ტიტულის მოსაგებად იბრძვიან და უნდათ, რომ სეზონი მინიმუმ „ვერცხლის სინით" დაასრულონ და გერმანიის ჩემპიონობა ოცდამეორედ იზეიმონ.



ლუის ვან გაალი და იუპ ჰაინკესი. პირველ წრეში მათი შეხვედრა მშვიდობიანად (1:1) დასრულდა

### სავარაუდო შემადგენლობები

**ლევერკუზენი (4-2-2-2):** ადლერი - კასტრო, მ. ფრიდრიხი, ჰიიპია, კადლეცი - ვიდალი, რაინარტცი - ბარნეტა, კროოსი - კისლინგი, დერდიოკი.

**ბაიერნი (4-2-3-1):** ბუტი - ლამი, ვან ბუიტენი, დემიკელისი, ბადშტუბერი - ვან ბომელი, შვაინშტაიგერი - რობენი, თ. მიულერი, რიბერი - ოლიჩი.

ხვალ კი, ტრადიციულად, ის კლუბები თამაშობენ, რომლებმაც ევროპის ლიგაში იასპარეზეს. „ჰამბურგმა" მიზანს მიაღწია და ნახევარფინალში გააღწია, „ვოლფსბურგი" კი „ფულჰემთან" დამარცხდა ახლა შეუძლია, მხოლოდ ბუნდესლიგაზე გადაერთოს. ჰამბურგელებს სრული უფლება აქვთ, უხაროდეთ ევროპის ლიგის ნახევარფინალში გასვლა (მით უმეტეს, რომ ფინალი ჰამბურგში ტარდება), მაგრამ თუ ბუნდესლიგაში მდგომარეობა არ გამოასწორეს, სეზონი ჩაგდებულად გამოცხადდება. მეორე წრის სატურნირო ცხრილში **ბრუნო ლაბადიას** გუნდი მეთერთმეტე ადგილზეა და მხოლოდ კარგად ჩატარებული პირველი წრის დამსახურებაა ის, რომ ჩრდილოელებს ჯერ კიდევ აქვთ ევროპის ლიგის საგზურის მოპოვების შანსი. დღეს „ჰამბურგს" „ბოხუმთან" ექნება საქმე, რომელსაც შვიდმატჩიანი მოუგებელი სერია აქვს, რის გამოც სახიფათო ზონას ძალიან მიუახლოვდა.

რაც შეეხება „ნიურნბერგს", რომელიც „ვოლფსბურგს" ეთამაშება. პირველი წრე ფრანკებმა ისე დაასრულეს, რომ ეს გუნდი ყველამ ჩამოწერა. მაგრამ სეზონის მეორე ნახევარში **დიტერ ჰეკინგის** ახალგაზრდა გუნდმა იმდენი მოახერხა, რომ გასავარდნ ზონას თავი დააღწია და საუკეთესო შანსი აქვს, ელიტაში ადგილი შეინარჩუნოს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 29 | 17 | 8 | 4 | 57-27 | 59 |
| 2. შალკე | 29 | 17 | 7 | 5 | 47-24 | 58 |
| 3. ლევერკუზენი | 29 | 14 | 11 | 4 | 58-33 | 53 |
| 4. ბორუსია (დ) | 29 | 15 | 7 | 7 | 48-34 | 52 |
| 5. ვერდერი | 29 | 13 | 9 | 7 | 59-37 | 48 |
| 6. ჰამბურგი | 29 | 11 | 12 | 6 | 48-33 | 45 |
| 7. შტუტგარტი | 29 | 12 | 8 | 9 | 43-37 | 44 |
| 8. აინტრახტი | 30 | 12 | 8 | 10 | 40-44 | 44 |
| 9. ვოლფსბურგი | 29 | 12 | 7 | 10 | 56-51 | 43 |
| 10. მაინცი | 29 | 10 | 8 | 11 | 29-37 | 38 |
| 11. ბორუსია (მ) | 30 | 10 | 7 | 13 | 39-49 | 37 |
| 12. ჰოფენჰაიმი | 29 | 9 | 7 | 13 | 35-36 | 34 |
| 13. კიოლნი | 29 | 7 | 10 | 12 | 27-38 | 31 |
| 14. ნიურნბერგი | 29 | 7 | 7 | 15 | 28-47 | 28 |
| 15. ბოხუმი | 29 | 6 | 10 | 13 | 31-52 | 28 |
| 16. ფრაიბურგი | 29 | 6 | 7 | 16 | 27-51 | 25 |
| 17. ჰანოვერი | 29 | 6 | 6 | 17 | 30-54 | 24 |
| 18. ჰერტა | 29 | 5 | 7 | 17 | 30-48 | 22 |



ბაიერნის გეგმები. რიბერი უნდა დარჩეს, ჯეკო და რაფინია უნდა მოვიდნენ

ბაიერნი

# მიუნხენში ტრანსფერებს გეგმავენ

## კლოზე, ტიმოშჩუკი და 20 მილიონი ჯეკოს სანაცვლოდ?

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლამ მიუნხენის „ბაიერნს" მარტო სპორტული წარმატება კი არა, ბევრი ფულიც მოუტანა. მიუნხენურმა გრანდმა ჩემპიონთა ლიგაში წელს უკვე 50 მილიონი ევრო იშოვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რეკორდმაისტერს თამამად შეუძლია, ზაფხულში გუნდი კიდევ უფრო გააძლიეროს. „ბაიერნის" ხელმძღვანელები დიდი ხანია, აღარ ძუნწობენ და თითქმის ყოველ ზაფხულს ყიდულობენ რამდენიმე კარგ ფეხბურთელს. ახლა კი, როცა კლუბმა მარტო ჩემპიონთა ლიგაში 50 მილიონი იშოვა, ცხადია, ზაფხულის სატრანსფერო სეზონზე ფულს კიდევ უფრო თამამად დახარჯავენ.

*„ჩვენი მიზანი ის კი არ არის, ბიუჯეტი გაიზარდოს, არამედ ის, რომ გუნდი გაძლიერდეს. მართალია, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლა ძალიან დიდი მიღწევაა, მაგრამ ჩვენ არ ვართ ისეთი გულუბრყვილოები უკვე ვფიქრობდეთ, რომ „ბარსელონას" და „ინტერს" გავუტოლდით. ზაფხულში გუნდი უნდა გავაძლიეროთ და კიდევ ერთი ნაბიჯი უნდა გადავდგათ იმისკენ, რომ „ბაიერნი" ევროპის სუპერგრანდი გახდეს,"* - ეს სიტყვები კლუბის ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** ეკუთვნის.

პირველ რიგში აუცილებელია, რომ მიუნხენურმა კლუბმა **ფრანკ რიბერი** შეინარჩუნოს. ფრანგი ნახევარმცველი 27 წლის გახდა და დაბადების დღეზე პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** მას გრანდიოზული ტორტი გადასცა, რუმენიგემ კი „ბაიერნის" კალამი, რაც ცხადია იმას ნიშნავს, რომ რიბერიმ რეკორდმაისტერთან ახალი კონტრაქტი უნდა გააფორმოს. შეგახსენებთ, რომ თუ რიბერი ახალ კონტრაქტს ხელს არ მოაწერს, „ბაიერნი" იძულებული გახდება, ზაფხულში გაყიდოს, რადგან გაისად რიბერის საზღაურის გარეშე დაკარგავს.

რომელ პოზიციაზე სჭირდება რეკორდმაისტერს გაძლიერება? მოდი, ერთად გავაანალიზოთ „ბაიერნში" შექმნილი ვითარება. დავიწყოთ ფლანგის მცველებით: **ფილიპ ლამს** დაცვაში ორივე ფლანგზე შეუძლია თამაში, მთავარ მწვრთნელ **ლუის ვან გაალს** კი ურჩევნია, რომ ფილიპმა მარცხნივ ითამაშოს. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ზაფხულში ბავარიელები მორიგ იერიშს მიიტანენ „შალკეს" მარჯვენა მცველ **რაფინიაზე**, რომელიც 13 მილიონი ევრი ღირს. მიუნხენში სერიოზულად ფიქრობენ **დარიო სრნას** (შახტარი) კანდიდატურაზეც.

„ბაიერნში" ცენტრალური მცველების ნაკლებობაა. **დანიელ ვან ბუიტენი** და **მარტინ დემიკელისი** ცუდად არ გამოიყურებიან, მაგრამ რეკორდმაისტერის უკანა ხაზს ხშირად ეტყობა სისუსტე. **ჰოლგერ ბადშტუბერი** კი ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და „მანჩესტერთან" საპასუხო მატჩშიც გამოჩნდა, რომ მისთვის სრული ნდობის გამოცხადება ნაადრევი იყო. არა გვგონია, რომ „ნიურნბერგში" განათხოვრებული **ბრენო** მიუნხენში ისე დაბრუნდეს, რომ ვან გაალი გადარიოს. შესაბამისად, ფაქტია, რომ ბავარიელებს ზაფხულში ერთი კარგი ცენტრალური მცველიც დასჭირდებათ.

მეკარის საკითხი ფაქტობრივად გადაწყვეტილია: მიუნხენელებმა **ჰანს იორგ ბუტს** კონტრაქტი გაუგრძელეს. მართალია, შალკელი **მანუელ ნოიერის** შეძენა ძალიან უნდათ, მაგრამ **ფელიქს მაგათი** ამ უკანასკნელს (ჯერ) არ უშვებს.

დაბოლოს, ყველაზე მთავარი: გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ბაიერნი" ვოლფსბურგელი **ედინ ჯეკოთია** დაინტერესებული, მაგრამ არა გვგონია, რეკორდმაისტერი მზად იყოს, მარიო გომესში 35 მილიონის გადახდის შემდეგ, ჯეკოში 40 მილიონი გაიქნიოს. არადა, ჯეკოს შესაძენად ზუსტად ამდენია საჭირო. „ბილდის" ცნობით, „ბაიერნი" „ვოლფსბურგს" საკმაოდ საინტერესო წინადადებას უმზადებას: **მიროსლავ კლოზე, ანატოლი ტიმოშჩუკი** და 20 მილიონი ევრო ჯეკოს სანაცვლოდ!

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ზიძის ზარატამშვილი წარმოგიდგენთ

# იქ, ამერიკაში...

## არგენტინა

# გრანდები ვეტერანებს ემშვიდობებიან

კლაუსურას ბოლო ტურში „რივერმა“ და „ბოკამ“ კვლავ წყვილად წააგეს. „რივერისთის“ ეს ზედიზედ მეოთხე მარცხია, „ბოკასთვის“ - მესამე. ახლა არგენტინული ფეხბურთის ყველაზე ტიტულოვანი გუნდები, შესაბამისად, ცხრილის მე-16 და მე-19 ადგილებზე იმყოფებიან.

ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში ნათელი იყო, რომ არც „ბოკა“ და არც „რივერი“ მზად არ იქნებოდნენ მაღალი მიზნებისთვის საბრძოლველად. ჩვენი ვარაუდი არგენტინული ფეხბურთის გრანდების სავალალო მდგომარეობის შესახებ, სრულად გამართლდა. ყველაფერთან ერთად, წელს ისინი არც კონტინენტურ საკლუბო ტურნირებში მონაწილეობენ.

თითქმის არასოდეს მომხდარა, რომ გრანდებს ასე ადრე დაჰკარგვოდათ ინტერესი ჩემპიონატისადმი და მხოლოდ „სუპერკლასიკოზე“ გადაეტანათ აქცენტი. ახლა კი, როცა „სეზონის მატჩი“ ნათამაშებია (ამის შესახებ ჩვენ ვრცელ წერილში ვისაუბრეთ), კლუბებმა უკვე სამომავლო პირველობისთვის დაიწყეს მზადება და უკვე ალაპარაკდნენ შემადგენლობების რევოლუციურ გადახალისებაზე.

სპორტული და ფინანსური კრიზისის ფონზე მოსალოდნელია, რომ მომდევნო ჩემპიონატს ორივე გუნდი რადიკალურად განახლებული შეხვდება. ლაპარაკია ვეტერანთა გაშვებაზე, რაც არგენტინულ პრესას განსჯის ახალ თემას აძლევს.

მოდი, ჩვენც გადავხედოთ არსებულ მდგომარეობას და ვნახოთ, რას უნდა ველოდოთ უახლოეს მომავალში.

### ბოკა ხუნიორსი

კრიზისის პირველი ნიშნები იანვრის ეგრეთ წოდებულ „საზაფხულო ტურნირების“ (მოგეხსენებათ, ეკვატორს ქვემოთ სეზონები ჩვენის საპირისპიროა) დროს გამოჩნდა. გუნდმა ვერც ერთი პრინციპული საწვრთნელი მატჩი ვერ მოიგო და ორჯერ დამარცხდა „რივერთან“ 1:3, 1:1 (პენალტებით 1:3).

შედეგად, ორ დღეში გადადგომის შესახებ ერთობლივი განცხადება გააკეთეს მთავარმა მწვრთნელმა **ალფიო („კოკო“) ბასილემ** და სპორტულმა დირექტორმა **კარლოს ბიანკიმ**. საინტერესოა, რომ ბასილე სწორედ ბიანკის კანდიდატურა გახლდათ - არგენტინული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე წარმატებულმა სპეციალისტმა თავად არ ისურვა სამწვრთნელო მოღვაწეობის განახლება და ამის ნაცვლად დირექტორატს ეროვნული ნაკრებიდან წამოსული ბასილეს დანიშვნა შესთავაზა. ექსპერიმენტმა არ გაამართლა, „ბოკამ“ წინა პირველობაც უსახურად დაასრულა და ვერც ახლისთვის მოემზადა სათანადოდ.

ვინაიდან ახალი თავკაცის ძებნის დრო აღარ რჩებოდა, „ბოკა“ სარეზერვო გუნდის მწვრთნელ **აბელ „ჩუეკო“ („ფეხებდაბრეცილი“) ალვესს** ჩააბარეს (გუშინ „კოლონთან“ განადგურების შემდეგ ალვესი მოხსნეს). „გააზნაურებულმა ყმამ“ ავტორიტეტის განმტკიცება თავიდანვე რეფორმების გზით გადაწყვიტა. მისი პირველივე გადაწყვეტილებები სადავო ჩანდა - ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდნენ 37 წლის მეკარე **რობერტო „პატო“ („იხვი“) აბონდანსიერი** და განაპირა 36 წლის მცველი **უგო იბარა**. განსაკუთრებით შეურაცხყოფილი დარჩა აბონდანსიერი, რომელსაც სარეზერვო გუნდის გამოუცდელი კიპერი **ხავიერ გარსია** ამჯობინეს. არგენტინის ნაკრების ყოფილმა გოლკიპერმა მაშინვე მოძებნა ახალი თავსაყუდელი და ბრაზილიურ „ინტერნასიონალში“ გადაბარგდა, სადაც მას სათანადო პატივით დახვდნენ და ვარსკვლავური სტატუსი დაუბრუნეს. შემთხვევითი არ არის, რომ „კოპა ლიბერტადორესის“ წლევანდელ გათამაშებაში ბრაზილიელები თავიანთ ჯგუფს დამაჯერებლად ლიდერობენ, აბონდანსიერომ კი 4 მატჩში მხოლოდ 2 გოლი გაუშვა. ახლახან, „პატომ“ რადიოინტერვიუში ირონიულად განაცხადა:

*„არ ვიმსახურებდი „ბოკადან“ გაგდებას და თავიდან დეპრესიაში ჩავვარდი, მაგრამ ბრაზილიაში დამაფასეს და ნდობა გამომიცხადეს. ახლა აზრი შევიცვალე და მინდა, ალვესს დიდი მადლობა გადავუხადო - ის რომ არ ყოფილიყო, პორტუ ალეგრიში ვერასოდეს მოვხვდებოდი და ვერც „კოპას“ მაძიებელთა შორის აღმოვჩნდებოდი. „ინტერნასიონალი“ თასის მოპოვების კანდიდატია, ალვესის ხელში კი ჩემს ყოფილ კლუბს კიდევ კარგა ხანს მოუწევს მაჩანჩალად ყოფნა. მინდა გთხოვოთ, გადასცეთ „ჩუეკოს“, რომ ჩვენ გამოკვეთილი ბომბარდირი გვაკლია და იქნებ, მარტინ პალერმოც გამოაგდოს, ჩვენ მას სიამოვნებით დავიმატებთ“.*

**მარტინ პალერმო** კლუბის მორიგი თავისტკივილია. ერთი მხრივ, მას კვლავ გააქვს გოლები და თავისსავე საკლუბო რეკორდებს აუმჯობესებს, თან **დიეგო მარადონაც** სწყალობს და სამუნდიალო განაცხადში ადგილს პირდება... მაგრამ შევხედოთ მეორე მხარესაც - პალერმოს ტყუილად არ ეძახიან „ლოკოს“ („გიჟი“). ის ძნელად მოსათვინიერებელი, არასტაბილურია და გუნდში ყოველთვის ნებისმიერ მწვრთნელზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

*„დღევანდელი რეალობა სამარცხვინოა. კლუბში იმიტომ დავრჩი, რომ „ბოკასთან“ ერთად ახალი გამარჯვებები მეზეიმა. დირექტორატმა სასწრაფოდ უნდა მონახოს კრიზისიდან გამოსავალი“*, - ამბობს 36 წლის პალერმო, რომელსაც უკვე „ესტუდიანტესის“ ემისრები ეკურკურებიან.

კიდევ ერთი პრობლემაა გამოკვეთილი ლიდერი და ასევე მძიმე ხასიათის მქონე **ხუან რომან რიკელმე**. როცა ის ფორმაშია (როგორც „სუპერკლასიკოში“), მისი თამაშის ყურება ერთი სიამოვნებაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს იშვიათად ხდება -





ბოკას მწვრთნელი აბელ ალვესი უკვე დაითხოვეს, მძიმე განაჩენი რივერის თავკაცს ლეონარდო ასტრადასაც ემუქრება

მუდმივი ტრავმები და აპათიის მოულოდნელი შემოტევები რიკელმეს პოტენციალის 50%-ის ჩვენების საშუალებასაც კი არ აძლევს. პრესაში გაჟონა ინფორმაციამ, რომ ზაფხულში ის განაახლებს მოლაპარაკებას „კორინთიანსთან“, სადაც **რონალდოსთან** მის შეწყვილებაზე ოცნებობენ. ისე, ამ დუეტის თამაში მართლაც კარგი სანახავი იქნება.

ამ ჭორებს უთუოდ მოემატებოდა დამაჯერებლობა, თუ „ბოკას“ პრეზიდენტი **ხორხე ამორ ამეალი** გუნდის მწვრთნელად **გილერმო ბაროს შელოტოს** დანიშნავდა. რაღაც პერიოდის შემდეგ შეიძლება ასეც მოხდეს, დროებით კი „ბოკას“ სარეზერვო გუნდის მწვრთნელი **რობერტო ტიტო პომპეი** მიხედავს...

ჩვენ კი 36 წლის ბაროს შელოტოს დავუბრუნდეთ. ტიტულების რაოდენობით (16) ის „ბოკას“ რეკორდსმენია და მწვრთნელობის ყველაზე რეალური კანდიდატიც გახლავთ, თუმცა... ბაროს შელოტო ჯერაც მოქმედი ფეხბურთელია, ამერიკული „ქოლამბუსის“ ლიდერად რჩება და კონტრაქტიც მომავალი წლის ბოლომდე აქვს გაფორმებული (ისე კი ამბობენ, კვირის ბოლოს ამერიკელებს გაშვებაზე შეუთანხმდებაო). რიკელმესთან ერთად ის „ბოკაში“ 7 სეზონი თამაშობდა და ბრწყინვალედ უგებდა რომანს, მაგრამ დღეს მათ ძალიან დაძაბული ურთიერთობა აქვთ. იმასაც ამბობენ, გილერმო მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება წინადადებას, თუ რიკელმეს გაყიდვის გარანტიას მისცემენო.

გულშემატკივრებს კი სხვა ფავორიტი ჰყავთ. სადღეისოდ, გაზეთ „ოლეს“ მკითხველთა შორის წარმოებულ გამოკითხვაში ალვესის სავარაუდო შემცვლელთა შორის 32%-ით ლიდერობს „ბოკას“ კიდევ ერთი ექსვარსკვლავი **დიეგო კანია**. სხვათა შორის, მის დანიშვნას ჩვენც ვვარაუდობდით წინასასეზონო მიმოხილვაში.

ფეხბურთელობისას კანიამ „ბოკასთან“ ერთად 10 სხვადასხვა ტიტული მოიპოვა. მერე მწვრთნელობა გადაწყვიტა და უპრეტენზიო „ტიგრე“ ჯერ პრიმერაში ალაზევა, ხოლო შემდეგ ორჯერ გახადა ვიცე-ჩემპიონი. დეკემბერში ის თავისი ნებით გადადგა - დავიღალეო და დღემდე უკეთეს წინადადებას ელის. მისი ერთადერთი მინუსი ისაა, რომ ამასწინდელ ინტერვიუში გამოტყდა - მთელი ცხოვრება „რივერს“ ვგულშემატკივრობო. თითქოს, დიდი არაფერი, მაგრამ „ბოკას“ ინჩადისთვის ამაზე დიდი „დანაშაული“ ძნელი წარმოსადგენია.

### რივერ პლეიტი

ალვესის გზას შეიძლება „რივერის“ მწვრთნელი **ლეონარდო ასტრადაც** გაუყენონ. ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც ის ინარჩუნებს თანამდებობას, კლუბის ღრმა ფინანსური კრიზისია და ახალ პრეზიდენტ **დანიელ ალბერტო პასარელას** არ ულირს შუა სეზონში მისთვის სოლიდური კომპენსაციის გადახდა. არადა, შედეგები „რივერს“ „ბოკაზე“ უარესი აქვს. მართალია, ჩემპიონატში ისინი თანაბრად უსახურად გამოიყურებიან, მაგრამ ასტრადამ ხომ „სუპერკლასიკოც“ პირწმინდად წააგო!

გასაკვირი არ არის, რომ აქაც ახალ მწვრთნელზე ალაპარაკდნენ. უპირველეს კანდიდატად **რამონ დიასი** სახელდება. ჯერ ერთი, ის სულით ხორცამდე რივერელია - საფეხბურთო კარიერის არგენტინული ნაწილიც „მილიონარიოსის“ რიგებში გაატარა და მწვრთნელობაც აქ დაიწყო. არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი მიღწევებიც - „პელადოს“ („ღარიბი“) თაოსნობით „რივერმა“ 5 ჩემპიონატი მოიგო (მეექვსე ტიტული დიასმა „სან ლორენსოში“ მუშაობისას მოიპოვა), თითოჯერ დაეუფლა „კოპა ლებეტადორესსა“ და „კოპა სუდამერიკანას“. და რაც მთავარია - მარადონას ყოფილი ძმაკაცი დიეგოსა და პასარელას ცნობილი კონფლიქტის დროს ამ უკანასკნელს მიემხრო და მას მერე „კაიზერის“ (პასარელას მეტსახელი) ერთგულ თანამებრძოლად ითვლება.

კიდევ ერთი ვარიანტია „ინდეპენდიენტედან“ **ამერიგო გალიეგოს** გადმობირება. ისიც ხომ ძირძველი რივერელია, თან პასარელას მეგობარია და ნაკრებში მისი ასისტენტიც კი იყო. თუმცა ეს გარიგება ნაკლებად სავარაუდოა, რადგან „ინდეპენდიენტე“ ახლა დამაჯერებლად ლიდერობს ჩემპიონატს, გამარჯვების შემთხვევაში კი მას იოლად არ შეელევიან.

აი, „რივერის“ ვეტერანებს კი ნებისმიერ შემთხვევაში რთული დროება მოელით. პირველ რიგში ეს **არიელ ორტეგას** ეხება. მისი გაუთავებელი ლოთობა და შემდგომი რეაბილიტაცია უკვე ყველას ყელში ამოუვიდა. ამჟამად 36 წლის „ბურიტო“ („ჩოჩორი“) მეოთხედ ლამობს გუნდში დაბრუნებას, მაგრამ არა გვგონია, მომავალ წელს ვინმემ კვლავ მოინდომოს მასთან თანამშრომლობა.

არც ტრავმებით გაწამებულ **მარსელო გალიარდოს** აქვს რაიმე გარანტირებული. ის ორტეგაზე 2 წლით უმცროსია და სულ უფრო უჭირს მაღალ დონეზე თამაში. ერთადერთი უხერხულობა ისაა, რომ აშშ-დან დაბრუნებულმა გალიარდომ კლუბს სრული ნდობა გამოუცხადა და კონტრაქტიც კი არ გააფორმა - გიჭირთ და ისე დაგეხმარებითო...

ანალოგიურ მდგომარეობაშია 36 წლის **მატიას ალმეიდაც**. ორწლიანი უმოქმედობის მერე ის ფეხბურთს მხოლოდ იმიტომ დაუბრუნდა, რომ ახალგაზრდებს „დალვინებაში“ დახმარებოდა და კრიზისში მყოფი კლუბისთვის ამით ოდნავი შვება მოეტანა. მიუხედავად ამისა, პასარელას ალბათ მაინც მოუწევს მტკივნეული გადაწყვეტილების მიღება. ყველაფერს თავისი დასასრული აქვს და გამონაკლისი ვერც ამ შემთხვევაში დაიშვება.

პრესაში უკვე გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ მომავალი სეზონიდან იგეგმება გუნდში ნახევარმცველ **ანდრეს დ'ალესანდროს** დაბრუნება. ერთდროს არგენტინის უნიჭიერეს პლეიმეიკერად მიჩნეული „კაბესონი“ („დიდთავა“) მეორე წელია ბრაზილიური „ინტერნასიონალის“ ლიდერია. ანდრესი კლუბს „კოპა სუდამერიკანასა“ და შტატის ჩემპიონატის მოგებაში დაეხმარა. თუმცა მისი ტრანსფერი არც ისე იოლი გასაჩარხი იქნება.

*„რივერის“ პრობლემები წინა პრეზიდენტის, ხოსე მარია აგილარის სინდისზეა. 2005 წლამდე კლუბი მუდმივად ჩემპიონობისთვის იბრძოდა და საერთაშორისო არენაზეც ბრწყინავდა, ახლა კი მაჩანჩალად იქცა და მე ვერ ვხედავ ჩიხიდან გამოსავალს. სიამოვნებით დავეხმარებოდი მშობლიურ კლუბს, მაგრამ „ინტერნასიონალთან“ კონტრაქტით კიდევ 2 წელი მაკავშირებს. თანაც, „რივერში“ დაავიწყდათ თავისიანების პატივისცემა. როცა 2008 წელს სამშობლოში დაბრუნება მოვინდომე, ამის შანსი „სან ლორენსომ“ მომცა, აგილარმა კი ჩემთან შეხვედრაც არ ისურვა. იმედია, პასარელა უფრო ჭკვიანი და ტაქტიანია“*, - განუცხადა დ'ალესანდრომ პროგრამა Esto es Futbol-ის კორესპონდენტს.

### პრეცედენტები

ბოლოს კი გავიხსენოთ ყველაზე გახმაურებული შემთხვევები, როცა არგენტინული გრანდები უცერემონიოდ იშორებდნენ დამსახურებულ ვეტერანებს. მაგალითად, 1988 წელს „ბოკას“ მწვრთნელად დანიშნულმა ლეგენდარულმა **ხოსე ომარ პასტორისამ** შემადგენლობიდან ამოაგდო მეკარე **უგო გატი** (მასაც „ლოკოს“, ანუ „გიჟის“ მეტსახელი ჰქონდა) და მისი ადგილი შემდგომში არანაკლები „სიგიჟით“ განთქმულ **კარლოს ნავარო მონტოიას** გადაულოცა. მონტოია კი, თავის მხრივ, **ალბერტო მარსიკოსა** და **კარლოს მაკალისტერთან** ერთად, 1995 წელს **კარლოს სალვადორ ბილარდომ** დაითხოვა.

იქამდე, 1990 წელს, **კარლოს აიმარმა** გუნდიდან გაუშვა კაპიტანი **კლაუდიო მარანგონი**. 2003 წელს „რივერში“ ადგილი დაკარგა ვეტერანმა მეკარემ **ანხელ კომისომ**, რომელიც მადრიდის „რეალის“ ახლანდელმა მწვრთნელმა **მანუელ პელეგრინიმ** დაიწუნა.

მსგავსი მაგალითები სხვა სახელოვან კლუბებშიც მრავლადაა. „ინდეპენდიენტეში“ მუშაობისას **სესარ ლუის მენოტიმ** არ დააფასა **ხორხე ბურუჩაგას** ღვაწლი. 1997 წელს **ხორხე კასტელიმ** და **ფერნანდო მეილემ** „სან ლორენსოდან“ გააძევეს კაპიტანი **ოსკარ რუჯერი**. ახლა კი ლა პლატის „ხიმნასიაში“ **დიეგო კოკა** 35 წლის **რობერტო სოსას** ტოვებს უმუშევრად...

წყალბურთი

# ნახევარფინალში გავიდა

პოლონურ გორჟოვში გუშინ დამთავრდა 1993 წელს დაბადებულ წყალბურთელთა ევროპის პირველობის საკვალიფიკაცო ტურნირის ჯგუფური ეტაპი. საქართველოს ნაკრებს A1 ჯგუფში პრინციპული მატჩი ჰქონდა ბელარუსის გუნდთან ნახევარფინალში გასასვლელად. პირველ პერიოდში რევაზ ჩომახიძის შეგირდები 2:1 დაწინაურდნენ, მეორე პერიოდი უშელავათო ბრძოლის შემდეგ ფრედ — 2:2 დამთავრდა, მესამეში კი ბელარუსებმა იყოჩაღეს - 2:0. ორთაბრძოლის ბოლო მონაკვეთი ჩვენმა ბიჭებმა მეტოქესს 1:0 მოუგეს და შეხვედრაც ფრედ — 5:5 დასრულდა, რაც ხელს აძლევდა საქართველოს ნაკრებს, რადგან სლოვაკებმა ბრიტანელებსაც დიდი ანგარიშით მოუგეს 20:3 (6:1, 5:1,, 4:0, 5:1) და A1 ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ. მეორე ადგილი ქართველებს ხვდათ. მესამე-მეოთხე ადგილები ინგლისელებმა და ბელარუსებმა გაინაწილეს.

მეორე ჯგუფში ბულგარელებმა დანიელები დაამარცხეს 6:2 (1:1, 0:1, 4:0, 1:0), ხოლო უკრაინელებმა პოლონელებთან დათმეს პაექრობა 12:15 (4:5, 3:4, 2:5, 3:1). ამრიგად, დღეს ნახევარფინალში ითამაშებენ: სლოვაკეთი-პოლონეთი, საქართველო-ბულგარეთი. მე-5 ადგილისთვის იბრძოლებენ: დიდი ბრიტანეთი-დანია, უკრაინა-ბელარუსი.

B ჯგუფი. ნეთანია (ისრაელი). მე-3 ტური. რუმინეთი-ჩეხეთი 21:10, შვეიცარია-ჰოლანდია 2:22, ისრაელი-რუსეთი 5:11.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# სამოსანთა ტრიო



ლიდერთა შეხვედრა მესამე ტურში

ავტორის ფოტო

თბილისში გრძელდება 20 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა. გუშინ მესამე ტურის შეხვედრები გაიმართა. გოგონებში განსაკუთრებით **მარიამ დანელიამ** იყოჩაღა - შავი ფიგურებით **სალომე ხაჲომია** დაამარცხა და გათამაშების ცხრილს ერთპიროვნულად ჩაუდგა სათავეში. ლიდერთაგან დაზავდნენ **სოფიკო გურამიშვილი** და **მადონა ბოკუჩავა, თინათინ ბერიძემ ფატმან რიჟამაძეს** სძლია, **ნანი უნაფქოშვილმა ნინო ანაკიძეს** მოუგო, **ქეთი წაწალაშვილმა ეკა გოგლიძეს** აჯობა.

ვაჟებში ორხელისუფლებიანობაა: 3-3 ქულა მოაგროვეს **გიორგი ნიკოლაშვილმა** და **ზვიად ფაციამ**, რომლებმაც, შესაბამისად, **დავით ბენიძე** და **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** დაჯაბნეს. **ლუკა პაიჭაძემ დავით ლომსაძესთან** გაიყო ქულა, ხოლო **ირაკლი ბერაძემ ოთარ მანგიაშვილს** გააჩერებინა საათი.

დღეს მე-5 ტურში ითამაშებენ: **გოგონები.** მარიამ დანელია (3)-სოფიკო გურამიშვილი (2,5), მადონა ბოკუჩავა (2,5)-თინათინ ბერიძე (2,5), ნანი უნაფქოშვილი (2,5)-სალომე ხაჲომია (2), ქეთი წაწალაშვილი (2)-ნატო იმნაძე (2), ლელა უგულავა (2)-ნათია ჯალაბაძე (2), ლიკა კობეშავიძე (2)-მარიამ სულამანიძე (1,5)... **ვაჟები.** ზვიად ფაცია (3)-გიორგი ნიკოლაშვილი (3), ლუკა პაიჭაძე (2,5)-ირაკლი ბერაძე (2,5), დავით ლომსაძე (2,5)-ბექა ფიფია (2), დავით ბენიძე (2)-დეა გოგიშვილი (2), ნიკა ვოლკოვი (2)-შალვა ნადირაშვილი (2), ბექა ახალაძე (2)-მირიან გენაძე (2).

**ვაჟა დანელია**

## სწრაფშიც მიზანსწრაფული

ბრძენთა თამაშის მოყვარულები ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ხედავენ 64-უჯრიან დაფასთან ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონ **ნონა გაფრინდაშვილს** (რეიტინგი — 2360), ცხადია, ვეტერანთა ტურნირებზე. ამ დღეებში ქართველი დიდოსტატი სალონიკიში იმყოფება, სადაც დღეიდან საჭადრაკო ფესტივალის პროგრამით სენიორთა ევროპის ჩემპიონატში ჩაებმება. გუშინ და გუშინწინ კი რაპიდში (სწრაფ ჭადრაკში) ცდიდა ძალებს. შვეიცარიული სისტემით 9 ტურად გამართულ პაექრობაში (თითოეულ მოჭადრაკეს პარტიისთვის 25 წუთი ეძლეოდა ყოველ სვლაზე 10 წამის დამატებით) სხვადასხვა ქვეყნის 32 წარმომადგენელი მონაწილეობდა. ნონა გაფრინდაშვილმა 9 შესაძლებლიდან 5,5 ქულა



მოაგროვა (4 მოგება, 3 ყაიმი და 2 წაგება) და საერთო ჩათვლაში მეექვსე-მეათე ადგილები გაინაწილა, ქალთა შორის კი პირველ ადგილზე გავიდა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა რუსი **ელენა ფატალიბეკოვა.** 4,5 ქულით მესამე იყო **ნატალია ტიტორენკო.** 4 ქულით თბილისელ **თამარ ხმიადაშვილს** მეხუთე ადგილი ხვდა.

ტურნირზე 7 ქულით პირველი ადგილი **ვიქტორ კუპრეიჩიკმა** (ბელარუსი) დაიკავა. 6,5-6,5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილები **ალგიმანტას ბუტნორიუსმა** (ლიტვა), **ვიტალი ცეშკოვსკიმ** და **ნიკოლაი პუშკოვმა** გაინაწილეს.

მასპინძლებს სწრაფ ჭადრაკში მოასპარეზეებისთვის უხვი პრიზები არ გაუმეტებიათ. პირველ-მეოთხე ადგილებზე გასულებმა, შესაბამისად, 500, 300, 200 და 150 ევრო დაიმსახურეს, ქალებში კი მხოლოდ გაფრინდაშვილს ერგო 150 ევრო. სამაგიეროდ, ვეტერანთა ევროპის ჩემპიონატში პირველ-მეექვსე ადგილოსნები 1500, 1000, 600, 400, 300 და 200 ევროთი დაჯილდოვდებიან, ქალთა შორის სამ საუკეთესოს კი 700, 500 და 300 ევრო გადაეცემა. ჩემპიონატის პირველი ტური დღეს გაიმართება.

## ბრძოლას დაზავება არჩიეს

კუალა-ლუმპურში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე ოთხი ტურის შემდეგ მხოლოდ ორი მოჭადრაკე მეწინავეობდა უდანაკარგოდ, რომლებსაც ნახევარ-ნახევარი ქულით ექვსი დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი ჩამორჩებოდა. დაწინაურებულთა ოქტეტი გუშინ ერთმანეთს დაუპირისპირდა. ყველა შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ: **ჰოუ იფანი** (ჩინეთი)-**ნგუენ ენ დუნი** (ვიეტნამი), **მიხეილ მჭედლიშვილი-ჯეიარამ ეშვინი** (ინდოეთი), **ჯურაბეკ ჰამრაკულოვი** (უზბეკეთი)-**ზიაურ რაჰმანი** (ბანგლადეში), **ჰოპად ვაპნილი** (ინდოეთი)-**სურანტო მეგარანტო** (ინდონეზია). ამგვარმა შედეგმა სამქულიანთა ერთ ნაწილს ექვსეულთან გათანაბრების საშუალება მისცა, რადგან ჰოუ იფანი და ენ დუნი 4,5-4,5 ქულით კვლავ გათამაშების ცხრილის სათავეში არიან. 13 მოჭადრაკეს 4-4 ქულა აქვს, მათ შორის — თბილისელ მჭედლიშვილს, რომელიც დღეს თეთრი ფიგურებით ჰოუ იფანს დაუპირისპირდება.

## ლიდერს მიუახლოვდნენ

დუბაის საერთაშორისო ტურნირზე სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ექვსი მოჭადრაკე ლიდერობდა. მეოთხე ტურში სწორედ ისინი შეხვდნენ ერთმანეთს. მათგან მხოლოდ ირანელმა **ეჰსან ჩაემ მაგამიმ** იყოჩაღა — შავი ფიგურებით ინდოელი **რავიჩანდრან თეჯასი** დაამარცხა და 4 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა. 3,5-3,5 ქულით მეორე-მეთერთმეტე ადგილებს 9 მოჭადრაკე ინაწილებს. მათ შორის არიან **ლევან ფანცულაია** და **თორნიკე სანიკიძე,** რომლებმაც, შესაბამისად, **მოჰენ შარბაფი** (ირანი) და **მარინა მაკროპულუ** (საბერძნეთი) დაამარცხეს. ჩვენებურთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **სტანისლავ სავჩენკო** (უკრაინა)-**თამაზ გელაშვილი** 0,5:0,5, **ელთაჯ საფარლი** (აზერბაიჯანი)-**კონსტანტინე შანავა** 0,5:0,5, **მერაბ გაგუნაშვილი-ბაბუ ლალითი** (ინდოეთი) 0,5:,5, **დავით არუთინიანი-ხოსლა შივენი** (ინდოეთი) 1:0, **ფაჰან მოჰანადი** (იორდანია)-**ნანა ძაგნიძე** 0:1, **სოფიკო ხუხაშვილი-ვინოდ ბჰაგვათი** (ინდოეთი) 0,5:0,5.

ქართველთა მონაგარი 4 ტურის შემდეგ: ფანცულაია, სანიკიძე — 3,5-3,5, შანავა, გაგუნაშვილი გელაშვილი, არუთინიანი — 3-3, ძაგნიძე — 2,5, ხუხაშვილი — 2 ქულა. მეხუთე ტურში ისინი მეტოქეებთან ასე დაწყვილდნენ: ფანცულაია — **ტიგრან კოტანჯიანი** (სომხეთი), სანიკიძე-**ალექსი ფედოროვი** (ბელარუსი), გელაშვილი-**რასულ იბრაჰიმოვი** (აზერბაიჯანი), **სვეიანგსუ სათიაპრაგიანი** (ინდოეთი)-გაგუნაშვილი, **შოჯაათ ჩეინი** (ირანი)-არუთინიანი, შანავა-**მიტრა ჰეჯაზიფოური** (ირანი), ძაგნიძე-**ზეინაბ მამედიაროვა** (აზერბაიჯანი), **მარვინ მარკოსი** (ფილიპინები)-ხუხაშვილი.

## ფინიშის სწორზე

ევროპის სასკოლო ჩემპიონატზე სალონიკიში გუშინ ერთბაშად ორი ტურის პარტიები გათამაშდა. 17-წლინებში **ზურაბ ჯავახაძემ** ჯერ თანაგუნდელი **გიგა დარსაველიძეს** სძლია, შემდეგ კი ბერძენი **მიხალის კოუკორაკისი** დაამარცხა და 6,5 ქულით კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს, თუმცა მისი ჩემპიონად მონათვლა ნაადრევია, რადგან მეორე ადგილზე მყოფი უნგრელი **კრისტოფ ჯურაჩი** მას მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება. დარსაველიძეს 4 ქულა აქვს. ამ ასაკის გოგონებში 6,5 ქულით ისევ აზერბაიჯანელი **ნარმინ ხალაფოვა** მეწინავეობს. **მერი არაბიძე** 5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებს ინაწილებს.

15-წლიანებში **ანა შამათავამ** 4,5 ქულა მოაგროვა, **გიორგი დანგაძემ** - ნახევარი ქულით ნაკლები. 13-წლიანებში **ვახტანგ ჩაჩხიანმა** საკუთარი მონაგარი 4 ქულამდე გაზარდა, **მარიამ წულაიამ** კი შვიდ ტურში 3 ქულას მოუყარა თავი.

შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტური დარჩა.

**ვაჟა დანელია**

კრივი

# მედლებით, ფულადი პრიზებით

საქართველოს მოკრივეები ნაკრების მთავარი მწვრთნელის **რამაზ ფალიანის** ხელმძღვანელობით ორკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე ერევანში იმყოფებოდნენ, რომლის დამთავრების შემდეგ იქვე საერთაშორისო ტურნირშიც ჩაებნენ. სომხეთის დედაქალაქის რინგზე 14-მა ჩვენებურმა მოსინჯა ძალები. 5 სპორტსმენი ნახევარფინალში გავიდა. გუშინ მათგან მხოლოდ გორელი **ბექა ლობჟანიძემ** (მძიმე წონა) გააღწია ფინალში და დღეს ოქროსთვის იბრძოლებს. **იროდი ონაშვილი** (რუსთავი, 54 კგ), **კობა ფხაკაძე** (ქუთაისი, 60), **ლევან კლდიაშვილი** (თბილისი, 81) და **დავით გოგიშვილი** (ვარიანი, 91) ბრინჯაოს მედლებით და 2000-2000 დოლარით დაკმაყოფილდნენ.

სომხეთიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს მოკრივეთა ნაკრები ბაკურიანში განაგრძობს მომზადებას ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელსაც ივნისში მოსკოვი უმასპინძლებს. 3 მაისს ჩვენი სპორტსმენები ალუშტაში გაემგზავრებიან და უკრაინელებთან ერთად გაივლიან საწვრთნელ შეკრებას.

**ვაჟა დანელია**

პროფესიული კრივი

# მარცხი ჰარდ როკში



აპრილის დასაწყისში რამდენიმე ჩვენმა თანამემამულემ გამართა სარეიტინგო ბრძოლა ან ორთაბრძოლა დაგეგმა. გარდა ამისა, 11 აპრილს თბილისში 6 შეხვედრა გაიმართება ქართველი, უკრაინელი, რუსი და ბელარუსი პროფესიონალი მოკრივეების მონაწილეობით.

მსუბუქწონოსანმა **სერგი განჯელაშვილმა** 2 აპრილს ლას ვეგასის კაზინო „ჰარდ როკში" 6-რაუნდიანი მატჩი წააგო ამერიკელ **მაიკლ პერესთან.** 27 წლის ქართველმა ქულებით (54:60, 54:60, 55:59) დათმო. განჯელაშვილს პროფესიონალებში 10 ორთაბრძოლა აქვს გამართული, რომელთაგან 4 მოიგო, 5 წააგო და ერთი ფრედ დაამთავრა. 23 წლის მსუბუქწონოსანი **ბექა საჯაია** კი საფრანგეთში პონ-სენ მაქსენსში დამარცხდა ფრანგ **ივან მენდისთან,** რომელიც ჯერჯერობით დაუმარცხებელია რინგზე. საჯაიამ 31-დან 20 შეხვედრა გამარჯვებით დაასრულა, 10 წააგო და ერთი ფრედ დაასრულა.

3 აპრილს შვეიცარიულ პალეზიოში 8-რაუნდიანი ორთაბრძოლა წააგო **ლევან ღარიბაშვილმა.** მისი მეტოქე მასპინძელი **ბენჟამინ პიტელო** იყო. ქვემსუბუქი წონის მოკრივე **გიორგი გაჩეჩილაძე** (54 კგ-მდე) 16 აპრილს ბრიტანულ უიგანში **კრეიგ ლიონს** ეჩხუბება. 28 წლის გაჩეჩილაძეს 7-დან 5 მატჩი აქვს მოგებული, მის მეტოქეს კი ჯერჯერობით ყველა, 9-ვე ორთაბრძოლა მოუგია პროფესიულ რინგზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კარატე

# დიდი წარმატება ლას ვეგასის დიდ კაზინოში




ამერიკის შეერთებული შტატებიდან თავაწევით დაბრუნებული ქართული კარატეს საუკეთესო წარმომადგენლები უკვე ახალი წარმატებისთვის ემზადებიან — წინ ევროპის ჩემპიონატია, რომელიც 7 - 9 მაისს ათენში გაიმართება.

თუმცა მანამდე საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციამ საზეიმო ვითარებაში ჩვენი ქვეყნის 30-ე საიუბილეო ჩემპიონატი ჩაატარა. სწორედ აქ დაკომპლექტდა საევროპოდ ეროვნული ნაკრები. ათენამდე კი ქართულმა კარატემ წლევანდელი სპორტული სეზონის პირველი გამოცდა წარმატებით ჩააბარა აშშ-ის ღია ჩემპიონატში 45 ქვეყნის ათასობით რჩეულ ათლეტთან პაექრობაში. ლას ვეგასში სამჯერ აფრიალდა საქართველოს დროშა.

„ჩვენმა სპორტსმენებმა არაერთხელ დაამტკიცეს, თუ რა შეუძლიათ მსოფლიოსა და ევროპის ტატამზე. მათ ამჯერადაც ასახელეს საქართველო — ღირსეულად ვეპაექრეთ მსოფლიო ფავორიტებს. ცნობისთვის ვიტყვი, რომ ასეთი მასშტაბების შეჯიბრებაში ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველად ვმონაწილეობდით. ნაკრების შვიდივე წევრმა წარმატებით დაიცვა ჩვენი ქვეყანის სპორტული ღირსება. 15-წლამდელებში თავი ისახელა შოთა გორელაშვილმა. მან ჯერ +60კგ-ში, შემდეგ აბსოლუტურ კატეგორიაში მოიპოვა ოქროს მედალი. 21-წლამდელებში ჰენრი ვეკუა (-75) იყო უძლიერესი, აბსოლუტურში კი ბრინჯაო ერგო. დავით ტყებუჩავა (-60) მეორე პრიზიორი გახდა. მის ძმას, ირაკლი ტყებუჩავას (-67) ტრამვმამ შეუშალა ხელი და ვერცხლის მედალს დასჯერდა. 21-წლამდელებში მეორე ადგილი დაიკავა ოთარ ვადაჭკორიამ (მძიმე). პირველად ქართული კარატეს ისტორიაში, მსოფლიო დონის ამ ჩემპიონატში გოგონებში ვერცხლი მოიპოვა ეკა ცანკაშვილმა (-50).

*ჩემპიონატი ლას ვეგასის ყველაზე დიდ კაზინოში „ცეზარ პალასში" ჩატარდა და ორგანიზატორებმა იგი კარატეს ნამდვილ დღესასწაულად აქციეს. იმედია, ოქროს მედლებს ევროპის ჩემპიონატზეც მოვიპოვებთ ათენში ",* — **აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნებულმა საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფერედაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ.**

**ნუგზარ ჭიაბერაშვილი,**
*საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეს-მდივანი*

თავისუფალი ჭიდაობა — ევროპის ჩემპიონატი



გიორგი გოგშელიძე

# თავისუფლები ბაქოს გზაზე

დღეს, საღამოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ბაქოში გაემგზავრება, სადაც 13-18 აპრილს ევროპის პირველობა გაიმართება თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. საქართველოს ჩემპიონატის შედეგების მიხედვით, „თავისუფალთა" ნაკრებში გამოსვლის უფლება **ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა** (55), **მალხაზ ზარქუამ** (60), **ოთარ თუშიშვილმა** (66), **გელა სალირაშვილმა** (74), **არჩილ ქიტიაშვილმა** (84) და **გიორგი გოგშელიძემ** (96) მოიპოვეს, რომლებიც ჩემპიონები გახდნენ. კიდევ ერთმა მონაწილემ, მძიმეწონოსანმა **დავით მოძმანაშვილმა** ეს უფლება საგანგებოდ გამართულ ტურნირში – ფალავნობაზე გამარჯვებით მიიღო, რაკილა დოპინგის მიღებისთვის დისკვალიფიცირებულს ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება იმხანად არ ჰქონდა. ორწლიანი უქმობის შემდეგ ის დიდ სპორტს უბრუნდება.

ეს ნაკრები იმდენად გადახალისებული არაა, როგორც ბერძენ-რომაელებისა, თუმცა გუნდში ორი დებიუტანტი მაინცაა – ხინჩეგაშვილი და ქიტიაშვილი. 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონატი ხელის ტრავმის გამო გორელმა **ბესარიონ გოჩაშვილმა** გამოტოვა, რითაც კარგად ისარგებლა მისივე თანაქალაქელმა ხინჩეგაშვილმა და ჩემპიონობა არავის დაუთმო. ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი, ახალგაზრდებში კი მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი ხინჩეგაშვილი ჯერ ძალზე ახალგაზრდაა - სკოლა შარშან დაამთავრა და ის სეზონიც ჩააგდო, რაც, სავარაუდოდ, წონის შეცვლამაც გამოიწვია და ასაკობრივი ნაკრებისამაც. ადრე ის 50 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოდიოდა და ის წარმატებებიც იქ მოიპოვა. თან მაშინ ჭაბუკთა ნაკრების პარალელურად ახალგაზრდებშიც გამოდიოდა, აი, მერე კი, როცა ახალგაზრდებში გადმოვიდა და ეროვნულ ნაკრებშიც ჩაერთო, ისე წარმატებით ველარ ჭიდაობს. თუმცა ამ კრიზისის დაძლევა დროის საკითხია – ამის გარანტია მისი ბუნებრივი მონაცემებია.

რაც შეეხება ქიტიაშვილს, ის 24 წლისაა და ამ წონისთვის უცხო არაა, მაგრამ, მოგეხსენებათ, აქ ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **რევაზ მინდორაშვილი** ჭიდაობს... პეკინის მერე მან ტაიმ-აუტი აიღო, თუმცა წლეულს დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ამის საშუალება ტრავმამ არ მისცა. მის არყოფნაში სათადარიგო ფალავანთა შანსები გაიზარდა, მაგრამ ამით ყველაზე უკეთ გურჯაანელმა ქიტიაშვილმა ისარგებლა.

გუნდმა ბოლო მოსამზადებელი ეტაპი დუშეთში, ოლიმპიურ ბაზაზე გაიარა, რომელიც გუშინ დაასრულა. საბედნიეროდ, ბოლო შეკრებამ ტრავმებისა და გართულებების გარეშე ჩაიარა, თუმცა პრობლემები მაინც რჩება. მათ შორის უმთავრესი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონისა და ოლიმპიური პრიზიორის თუშიშვილის ტრავმაა, რომელმაც წინა შეკრებაზე მხრის სამთავა კუნთი დაიზიანა, მაგრამ არც ისე ძლიერად და ინდივიდუალური გეგმით მაინც გააგრძელა ვარჯიში ევროპირველობისთვის. საბედნიეროდ, სხვები ჯანმრთელად არიან. გუნდის ლიდერებადაც თუშიშვილი და გოგშელიძე უნდა მივიჩნიოთ, რომლებსაც განსაკუთრებით მძიმე ბრძოლების გადატანა მოუწევთ მასპინძელ და რუს მეტოქეებთან. თუმცა ეს უფრო გოგშელიძეზე ითქმის. 66-ში რუსებს დებიუტანტი ეყოლებათ – იარიგინის ტურნირის ჩემპიონი **მაგომედმურად გაჯიევი**, აზერბაიჯანელთაგან კი ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი **ჯაბრაილ ჰასანოვი** იჭიდავებს. 96-ში რუსთა ღირსებას კიდევ ერთი დებიუტანტი (თუმცა იქ შვიდივე წევრი დებიუტანტია), **იური ბელონოვსკი** იჭიდავებს, აი, მასპინძლებს კი ძლიერი ფალავანი ჰყავთ, რუსეთიდან გადაბირებული ოსი **ხეთაგ გასიუმოვი**, ევროპის მოქმედი ჩემპიონი და მსოფლიოს შარშანდელი ვერცხლის პრიზიორი. ის ახლაც ხმამაღლა აცხადებს, რომ ტიტულს აუცილებლად დაიცავს.

აზერბაიჯანის ნაკრებმა შარშან ევროპის პირველობაზე ფურორი რომ მოახდინა, გამეხსოვრებათ – ისტორიაში პირველად მოიპოვა ოქროს ოთხი მედალი, თუმცა სწორედ ამის შემდეგ გაექცა დაღესტნელი მწვრთნელი **მაგომედხან არაცილოვი**. მისმა შემცვლელმა, ისევ დაღესტნელმა **საიპულა აბსაიდოვმა** ოთხივე ჩემპიონი იახლა – კიდევ ერთი ნატურალიზებული, ოღონდ ჩეჩენი **ზელიმხან ჰუსეინოვი** (60), ასევე დაღესტნელი **ჩამსულვარა ჩამსულვარაევი** (74) და აზერბაიჯანშივე მცხოვრები, ოღონდ წარმოშობით ასევე დაღესტნელი მძიმეწონოსანი **ალი ისაევი**. სხვა წონებში **მახმუდ მაგომედოვი** (55) და **შარიფ შარიფოვი** (84) იჭიდავებენ.

ცხადია, ჩვენი ნაკრების ფავორიტებზე საუბრისას არც მოძმანაშვილი უნდა დავივიწყოთ, მაგრამ, ვეჭვობთ, მას ორწლიანი გაცდენის შემდეგ გაუჭირდება.

ბოლოს, შეგახსენებთ, რომ 13-ში 55, 66, 84 და 120 კილოგრამი წონითი კატეგორიების ფალავნები იჭიდავებენ, ჩემპიონატს კი ქართველ მსაჯთაგან **ედიშერ მაჩაიძე** მოემსახურება.

**ირაკლი თავაძე**

სამბო — ევროპის პირველობა ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში

# სამბისტებიც, ოღონდ ჯერ უმცროსები

მოჭიდავეებისა და ძიუდოისტების მსგავსად, ევროპის პირველობისთვის სამბისტებიც ემზადებიან, ოღონდ ამათთან ეს მნიშვნელოვანი ტურნირი ჯერ ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში ტარდება, უფროსებში კი მოგვიანებით გაიმართება. კონტინენტის ასაკობრივ პირველობებს ბერძნული ბუდანია უმასპინძლებს, სადაც დღეს და ხვალ ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის თასი იმართება (ამაზე „ლელო" გუშინ წერდა). ჩვენი სამბისტები იქ 13 აპრილს გაემგზავრებიან, შეჯიბრება კი 16-18 აპრილს ტარდება.

ჭაბუკთა ნაკრების ღირსებას **გიორგი ნადარეიშვილი** (48), **გიორგი საჩალელი** (52), **გიგა გიუნაშვილი** (56), **გიორგი კაცია** (60), **გოჩა ვარძელაშვილი** (65), **მიხეილ ჩოხელი** (70), **თეიმურაზ ნიჟარაძე** (75), **ბექა რატიანი** (81), **ალექსანდრე მილდიანი** (87) და **სლავა რეზესიძე** (+87) დაიცავენ.

ახალგაზრდულ ნაკრებში **ლერი ჯიხვაშვილი** (48), **ვაჟა ლატარია** (52), **გენადი ჩირგაძე** (57), **გიორგი ტაბატაძე** (62), **ბესიკ შვანგირაძე** (68), **ზებედა რეხვიაშვილი** (74), **ვახტანგ სარაჯიშვილი** (82), **ზაზა დავაძე** (90), **შოთა მოწონელიძე** (100), **ლევან მუქერია** (+100) იჭიდავებენ.

წლეულს ასაკობრივი ცენზის გამო ორივე ნაკრები საგრძნობლად გადახალისდა, ჭიდაობის ქომაგი კი მონაწილეთა შორის მრავლად აღმოაჩენს ძიუდოისტებს. განსაკუთრებით ახალგაზრდულ გუნდში. მაგალითად, რეხვიაშვილი ძიუდოში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდადაა მიჩნეული და იქ ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონიცაა. ახალგაზრდებში ევროპის ვიცე-ჩემპიონია, ხოლო ჭაბუკებში ბრინჯაოს პრიზიორი მუქერია, დავაძე კი საქართველოს მასშტაბით ამ წონაში ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი ფალავანია.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# მიზანი: 670 ქულა, ანუ ასეული

2005 წლის მარტის შემდეგ ქართველებს რეიტინგის მოწინავე ასეულში წარმომადგენელი არ გვყოლია. სწორედ მაშინ დათმო ადგილი საჩოგბურთო ელიტაში **ირაკლი ლაბაძემ**, როცა სულ რაღაც 23 წლის იყო. შეგახსენებთ, რომ ირაკლის საუკეთესო შედეგი მსოფლიოს 42-ე ჩოგნობაა, რომელიც 2004 წლის ივლისით თარიღდება. დღეისთვის ტრავმებისგან გატანჯულმა 28 წლის ლაბაძემ ჩოგანი დააშალითა და მას მერე ვაჟთა შორის არც არავინ მიახლოებია ტოპ ასეულს (**ლადო ჩიხლაძის** მაქსიმუმი 350-ე პოზიცია იყო), ქალთა შორის კი ნარუმატებელი მცდელობა **მაკა ჩახნაშვილს** 2007 წელს ჰქონდა, ის მსოფლიოს 134-ე ჩოგანი იყო, მაგრამ მეტად წინ ველარ წავიდა და დღეისთვის მესამე ასეულშია. ახლა ორი ქართველი უტევს ასეულს, **ანა ტატიშვილი** (163) და **ოქსანა კალაშნიკოვა** (158).

რანგის მიხედვით, ჯერ კალაშნიკოვა უნდა გვეთქვა, მაგრამ ტატიშვილის მიერ პონტა ვედრაში ნაჩვენებმა ბრწყინვალე თამაშმა (მან WTA-ს ტურნირის მერვედფინალში გააღწია) ცხადი გახადა, რომ ორშაბათს ის საქართველოს პირველი ჩოგნის სტატუსს დაიბრუნებს - ანა 30 ქულას შეიმატებს და 372 ქულით დაახლოებით 150-ე - 155-ე ჩოგანი გახდება, ოქსანას მასზე 20 ქულით ნაკლები ექნება და რეიტინგში ალბათ 10 ადგილით დაბლა იდგება.

თუკი ტატიშვილი და კალაშნიკოვა სეზონს მსოფლიოს საუკეთესო ასეულში ჩაამთავრებენ, ეს ჩვენებურთა უდიდესი წარმატება იქნება. სეზონის ბოლომდე ბევრი დარჩა, თუმცა არც ასეულში შესვლაა იოლი საქმე - ამისთვის დაახლოებით 670 ქულის მოგროვებაა საჭირო. არ დაგვავიწყდეს, ჩოგბურთელებმა თან შარშანდელი ქულებიც უნდა „დაიცვან", რაც კიდევ უფრო ართულებს ამოცანას.

ოქსანა კალაშნიკოვა, რომელმაც ამ კვირაში დაისვენა, სამხრეთ აფრიკაში, იოჰანესბურგის საერთაშორისო ტურნირ „სოუეტო ოუფენზე" ითამაშებს. ოქსანა ძირითად ბადეშია, მისი მეტოქის ვინაობა კი ხვალ გაირკვევა. ტურნირის საპრიზო ფონდი 100 ათას დოლარზე მეტია.

ამასობაში ბელგიურ ტორჰაუში (50 ათასი დოლარი) ტურნირი დასრულდა მაკა ჩახნაშვილისთვის (211). წყვილთა თანრიგის ნახევარფინალში მან და მისმა მეწყვილე **ანა იოვანოვიჩმა** (263, სერბეთი) გერმანელებთან, **მონა ბარტელთან** (298) და **იუსტინ ოზგასთან** (339) წააგეს - 3:6, 3:6.

მაკა ისევ ბელგიაში რჩება, სადაც ტესენდერლოს ტურნირში მე-5 ნომრად განთესავენ. ამ შეჯიბრების საპრიზო ფონდი ორჯერ ნაკლებია, ვიდრე ტორჰაუს ტურნირისა. საკვალიფიკაციო ბადეში ჩაებმება **სოფიო შაფათავა** (357). ეგვიპტეში, სუეცის ტურნირის (10 ათასი დოლარი) მეოთხედფინალში სამი ჩვენებურია (**სოფიო ქვაცაბაია, თათია მიქაძე, ეკა გორგოძე**). ისინი მეოთხედფინალში წარუმატებლობის შემთხვევაში ქაიროს 25-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში გადაერთვებიან. ორშაბათს ასტანაში (ყაზახეთი) იწყება 10-ათასიანი ტურნირი, რომლის პირველი ჩოგანიც ეროვნული ნაკრების წევრი **მანანა შაფაქიძე** (456) იქნება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ანა ტატიშვილი გოვორცოვასთან მატჩისას

ყინულის ჰოკეი

# ხვალ დებიუტია

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა დონეცკური შეკრება დაასრულა, უკვე ერევანშია და მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე დივიზიონში უკონკურსოდ დებიუტისთვის ემზადება. უკრაინელი მწვრთნელის, **ევგენი ალიპოვის** ხელმძღვანელობით ჩვენმა გუნდმა დონეცკში ორკვირიანი ნაყოფიერი შეკრება გაიარა და ადგილობრივ გუნდებთან ოთხი საკონტროლო მატჩიც ჩაატარა. 2:5, 8:8, 3:4 და 6:1 – ასეთი ანგარიშები დაფიქსირდა იმ შეხვედრებში. ვფიქრობთ, საკმაოდ ნორმალური შედეგებია. სხვათა შორის, "დონეცკთან", რომელთანაც ახლა 3:4 წავაგეთ, ორი წლის წინანდელი შეკრებისას 0:12 გავნადგურდით...

ხვალ ერევანში საქართველოს ნაკრების მეტოქე სამხრეთი აფრიკის ნაკრები იქნება, ზეგ კი სომხეთის ეროვნულ გუნდს ვეთამაშებით.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფრენბურთი — საქართველოს ჩემპიონატი

# ჩემპიონი თბილისია

საქართველოს ფრენბურთელ ვაჟთა ჩემპიონატი თბილისის „თბილისმა" მოიგო. პლეი ოფის შეხვედრები ლაგოდეხში გაიმართა. ნახევარფინალში „თბილისმა" იოლად სძლია „ცაგერს" - 3:0, ხოლო „ბათუმს" წინააღმდეგობა ვერ გაუწია „მცხეთამ" - 1:3.

ჩემპიონობისთვის ბრძოლაში „თბილისმა" მშრალი ანგარიშით - 3:0 დაამარცხა „ბათუმი". ბრინჯაოს მედლები კი მოიპოვეს ცაგერელებმა, რომლებმაც მცხეთელებს მოუგეს - 3:1.

ლაგოდეხშივე გაირკვა უამლლეს ლიგაში გადმოსულთა ვინაობაც. მომავალ ჩემპიონატში „ლენტეხს" და „აგრარულ უნივერსიტეტს" ჩაანაცვლებენ „ქუთაისი" და „ყვარელი".

| საქართველოს ჩემპიონატი | |
|---|---|
| **ნახევარფინალი** | |
| ბათუმი-მცხეთა | 3:1 |
| თბილისი- ცაგერი | 3:0 |
| **მესამე ადგილისთვის** | |
| ცაგერი-მცხეთა | 3:1 |
| **ფინალი** | |
| თბილის-ბათუმი | 3:0 |

**ბესიკ ჯანგავაძე**

ხელბურთი

# ჩემპიონი ერთპიროვნულად გალიდერდა

გუშინ ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში ორი მატჩით საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპი დასრულდა. ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტისა და "თბილისის" გაერთიანებულმა გუნდმა დამაჯერებლად სძლია ფოთის "ფაზისს" – 43:22, ხოლო "ბათუმმა" სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა. აჭარელებმა თბილისის "ქარიშხალა" 38:25 დაამარცხეს.

საქართველოს ჩემპიონატის მესამე ეტაპი აპრილის ბოლოსაა დაგეგმილი.

| | თ | მ | ფ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სსაუ/თბილისი | 4 | 4 | 0 | 0 | 8 |
| 2. ქუთაისი | 4 | 3 | 0 | 1 | 6 |
| 3. ქარიშხალა | 4 | 1 | 0 | 3 | 2 |
| ფაზისი | 4 | 1 | 0 | 3 | 2 |
| ბათუმი | 4 | 1 | 0 | 3 | 2 |

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ლევან მაისაშვილთან

# A ნაკრებში მხოლოდ ღირსეულები ითამაშებენ


ლევან მაისაშვილი

**საქართველოს A ნაკრები ახლახან სამხრეთ აფრიკაში გამართული საწვრთნელი შეკრებიდან დაბრუნდა. ეროვნული ნაკრების უახლოესმა ცვლამ იქ ორი საკონტროლო შეხვედრა გამართა და საკმაოდ ნაყოფიერადაც ივარჯიშა. აფრიკელებთან საკმაოდ სერიოზულ, ჩვენი რაგბის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს ურთიერთობას ჩაეყარა საფუძველი. ამის შესახებ უკვე ვწერდით. ამჯერად ყურადღება კონკრეტულად A ნაკრებზე გვინდა გავამახვილოთ. სტელენბოშის აკადემიაში გატარებული ათი დღის პერიპეტიებზე ნაკრების მწვრთნელმა ლევან მაისაშვილმა გვიამბო:**

- სტელენბოშის აკადემია მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო რაგბის სკოლაა. ცხადია, ეს აკადემია შემთხვევით არ შეგვირჩევია. იქ საკმაოდ სერიოზული, მაღალი დონის სპეციალისტები მუშაობენ, რაშიც თავადვე უშუალოდ დავრწმუნდით.

**- პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ თქვენ და ნიკოლოზ ჭავჭავაძემ გუნდი მხოლოდ ორჯერ ავარჯიშეთ. დანარჩენ დღეებში როგორი იყო ნაკრების ვარჯიშის გრაფიკი და ძირითადად რით იყვნენ ბიჭები დაკავებულნი?**

- ვარჯიშების გრაფიკი წინასწარ გვქონდა შეთანხმებული. ნაკრებთან სტელენბოშის აკადემიის სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტები მუშაობდნენ. მაგალითად, ფეხით დარტყმის მწვრთნელი 2003 წლის მსოფლიო თასზე „სპრინბოკის" სათადარიგო მგეზავი იყო. უკანა ხაზის თამაშსა და უნარ-ჩვევებს ვესტერნ პროვანსის რეგიონის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი გვასწავლიდა. მორკინალებს დაცვასა და რაკში თამაშში „ვოდაკომის თასზე" მოასპარეზე ადგილობრივი გუნდის ყოფილი შერკინების კვაჭი ავარჯიშებდა. ის აგრეთვე ფიზმომზადების მწვრთნელიც იყო.

გუნდი დღეში ორჯერ ვარჯიშობდა. საკმაოდ ნაყოფიერი, დატვირთული წვრთნა გამოგვივიდა. მე და ნიკოლოზ ჭავჭავაძემ ნაკრები უშუალოდ თამაშისთვის მოვამზადეთ. მატჩის წინა დღეს, წესით, კაპიტნის, ანუ მსუბუქი ვარჯიში უნდა ყოფილიყო, მაგრამ რადგან სხვა დროს საშუალება არ გვქონდა, დრო ვიხელთეთ და გუნდი მთელი დატვირთვით ვავარჯიშეთ. ისე გამოვიდა, რომ მორაგბეებს დასვენების საშუალება არ მისცემიათ.

**- ცხადია, აფრიკელი სპეციალისტების მუშაობას ყურადღებით აკვირდებოდით. როგორც მწვრთნელმა, ახალი რა შეიძინეთ?**

- საქმე ისაა, რომ ორიოდ წლის წინ სამხრეთ აფრიკაში საკმაოდ ხანგრძლივ სტაჟირებაზე ვიყავი და რაც ამჟამად ვანახე, უცხო და ახალი არაფერი ყოფილა, თუმცა საკმაოდ ბევრი საგულისხმო ნიუანსი შევნიშნე.

ყველაზე მთავარი ის არის, მორაგბეს დაეხმარო, ვარჯიშზე ნასწავლი თამაშში სრულყოფილად გადაიტანოს. ველოსიპედს არავინ იგონებს. რაც იქ ვნახეთ, არაფერი ყოფილა ისეთი, რაც მანამდე არ გვინახავს და არ ვიცოდით, თუმცა უმნიშვნელოვანესი, რაც ვნახეთ, ის იყო, რომ უმნიშვნელო დეტალსაც კი უდიდესი ყურადღება ექცევა. ყველაფერი, ვარჯიშიც და თამაშიც, მცირე დეტალების ერთობლიობაა, თუ ერთი მაინც გამოგრჩა, გამოდის, რომ მთელი ძალისხმევა წყალში გეყრება.

მთავარია, მწვრთნელმა სწორად განსაზღვროს, როდის, რა ინტენსივობით და რის დამუშავებაზე ავარჯიშოს გუნდი. ყოველთვის, როცა ვაგებთ, ამას რალაცებს ვაბრალებთ, ხან მოთამაშეებს, ხანაც საკუთარ თავს ვადანაშაულებთ. სინამდვილეში კი, პრობლემა არასწორ მიდგომაშია. ვარჯიშზე ყველა დეტალი ზედმიწევნით უნდა დაიხვეწოს. ყველა ვარჯიშს კონკრეტული მიზანი უნდა ჰქონდეს. წვრთნის დაწყების წინ ეს მწვრთნელსაც და მორაგბეებსაც სრულად უნდა ჰქონდეთ გათვითცნობიერებული. ისე სრულყოფილებას ვერ მივაღწევთ. მართალია, ჩვენი და სამხრეთაფრიკელების საწვრთნელი პირობები, ინფრასტრუქტურა კარდინალურად განსხვავებულია, მაგრამ ვფიქრობ, სწორი მუშაობით მაინც შეგვიძლია განვვითარდეთ, მეტს მივაღწიოთ.

**- უკვე დაეტყო გუნდს აფრიკელი სპეციალისტებისგან მიღებული ცოდნა?**

- საკმაოდ გამოსწორდა რაკში თამაში. სხვა მიმართულებითაც ცდილობენ უკეთ გაისარჯონ. რამდენიმე მორაგბე ნაკრებში ჩემი გუნდიდან, „ლელოდანაა" და ვარჯიშისას ვატყობ, რომ სრულიად განსხვავებულად, ახლებურად უდგებიან საქმეს.

**- რამდენად გაამართლეს თქვენი იმედი ნაკრებში გამოძახებულმა მორაგბეებმა?**

- მორაგბეთა დიდი ნაწილის ძალიან კმაყოფილი ვარ როგორც ვარჯიშებზე საქმისადმი დამოკიდებულებით, ისე თამაშის ხარისხითაც. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც იმედები გაგვიცრუეს. ახლა საქართველოს ჩემპიონატი იწყება და მთელი წელიწადი წინ აქვთ. მათ უნდა დაამტკიცონ, რომ ნაკრებში თამაშს იმსახურებენ.

გაკეთდება საგულდაგულო სელექცია. საქართველოს ჩემპიონატის, საქართველოს თასისა და შავი ზღვის თასის გათამაშებების ყველა მატჩს ვიდეოფირზე გადავიღებთ. ყველა თამაშის ვიდეოანალიზს გავაკეთებთ და მოთამაშეებს ასე ავარჩევთ.

**- სამხრეთ აფრიკაში საქართველოს A ნაკრები წლეულს კიდევ ერთხელ, ნოემბრის ბოლოს გაემგზავრება. შემადგენლობაში სერიოზული ცვლილებები განხორციელდება?**

- ვეცდებით, ნოემბერში მაქსიმალურად ძლიერი გუნდი წავიყვანოთ. გვინდა, ვინც ეროვნული ნაკრების 26-კაციან სიაში ვერ ხვდება, ყველა A ნაკრებში დავაკავოთ, რათა მათ არ შეექმნათ სანაკრებო თამაშების გამოცდილების დეფიციტი.

ნოემბერში, ალბათ, ფრანგულ კლუბებთან ისევ შეგვექმნება პრობლემები, რადგან IRB-ის მიერ გამოყოფილი სანაკრებო მატჩების ფანჯარა იმ დროს არ ემთხვევა. ახლაც სხვადასხვა მიზეზის გამო სამხრეთ აფრიკაში რვა მორაგბე ვერ წავიყვანეთ.

ნაკრების წევრებს, როგორც უკვე ვთქვი, ძალიან გულდასმით შევარჩევთ. მით უფრო, რომ მასპინძლები ამჯერად ბევრად უფრო ძლიერ მეტოქეებს დაგვახვედრებენ. ლაპარაკია სამხრეთ აფრიკის ახალგაზრდულ ნაკრებსა და „ვოდაკომ კაპზე" მოასპარეზე „ბლუ ბულზის" მეორე გუნდზე. ცხადია, წასაგებად არ ჩავალთ, მაგრამ მოგებაც არ არის თვითმიზანი. მთავარია, ჩვენი მორაგბეები ასეთ სერიოზულ მეტოქეებთან ჭიდილში გაიზარდონ, დაიხვეწონ, კლასი აიმაღლონ. გარწმუნებთ, ჰოლანდიის, ბელგიისა და პოლონეთის დარ გუნდებთან ამას ვერაფრით შევძლებდით. სამხრეთაფრიკელებთან თანამშრომლობით კი, დარწმუნებული ვარ, შედეგს მალე მივიღებთ.


საქართველოს A ნაკრები-სტელენბოშის აკადემია

საქართველოს ჩემპიონატი


2009 წელი. ლელო-ლოკომოტივი

# სამი თბილისში, ერთი ბათუმში

დღეს საქართველოს ჩემპიონატი იწყება. პირველი ტურის შეხვედრებში გამოჩნდება, რამდენად ნაყოფიერად გამოიყენეს გუნდებმა მოსამზადებელი პერიოდი, ვის რა ამბიცია აქვს, თუმცა, ცხადია, დასკვნების გაკეთებაც ნაადრევი იქნება.

ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი „ლელო" ვაკეში, „ლოკომოტივის" სტადიონის სათადარიგო მოედანზე უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ „არმაზს" დაუპირისპირდება. ჩემპიონებმა შარშანდელი შემადგენლობა მთლიანად შეინარჩუნეს და ორი ახალი მოთამაშეც დაიმატეს. გუნდს დაუბრუნდა ახალგაზრდა, იმედისმომცემი მოთამაშე **გოდერძი ჯოგლიძე**, რომელსაც ტრავმის გამო შარშანდელი სეზონი გაუცდა.

რამდენიმე ახალწვეული ჰყავთ არმაზელებსაც. გუნდმა შარშან პირველ ლიგაში ითამაშა და მის რეალურ ძალაზე ლაპარაკი ნაადრევია. „არმაზს" რამდენიმე გამოცდილი მოთამაშე ჰყავს, რომელთა მზადყოფნაზე ბევრად იქნება დამოკიდებული ამ გუნდის ავ-კარგი, თუმცა სტატისტობას არც სხვები აპირებენ და საკმაოდ ამბიციურებიც არიან.

ჩვენი პროგნოზით, „ლელო" თუ მეტოქეს სათანადოდ შეაფასებს, მინიმუმ თხუთმეტი ქულით მოიგებს.

საკმაოდ დაძაბული და საინტერესო იქნება მეოთხე-მეხუთეადგილოსნების, თბილისის „ვისოლი ყოჩებისა" და ქუთაისის „აიას" დაპირისპირება. ეს შეხვედრაც ვაკეში გაიმართება, ოღონდ ორი საათით ადრე, 15 საათსა და 30 წუთზე დაიწყება. ეს გუნდები შარშან პლეი ოფში მოხვედრისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტები იყვნენ. ასე იქნება ამჯერადაც.

„ვისოლი ყოჩებში" წლეულს რეორგანიზაცია მოხდა. გუნდში ბევრი რამ შეიცვალა. მოიწვიეს ახალი მწვრთნელი. რუსეთიდან დაბრუნდა მგეზავი **თემურ სოხაძე**, რაგბის დაუბრუნდა ვეტერანი **დავით ცხვედიანი.**

ქუთაისის „აია" გამოცდილი და ახალგაზრდა მორაგბეების ნაზავია. ლიდერი აქ მოთამაშე მწვრთნელი **ბესიკ ხამაშურიძეა**. ტრავმებით გამოწვეული უიღბლო პერიოდი გადალახა და სეზონს კარგ ფორმაში ხვდება ეროვნული ნაკრების გარემარბი **ირაკლი ჩხიკვაძე**, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში „ანტილოპა" შუამარბის პოზიციაზეც გამოიყენებს.

ერთი სიტყვით, ვაკეში ტოლ-სწორი გუნდების ბრძოლა გაიმართება. გამარჯვების შანსი ორივე გუნდს თანაბრად აქვს. „ლელოს" ვერსიით, მოგებული მეტოქეზე ხუთ ქულაზე მეტს ვერ დააგროვებს.

ვარკეთილის მეურნეობის სარაგბო სტადიონზე მრავალგზის ჩემპიონი „ლოკომოტივი" საკმაოდ ამბიციურ და საინტერესო გუნდს, „აკადემიას" ეთამაშება.

რკინიგზელები, როგორც ყოველთვის, ახლაც მხოლოდ დიდი მიზნებისთვის იბრძოლებენ. გუნდი ერთი წლით გაიზარდა, სავარაუდოდ, კიდევ უფრო დაიხვეწა და ძნელი დასაჯერებელია, შარშანდელი შეცდომები გაიმეოროს. „ლოკომოტივის" პრობლემა წინა სეზონში უდისციპლინობა იყო, თუ **თემურ ბენდიაშვილმა** ამ ხარვეზის აღმოფხვრა შეძლო, წესით, გუნდს ჩემპიონობისთვის ბრძოლა არ უნდა გაუჭირდეს.

„აკადემიამ", მიუხედავად იმისა, რომ პლეი ოფში ვერ გააღწია, შარშან კარგი სეზონი ჩაატარა. გუნდის ხარვეზი - სათადარიგოთა მოკლე სკამი-აღმოფხვრილია და, წესით, აკადემიელები მედლების მოპოვების ერთ-ერთ მთავარ კანდიდატებად უნდა განვიხილოთ.

„ლელოს" პროგნოზით, უპირატესობა მაინც რკინიგზელთა მხარეს იქნება და მეტოქეს მინიმუმ ათი ქულით დაამარცხებენ.

პირველი ტურის ერთი შეხვედრა გაიმართება ბათუმში, სადაც ვიცე -ჩემპიონი „ბათუმი XV" რუსთავის „ხარებს" უმასპინძლებს. ბათუმელებმა, რომლებმაც შარშანდელ ჩემპიონატში სიურპრიზი შემოგვთავაზეს, მოსამზადებელ პერიოდში მთავარი მწვრთნელი დაკარგეს. **ლევან მგელაძე** „ვისოლი ყოჩებში" გადავიდა. თუმცა ის, რაც შარშან მოხდა, კანონზომიერი რომ იყო, „ბათუმი XV"-მა შვიდკაცა რაგბის ჩემპიონატის პირველ ეტაპზე დაამტკიცა. შავიზღვისპირელები ფინალში გავიდნენ, მაგრამ შვიდკაცა სხვაა, რაგბი სხვა. ბათუმელებს შარშანდელის გამეორება ძალიან გაუჭირდებათ, თუმცა, ეს შეუძლებელი სულაც არ არის.

რუსთაველები შარშან უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოდნენ. სავარაუდოდ, **დავით კაკაბაძის** ბიჭებს ისევ საამისოდ დასჭირდებათ დიდი ძალისხმევა. „ხარები" მებრძოლი, საინტერესო გუნდია და შეუძლია, ბევრი მოწინააღმდეგე გაამწაროს.

ამ გუნდების დაპირისპირება შარშან ბათუმში ფრედ დამთავრდა. „ლელოს" პროგნოზით, ამჯერად მასპინძლები მინიმუმ შვიდი ქულით მოიგებენ.

**საქართველოს ჩემპიონატი**

**I ტური**

**არმაზი-ლელო**
**ვისოლი ყოჩები-აია**
**ლოკომოტივი-აკადემია**
**ბათუმი XV-ხარები**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

NBA რეგულარული ჩემპიონატი

| ჩიკაგო-კლივლენდი | 109:108 |
|---|---|

28:28, 32:28, 22:24, 27:28

ჩ: როუზი (24+10 პასი), ჰაინრიხი (23), დენგი (22+10 მოხსნა), ნოა (17+15 მოხსნა+4 დაფარება), მილერი (12+5 მოხსნა).

კ: მ. უილიამსი (35+10 პასი), ჯეიმისონი (23+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), მუნი (14).

| საკრამენტო-კლიპერსი | 116:94 |
|---|---|

33:27, 30:20, 21:29, 32:18

ს: ევანსი (28+6 მოხსნა+7 პასი), ტომპსონი (22+15 მოხსნა), ლენდრი (14+10 მოხსნა), უდრიხი (12+3 ჩაჭრა), გარსია (12+5 მოხსნა), კასპი (11).

კ: კამანი (23+6 მოხსნა), გორდონი (21+5 პასი), გუდენი (17), დევისი (11+10 პასი).

| დენვერი-ლეიკერსი | 98:96 |
|---|---|

22:20, 35:27, 16:27, 25:22

დ: ენტონი (31+3 დაფარება), სმიტი (26+6 მოხსნა), ბილაპსი (12+6 პასი), ნენე (11+7 მოხსნა).

ლ: გასოლი (26+13 მოხსნა+5 პასი+3 დაფარება), არტესტი (22+6 მოხსნა), ბრაუნი (12), ფიშერი (10).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. x-კლივლენდი | 79 | 61 | 18 | 77.2 |
| 2. x-ორლანდო | 78 | 55 | 23 | 70.5 |
| 3. x-ბოსტონი | 78 | 49 | 29 | 62.8 |
| 4. x-ატლანტა | 78 | 49 | 29 | 62.8 |
| 5. x-მილუოკი | 78 | 44 | 34 | 56.4 |
| 6. x-მაიამი | 78 | 44 | 34 | 56.4 |
| 7. x-შარლოტი | 78 | 42 | 36 | 53.8 |
| 8. ტორონტო | 78 | 38 | 40 | 48.7 |
| 9. ჩიკაგო | 78 | 38 | 40 | 48.7 |
| 10. ინდიანა | 78 | 30 | 48 | 38.5 |
| 11. ნიუ იორკი | 78 | 28 | 50 | 35.9 |
| 12. ფილადელფია | 78 | 26 | 52 | 33.3 |
| 13. დეტროიტი | 78 | 25 | 53 | 32.1 |
| 14. ვაშინგტონი | 78 | 24 | 54 | 30.8 |
| 15. ნიუ ჯერსი | 78 | 11 | 67 | 14.1 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. x-ლეიკერსი | 78 | 55 | 23 | 70.5 |
| 2. x-დენვერი | 79 | 52 | 27 | 65.8 |
| 3. x-დალასი | 78 | 51 | 27 | 65.4 |
| 4. x-ფინიქსი | 78 | 51 | 27 | 65.4 |
| 5. x-იუტა | 79 | 51 | 28 | 64.6 |
| 6. x-პორტლენდი | 78 | 48 | 30 | 61.5 |
| 7. x-სან ანტონიო | 78 | 48 | 30 | 61.5 |
| 8. x-ოკლაჰომა | 78 | 48 | 30 | 61.5 |
| 9. ჰიუსტონი | 78 | 40 | 38 | 51.3 |
| 10. მემფისი | 78 | 39 | 39 | 50.0 |
| 11. ნიუ ორლეანი | 79 | 35 | 44 | 44.3 |
| 12. კლიპერსი | 79 | 27 | 52 | 34.2 |
| 13. საკრამენტო | 79 | 25 | 54 | 31.6 |
| 14. გ. სტეიტი | 78 | 24 | 54 | 30.8 |
| 15. მინესოტა | 78 | 15 | 63 | 19.2 |

*x - გავიდა პლეი ოფში*

**ქულა**

| | |
|---|---|
| კევინ დურანტი (ოკლ) | 30.0 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 29.7 |
| კარმელო ენტონი (დენ) | 28.4 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 27.1 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 26.5 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 25.5 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 24.7 |
| დენი გრეინჯერი (ინდ) | 24.2 |
| კრის ბოშ (ტორ) | 24.0 |
| ამარე სტაუდმაიერი (ფინ) | 23.0 |

**მოხსნა**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 13.2 |
| დევიდ ლი (ნ-იორ) | 11.9 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 11.8 |
| მარკუს კემბი (პორ) | 11.6 |
| კარლოს ბუზერი (იუტ) | 11.3 |
| კრის ბოში (ტორ) | 10.8 |
| ტროი მერფი (ინდ) | 10.4 |
| ჯერალდ უოლასი (შარ) | 10.3 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 10.2 |
| ენდრიუ ბოგუტი (მილ) | 10.2 |

**პასი**

| | |
|---|---|
| სტივ ნეში (ფინ) | 11.0 |
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 10.7 |
| დერონ უილიამსი (იუტ) | 10.5 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 9.8 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 9.1 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 8.6 |
| ბაირონ დევისი (კლიპ) | 8.0 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 8.0 |
| დევინ ჰარისი (ნ-ჯერ) | 6.8 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 6.5 |

**ჩაჭრა**

| | |
|---|---|
| რაჟონ რონდო (ბოს) | 2.4 |
| სტივენ კარი (გ-სტე) | 1.9 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 1.9 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 1.8 |
| ტრევორ არიზა (ჰიუ) | 1.8 |
| სტივენ ჯექსონი (შარ) | 1.7 |
| ანდრე იგუოდალა (ფილ) | 1.7 |
| ბაირონ დევისი (კლიპ) | 1.7 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 1.6 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლი) | 1.6 |
| კერონ ბატლერი (დალ) | 1.6 |
| ჯერალდ უოლასი (შარ) | 1.6 |

**დაფარება**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 2.8 |
| ენდრიუ ბოგუტი (მილ) | 2.5 |
| ბრენდან ჰეივუდი (დალ) | 2.1 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.1 |
| მარკუს კემბი (პორ) | 2.0 |
| სამუელ დალემბერი (ფილ) | 1.9 |
| კრის ანდერსენი (დენ) | 1.9 |
| კენდრიკ პერკინსი (ბოს) | 1.8 |
| ბრუკ ლოპესი (ნ-ჯერ) | 1.7 |
| პაუ გასოლი (ლეი) | 1.7 |




# ლიდერების გარეშე

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული ჩემპიონატი დასასრულს მიუახლოვდა და სეზონის ფინიში ბოლო დღეების მატჩებს აშკარად ეტყობა. გუშინ თავიანთი ლიდერების გარეშე ჩაატარეს შეხვედრები "კლივლენდ კავალიერზმა" და "ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" - **ლებრონ ჯეიმსსა** და **კობი ბრაიანტს** დასვენების საშუალება მიეცათ.

მათი უთამაშებლობის ოფიციალურ მიზეზად ტრავმები დასახელდა, მაგრამ ცნობილია, რომ "ლეიკერსსა" და "კავალიერზს" რეგულარული ჩემპიონატი აღარ აინტერესებთ. "კლივლენდმა" არა მარტო აღმოსავლეთ კონფერენციაში, არამედ მთლიანად ჩემპიონატში გაინაღდა გამარჯვება, "ლეიკერსს" კი შეიძლება მისი გუშინდელი მეტოქე - "დენვერ ნაგეტსი" დაეწიოს, მაგრამ ამ უკანასკნელს დასავლეთ კონფერენციაში პირველ ადგილზე გასვლის ერთპროცენტიანი შანსი აქვს. ძნელი წარმოსადგენია, რომ კალიფორნიელებმა ოთხი დარჩენილი შეხვედრა ("მინესოტა", "პორტლენდი", "საკრამენტო" და "კლიპერსი") წააგონ. ასე რომ, "დენვერი" უფრო მეორე ადგილის შენარჩუნებაზეა მობილიზებული და ამიტომაც მისთვის გუშინდელ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

"დენვერისა" და "ლეიკერსის" მატჩმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა, გამონაკლისი იყო თამაშის ერთი მონაკვეთი, რომლის დროსაც "ნაგეტსი" 10:2 გაიქცა და 12 ქულით დაწინაურდა. ამ სხვაობით მასპინძლები მხოლოდ 10 წუთი ლიდერობდნენ - მესამე მეოთხედის დასრულებამდე სამი წუთით ადრე **შენონ ბრაუნმა** მორიგი ზემოდან გდება შეასრულა და ანგარიში გაათანაბრა - 67:67.

საბოლოოდ, ყველაფერი ბოლო წამზე გადაწყდა - საფინალო სირენამდე ერთი წამით ადრე, როცა "დენვერი" ორი ქულით ლიდერობდა - 98:96. "ლეიკერსმა" სამქულიანის სასროლად **დერეკ ფიშერი** გაიყვანა. "ლეიკერსის" ვეტერანს რომ ჩაეგდო, "დენვერი" წააგებდა და კონფერენციაში ერთბაშად მეოთხე ადგილამდე დაეშვებოდა, მაგრამ მასპინძლები **კარმელო ენტონიმ** გადაარჩინა, რომელმაც დერეკს ბურთზე დაუფარა და თავის გუნდს ზედიზედ მეოთხე გამარჯვება გაუნაღდა.

# ბრაიანტს მსოფლიოზე უნდა

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** აღიარა, რომ ჯერ კიდევ აპირებს მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატში გამოსვლას, ოღონდ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ NBA-ის ოთხგზის ჩემპიონს ჯანმრთელობა შეუწყობს ხელს. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ **ლებრონ ჯეიმსმა** და **დუეინ უეიდმა** განაცხადეს, რომ გადატვირთული გრაფიკის გამო არ აპირებენ ამერიკის ნაკრებში თამაშს. ეს კალათბურთელები ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტები გახდებიან და ახალ კონტრაქტზე მოუწევთ ზრუნვა.

*"ძალიან მინდა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში, მაგრამ რამდენიმე პრობლემა მაწუხებს, კერძოდ, თითი მაქვს მოტეხილი. ჯეიმსი და უეიდი ზრდასრული ადამიანები არიან, რომლებიც თავად იღებენ გადაწყვეტილებებს. ყოველი დღის ბოლოს ისინი საკუთარ სხეულს უსმენენ და დასკვნებს აკეთებენ"*, - განაცხადა კობიმ.

ბრაიანტი ნაკრების გენერალური მენეჯერის **ბრაიან კოლანჯელოს** განცხადებასაც გამოეხმაურა. "დრიმ თიმის" შეფი დაემუქრა იმ კალათბურთელებს, რომლებიც არ აპირებენ თურქეთში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშს, რომ ისინი 2012 წლის ოლიმპიადის განაცხადში ვერ მოხვდებიან.

*"ეს მისი შოუა. კოლანჯელო ბრწყინვალედ ართმევს თავის მოვალეობებს, ასე რომ, საბოლოო გადაწყვეტილება მასზეა. ჩვენი ერთადერთი პრობლემა ისაა, უნდა შეიქმნას ძლიერი შემსრულებლების გუნდი, რომელიც კარგად იქნება შეთამაშებული"*, - დაამატა კობიმ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




ჩოგბურთი

# ვარსკვლავებს ტრავმები მოექალათ

მომავალ კვირას მონტე კარლოში პირველი სათიხნარო მასტერსი დაიწყება. უკვე ცნობილია, რომ პრესტიჟულ ტურნირს მამაკაცთა პროფესიული ტურის ორი წამყვანი მოთამაშე - არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო** და შვედი **რობინ სიოდერლინგი** დააკლდებიან.

დელ პოტროს კელავინდებურად აწუხებს მარჯვენა მაჯის ტრავმა. ამის გამო, არგენტინელმა არა მარტო მონაკოს, არამედ ბარსელონის ტურნირის გამოტოვებაც გადაწყვიტა.

აღდგომის შემდეგ, დელ პოტრო ამერიკის ქალაქ როჩესტერში ცნობილ სპეციალისტ **რიჩარდ ბერგერს** სტუმრობდა. გამოკვლევამ მაჯის მყესის ნაწილობრივი ანთება აჩვენა და მკურნალობის ორი კვირით გაგრძელებაც ამის გამო გახდა საჭირო. არგენტინელი 25 აპრილამდე ვერ დაბრუნდება კორტზე. ამ დღეს რომის მასტერსი იწყება, თუმცა უფრო რეალური ჩანს დელ პოტროს მადრიდის მასტერსზე (9-16 მაისი) თამაში.

აღნიშნული ტრავმის გამო დელ პოტრო ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ არ გასულა კორტზე.

სიოდერლინგმა მონაკოს მასტერსიდან მარჯვენა მუხლის გამო გამოიტანა განაცხადი. *"მუხლი ჯერ კიდევ მაიამის ტურნირის დროს მაწუხებდა. რაც მეტს ვთამაშობდი, ტკივილი მით უფრო მძაფრი იყო. ექიმმა შეამოწმა დაზიანება და მინიმუმ ერთი კვირით დასვენება მირჩია. ძალიან სამწუხარო ამბავია, რადგან მონტე კარლო ჩემი "საშინაო" ტურნირია. ახლა ერთი კვირა დავისვენებ და იმედია, ბარსელონაში შევძლებ თამაშს"*, - ამბობს სკანდინაველი ჩოგბურთელი.

■ ■ ■

კვლავ გადაიდო პროფესიულ ტურში რუსი **მარია შარაპოვასა** და ამერიკელი **სერენა უილიამსის** დაბრუნება. მსოფლიოს ყოფილმა და მოქმედმა პირველმა ჩოგნებმა უარი თქვეს ჩარლსტონის ტურნირში თამაშზე, რომელიც მომავალ ორშაბათს აიღებს სტარტს.

როგორც მარიას ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, უარის მიზეზი მარცხენა იდაყვის ტრავმაა, რომელიც რუსმა სამი კვირის წინ ინდიან უელსში მიიღო. შარაპოვა მაისის დასაწყისამდე არ აპირებს კორტზე გასვლას, რის შემდეგაც რომსა (2 მაისი) დ მადრიდში (8 მაისი) "პრემიერ" კატეგორიის ორ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. რუსის მთავარი მიზანი როლან გაროსისთვის ოპტიმალური ფორმის აღდგენაა.

რაც შეეხება სერენა უილიამსს, მას კვლავ აწუხებს მუხლის ტრავმა. სწორედ ამ დაზიანების გამო ამერიკელი ავსტრალიის ღია პირველობის მოგების შემდეგ არ გასულა კორტზე. სპეციალურ განცხადებაში უმცროსი უილიამსი წერს, რომ მკურნალობის პროცესი ჯერ არ დასრულებულა.



ოლიმპიზმი

## კანადას ახალი თავმჯდომარე ჰყავს

კანადის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე **კრის რაჯი**, რომელსაც ეს პოსტი შვიდი წლის განმავლობაში ეკავა, თანამდებობიდან გადადგა: *"მთელი ჩემი პროფესიული კარიერის განმავლობაში გაცნობიერებული მქონდა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო დროულად წასვლა, - ამბობს რაჯი სააგენტო "როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში. - მე წილად მხვდა პატივი, მონაწილეობა მიმეღო ვანკუვერის დაუვიწყარი თამაშების მომზადებასა და ჩატარებაში. კომიტეტის ახალ ხელმძღვანელობასა და ახალ საბჭოს კანადური სპორტის განვითარებაში წარმატებებს ვუსურვებ. ამისთვის მათ კარგი წინა პირობა აქვთ, რომელსაც 2010 წლის თამაშებზე ჩაეყარა საფუძველი"*.

რაჯის მემკვიდრის ვინაობა უკვე ცნობილია - ეს არის **მარსელ ობუ**, რომელიც თავის დროზე NHL-ის კლუბ "კვებეკ ნორდიქსის" პრეზიდენტი იყო.

ვანკუვერის ოლიმპიადაზე კანადამ თავის ისტორიაში საუკეთესო შედეგი აჩვენა - ოქროს 14 მედალი მოიპოვა და პირველი გუნდური ადგილი დაიკავა. კანადელები საშინაო თამაშებისთვის სპეციალური პროგრამით ემზადებოდნენ.

ჰოკეი

## კროსბი ხუთასიანი გახდა

"პიტსბურგ პინგვინზის" კაპიტანმა **სიდნი კროსბიმ** რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში "აილენდერსის" კარში ერთი შაიბა გაიტანა და სამი საგოლე პასი შეასრულა, რითაც კარიერაში თავისი მონაგარი 500 ქულამდე აიყვანა.

მიმდინარე სეზონში 22 წლის ჰოკეისტის ანგარიშზე 79 მატჩში 49 გატანილი გოლი და 55 შედეგიანი პასი მოდის. სულ კანადელმა კარიერაში 369 შეხვედრა ჩაატარა და 501 ქულა (181+320) დააგროვა.

ამ მომენტისთვის კროსბი 49 შაიბით პირველ ადგილზეა სეზონის სნაიპერთა დავაში. მას ერთი შაიბით ჩამორჩებიან "ვაშინგტონისა" და "ტამპა ბეის" ფორვარდები - **ალექსანდრ ოვეჩკინი** და **სტივენ სტემკოსი**.

## ოლ სტარს კაროლინა უმასპინძლებს

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ 2011 წლის "ყველა ვარსკვლავის მატჩი" RBC Center-ის არენაზე დაგეგმა, სადაც საშინაო მატჩებს ატარებს "კაროლინა ჰარიკეინზი". ეს ინფორმაცია გუშინ NHL-ის კომისარმა **გერი ბეტმენმა** დაადასტურა. შეხვედრა 30 იანვარს გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში ვარსკვლავური უქმეები ვანკუვერის ოლიმპიადის გამო არ ჩატარებულა.

*"ამ მომენტს დიდხანს ველოდით, - განაცხადა "კაროლინას" პრეზიდენტმა* **ჯიმ რუტერფორდმა** *- რამდენიმე წლის წინ დავპირდით გულშემატკივრებს, რომ "ყველა ვარსკვლავის მატჩის" მასპინძლობის უფლებას მივიღებდით. ამ დროის განმავლობაში უდიდესი სამუშაო გავწიეთ, მოვასწარით 2004 წლის დრაფტის გამართვა, ჩვენი გუნდი 2009 წელს კონფერენციის ფინალში გავიდა... ახლა მეტად აღელვებულნი ვართ ამგვარი პატივის გამო"*.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფორმულა 1



# ბრიატორე ბერნის ნაცვლად?

## ფერარი ფელიპე მასას შენარჩუნებას აპირებს

12 აპრილს "რენოს" ყოფილ შეფ ფლავიო ბრიატორეს 60 წელი შეუსრულდა. ცნობილმა იტალიელმა სპეციალისტმა ფორმულა 1 შარშან დატოვა, რისი მიზეზიც სინგაპურის გრან-პრიზე ბრაზილიელი ნელსინიო პიკეს წინასწარ დაგეგმილ ავარიასთან დაკავშირებული გახმაურებული საქმე გახლდათ.

მაშინ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიო საბჭომ სამუდამოდ მოკვეთა სპორტიდან იტალიელი, თუმცა მოგვიანებით ბრიატორემ წარმატებით დაიცვა საკუთარი უფლებები პარიზის სასამართლოში. ამის საპასუხოდ, ფედერაცია ახალ პროცესს ამზადებს. როგორი იქნება მისი შედეგები, ამას მოგვიანებით შევიტყობთ, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ერთ დღეს დონ ფლავიო ისევ დაუბრუნდეს ფორმულა 1-ის სამყაროს.

Sky Italia-თვის მიცემულ ინტერვიუში ბრიატორემ შემდეგი განაცხადა: *"მე, როგორც დამნაშავე, ისე გამაგდეს რბოლებიდან და არასოდეს დავბრუნდები ფორმულა 1-ში მენეჯერის როლში. მაგრამ არ არის გამორიცხული, 2012 წლის შემდეგ ისევ მიხილოთ ამ პრესტიჟულ სერიაში, ოღონდ სულ სხვა როლში"*.

როგორი იქნება ეს როლი? დადის ჭორები იმის შესახებ, რომ **ბერნი ექლსტოუნი** თავის მემკვიდრედ სწორედ ფლავიო ბრიატორეს ხედავს. იტალიელი კარგად არის ჩახედული ფორმულა 1-ის კომერციულ საკითხებში და ცნობილ სკანდალამდე ფორმულა 1-ის გუნდების ასოციაციაში შესაბამის განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

■ ■ ■

ამასობაში, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია 15 აპრილამდე მიიღებს იმ გუნდების განაცხადებს, რომლებსაც ყველაზე პრესტიჟულ სარბოლო სერიაში მე-13 საჯინიბოს ადგილის დაკავება სურთ. საბოლოო გადაწყვეტილებას ფედერაცია ივლისში გამოიტანს.

გუშინ ფედერაციაში შესაბამისი განაცხადი შეიტანა GP2-ის სერიის გუნდმა, რომელსაც "დურანგო" ჰქვია. ამ უკანასკნელმა სერიოზული ფინანსური პრობლემების გამო შარშანდელი სეზონის შემდეგ დატოვა GP2, მაგრამ ახლა გუნდის ბოსმა **ივან პინტონმა** ახალი ინვესტორები მოიძია და დაწინაურება გადაწყვიტა - GP2-ის ნაცვლად ფორმულა 1-ში გამოსვლის სურვილი გაუჩნდა.

*"დიდი ფიქრი არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ ყველაზე საინტერესო ამბები მხოლოდ ფორმულა 1-ში ხდება. ამ მიმართულებით უკვე დავიწყეთ მუშაობა და რაც მთავარია, ამისთვის სათანადო ფინანსური მხარდაჭერა გაგვაჩნია"*, - განაცხადა პინტონმა.

■ ■ ■

ბრაზილიელი **ფელიპე მასასა** და "ფერარის" კონტრაქტი 2010 წლის 31 აგვისტომდეა ძალაში და ბოლო ერთი კვირის განმავლობაში გაჩნდა ჭორი იმის შესახებ, რომ 2011 წელს იტალიურმა საჯინიბომ, შესაძლოა, მასას ადგილზე პოლონელი **რობერტ კუბიცა** მიიწვიოს. თუმცა გერმანული "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში გუნდის შეფმა **სტეფანო დომენიკალიმ** ეს ჭორი უარყო.

*"ჩვენი გუნდის მომავალს ფელიპეს ვუკავშირებთ*, - ამბობს დომენიკალი. - *ბოლო წლებში მან სერიოზულ პროგრესს მიაღწია და დღეს არაფერში ჩამოუვარდება ჩემპიონატის ყველაზე გამოცდილ პილოტებს"*.

"სკუდერიას" ხელმძღვანელმა ჟურნალისტებს ისიც განუცხადა, რომ "ფერარიმ" უკვე დაიწყო მუშაობა 2011 წლის მანქანაზე...

*"მომავალ წელს ორმაგი დიფუზორები აიკრძალება, ამიტომაც მანქანა სულ ახალი პროექტის მიხედვით შეიქმნება"*, - დაამატა დომენიკალიმ.

## ველოსპორტი

# ლენსი ჰოლანდიაში არ ირბოლებს

ლეგენდარულმა ამერიკელმა ველომრბოლმა **ლენს არმსტრონგმა** ტურ დე ფრანსისთვის უფრო ეფექტურად მოსამზადებლად დასვენება არჩია.

38 წლის არმსტრონგმა გასულ კვირას ბელგიაში მონაწილეობა მიიღო ფლანდრიის ტურში და იქ 27-ე ადგილი დაიკავა. ამერიკელი არ ითვლება ქვაფენილიანი გზების სპეციალისტად, ამიტომაც მისი შედეგი წარმატებად მოინათლა. როგორც ჩანს, ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონს ფლანდრიის ტურმა დიდი ძალები წაართვა და ამის გამო, ლენსმა უარი თქვა ჰოლანდიურ რბოლაში - "ამსტელ გოულდში" მონაწილეობაზე, თუმცა სეზონის წინ შედგენილ გრაფიკში ეს კლასიკური რბოლა შეტანილი ჰქონდა.

ამჟამად ამერიკელი საფრანგეთში იმყოფება, სადაც სტარტი აილო მეორეხარისხოვანმა რბოლამ (Circuit Cycliste Sarthe-Pays de la Loire), თუმცა არმსტრონგმა აქედანაც გამოიტანა განაცხადი. ლენსის გუნდ RadioShack-ის პრესატაშე **ფილიპ მარტენსმა** დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლეგენდარული სპორტსმენი მალე ამერიკაში გაემგზავრება დასასვენებლად.

არმსტრონგი "ამსტელ გოულდში" ოთხჯერ მონაწილეობდა და ორჯერ - 1999 და 2001 წლებში მეორე ადგილი დაიკავა. წელს სახელგანთქმული ჩრდილოური "კლასიკა" ჰოლანდიურ გზებზე 18 აპრილს გაიმართება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### იტალია

##### სერია B

| | |
|---|---|
| ფროსინონე-გალიპოლი | 2:0 |
| სალერნიტანა-პადოვა | 0:0 |

#### ესპანეთი

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ერკულესი-უესკა | 0:2 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| ბორუსია (მ)-აინტრახტი | 2:0 |

##### II ბუნდესლიგა

| | |
|---|---|
| ალემანია-კობლენცი | 1:1 |
| მიუნხენი-არმინია | 3:1 |
| პადერბორნი-ალენი | 2:0 |

#### საფრანგეთი

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ბასტია-ანჟერსი | 3:1 |
| დიჟონი-აიაჩო | 3:0 |
| ისტრი-სტრასბური | 2:0 |
| ლავალი-შატორუ | 0:0 |
| ჰავრი-არლი | 1:2 |
| ნიმი-კლერმონი | 0:1 |
| მეცი-სედანი | 1:1 |
| ტური-კაენი | 1:1 |
| ვანი-ბრესტი | 0:2 |

#### ჰოლანდია

| | |
|---|---|
| ვაალვიკი-ვიტესი | 4:1 |

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| კამბური-დენ ბოში | 1:0 |
| ექსელსიორი-ეინდჰოვენი II | 4:1 |
| დორდრეჰტი-ჰელმონდი | 0:1 |
| ომნივორლდი-გრააფსხაპი | 0:5 |
| ცვოლე-ვოლენდამი | 4:2 |
| ფორტუნა-იგლზი | 2:0 |
| მაასტრიხტი-როსენდაალი | 2:1 |
| ტელსტარი-ვეენდამი | 1:1 |
| ტოპ ოსი-აპელდოორნი | 1:0 |

#### ბელგია

##### I პლეი ოფი

| | |
|---|---|
| სტ. ტრუიდენი-ანდერლეხტი | 1:1 |

#### პორტუგალია

| | |
|---|---|
| ნავალი-ნასიონალი | 0:0 |

#### დანია

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ვიბორგი-ტისტედი | 0:1 |

#### შვედეთის თასი

| | |
|---|---|
| სირიუსი-სუნდსვალი | 2:3 |
| როსენგარდი-ანგელჰოლ. 2:2 დ.დ. | 2:3 |

#### ავსტრია

| | |
|---|---|
| რიდი-რაპიდი | 1:3 |

##### II ბუნდესლიგა

| | |
|---|---|
| აუსტრია (ლ)-ჰარტბერგი | 3:0 |
| აუსტრია A-გრატკორნი | 2:3 |
| დორნბირნი-ვენა | 2:1 |
| ტიროლი-ლუშტენაუ | 1:0 |
| სტ. პოლტენი-ზალცბურგი A | 2:0 |

#### თურქეთი

| | |
|---|---|
| გაზიანთეფი-მანიშა | 0:0 |

#### ირლანდია

| | |
|---|---|
| ბრეი-სლიგო | 2:3 |
| დანდალკი-უნივერსიტი | 3:0 |
| გალვეი-სპორტინგი | 2:2 |
| შემროკი-ბოჰემიანსი | 1:0 |
| სტ. პატსი-დროგედა | 0:1 |

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| დერი-მერვუ | 4:1 |
| ფორასი-ლონგფორდი | 1:0 |
| უოტერფორდი-ლიმერიკი | 2:1 |
| ფინ ჰარპსი-უექსფორდი | 2:1 |

#### უელსი

| | |
|---|---|
| ებერისტვიტი-ლანელი | 1:1 |
| უელშპული-სეფნი | 2:1 |

#### ჩეხეთი

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| დუკლა-ოპავა | 1:1 |
| იჰლავა-ვიქტორია | 2:0 |

#### პოლონეთი

| | |
|---|---|
| ზაგლებე-კრაკოვია | 0:0 |
| ლეხი-არკა | 2:0 |

#### უნგრეთი

| | |
|---|---|
| უიპეშტი-ზალაეგერსეგი | 2:1 |

#### უკრაინა

| | |
|---|---|
| მეტალურგი (ზ)-ობოლონი | 2:1 |

#### ბულგარეთი

| | |
|---|---|
| მინიორი-სლავია | 0:1 |

### კალათბურთი

#### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| როანი-ნანსი | 87:79 |

### ჰოკეი

#### კჰლ

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-მვდ | 1:3 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| ჰანოვერი-ინგოლშტადტი | 6:0 |
| ვოლფსბურ.-აუგსბურგი 2:2 დ.დ. | 0:1 |

#### დანია

| | |
|---|---|
| სიონდერიისკი-ოლბორგი | 5:0 |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-სლავია | 3:1 |

### ჩოგბურთი

#### ATP. კასაბლანკა

| | |
|---|---|
| კუბოტი-სტარაჩე | 1:6, 0:6 |
| ვავრინკა-ელ ამრანი | 6:3, 6:1 |
| გარსია ლოპესი-სერა | 2:6, 2:6 |
| გასკე-ჰანესკუ | 6:7, 6:4, 3:6 |

#### ATP. ჰიუსტონი

| | |
|---|---|
| კუერი-მასუ | 6:3, 3:6, 6:4 |
| ჰიუიტი-ჩელა | 4:6, 3:6 |

#### WTA. მარბელია

| | |
|---|---|
| სუარეს ნავარო-მალეკი | 4:6, 6:1, 6:2 |
| პენეტა-ჰალეპი | 6:4, 7:6 |
| აზარენკა-მარტინეს სანჩესი | 4:6, 0:6 |
| ერანი-გარსია ვიდაგანი | 6:7, 6:4, 6:3 |

#### WTA. პონტე ვედრა

| | |
|---|---|
| გოვორცოვა-ლეპჩენკო | 6:3, 6:2 |
| ვესნინა-ოუდინი | 6:2, 6:1 |
| ციბულკოვა-ვოზნიაკი | 7:5, 6:1 |

## TV პროგრამა

### 10 აპრილი. შაბათი

#### I არხი

14:00 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ყველა ვარსკვლავის მატჩი (LIVE).
16:30 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. დინამო-სიონი (LIVE).

#### SPORT 1 (უკრაინა)

17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ფრაიბურგი (LIVE).
20:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ბაიერნი (LIVE).
22:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-ინტერი (LIVE).
05:30 პროფესიული კრივი. ანდრე ბერტო-კარლოს კინტანა. აშშ (LIVE).

#### SPORT 2 (უკრაინა)

18:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-სანდერლენდი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-პარმა (LIVE).

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

18:55 ინგლისის ჩემპიონატი. ჰალი-ბარნლი (LIVE).
20:25 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ბაიერნი (LIVE).
22:40 იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-ინტერი (LIVE).

#### HTB-პლუსი (სპორტი)

17:10 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ოთხთა ფინალი. 1/2 ფინალი. სკრა (პოლონეთი)-დინამო (რუსეთი). პოლონეთი (LIVE).
20:10 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ოთხთა ფინალი. 1/2 ფინალი. ბლედი (სლოვენია)-ტრენტინო (იტალია). პოლონეთი (LIVE).
23:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა (LIVE).

#### HTB-პლუსი (ონლაინი)

11:55 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 75 კგ. მინსკი. ბელარუსი (LIVE).
14:55 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 94 კგ. მინსკი. ბელარუსი (LIVE).
17:55 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. +75 კგ. მინსკი. ბელარუსი (LIVE).
20:25 რაგბი. ჰაინეკენის თასი. 1/4 ფინალი. მანსტერი (ირლანდია)-ნორჰემპტონი (ინგლისი) (LIVE).
22:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ბორდო (LIVE).

#### EUROSPORT

15:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 94 კგ. მინსკი. ბელარუსი (LIVE).
18:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. +75 კგ. მინსკი. ბელარუსი (LIVE).
19:45 ქიორლინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. 1/2 ფინალი. კორტინა დ'ამპეცო. იტალია (LIVE).
21:40 ქიორლინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. მე-3 ადგილისთვის. კორტინა დ'ამპეცო. იტალია (LIVE).

#### EUROSPORT-2

13:15 ავსტრალიური ფეხბურთი. ავსტრალიის ლიგა. III რაუნდი. კარლტონი-ესენდონი (LIVE).
20:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/2 ფინალი. I მატჩი (LIVE).

### 11 აპრილი. კვირა

#### I არხი

19:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

#### რუსთავი 2

14:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

17:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-კატანია (LIVE).
22:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-ჯენოა (LIVE).

#### SPORT 2 (უკრაინა)

16:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-მანჩესტერ იუნ (LIVE).

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

14:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ფეიენოორდი (LIVE).
16:25 ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ბირმინგემი (LIVE).
20:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-ატლეტიკო (LIVE).
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-ვალენსია (LIVE).
01:20 არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი-ბანფილდი (LIVE).

#### HTB-პლუსი (სპორტი)

13:10 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ოთხთა ფინალი. მე-3 ადგილისთვის. პოლონეთი (LIVE).
16:10 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ოთხთა ფინალი. ფინალი. პოლონეთი (LIVE).
19:25 რაგბი. ჰაინეკენის თასი. 1/4 ფინალი. ტულუზა (საფრანგეთი)-სტად ფრანსე (საფრანგეთი) (LIVE).

#### HTB-პლუსი (ონლაინი)

13:55 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 105 კგ. მინსკი. ბელარუსი (LIVE).
16:55 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. +105 კგ. მინსკი. ბელარუსი (LIVE).
19:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-ვოლფსბურგი (LIVE).
22:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-ჯენოა (LIVE).
01:00 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი (LIVE).

#### EUROSPORT

13:15 ავტოსპორტი. ლე მანის სერია. რბოლა ამტანობაზე. ლე-კასტეეე. საფრანგეთი (LIVE).
14:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I რბოლა. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
15:005 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 105 კგ. მინსკი. ბელარუსი (LIVE).
16:00 ავტოსპორტი. ლე მანის სერია. რბოლა ამტანობაზე. ლე-კასტეეე. საფრანგეთი (LIVE).
16:30 ველოსპორტი. ველორბოლა პარიზი-რუბე. საფრანგეთი (LIVE).
19:30 კერლინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ფინალი. კორტინა დ'ამპეცო. იტალია (LIVE).

#### EUROSPORT-2

14:00 ავტოსპორტი. ლე მანის სერია. რბოლა ამტანობაზე. ლე-კასტეეე. საფრანგეთი (LIVE).
15:00 სუპერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
17:30 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
18:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/2 ფინალი. I მატჩი (LIVE).
20:00 კალათბურთი. ევროლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი. ფინალი (LIVE).

## ჰოკეი

### NHL რეგულარული ჩემპიონატი

#### ბოსტონი-ბაფალო 3:1

0:1, 1:0, 2:0

გოლები: 0:1 დ. როი-25 (გერბი-2, სტეფორდი-20), 1:1 შატანი-9 (კრეისი-33), 2:1 ვიდემანი-6 (სობოტკა-6, ველერი-20), 3:1 რეკი-18 (ხარა-36, ლუჩიჩი-10).

#### კაროლინა-მონრეალი 5:2

0:0, 2:1, 3:1

გოლები: 1:0 ე. სტაალი-27 (ი. იოკინენი-35, ლაროუზი-15), 2:0 ლაროუზი-10 (ე. სტაალი-40, კოსტოპულოსი-13), 2:1 ჯონტა-27 (მური-18, მარკოვი-26), 3:1 ე. სტაალი-28 (მაკბეინი-6, როდნი-9), 3:2 მ-ა. ბერჟერონი-12 (გომესი-45, ჯონტა-18), 4:2 ლაროუზი-11 (ე. სტაალი-41, მაკბეინი-7), 5:2 ე. სტაალი-29 (ლაროუზი-16).

#### პიტსბურგი-აილენდერსი 7:3

4:2, 2:1, 1:0

გოლები: 1:0 ორპიკი-2 (ტაილერ კენედი-12, კუკი-15), 2:0 გოლიგოსკი-8 (კროსბი-53, გონჩარი-37), 2:1 მოულსონი-28 (მტრაიტი-34, ტავარესი-28), 3:1 მალკინი-2, 3:2 ოკსპო-18 (ტამბელინი-7, ფ. მეიერი-10), 4:2 კროსბი-49 (დუპუი-18, გერინი-24), 4:3 ბეილი-16 (მტრაიტი-35, ენდრიუ მაკდონალდი-6), 5:3 გერინი-20 (კროსბი-54, გონჩარი-38), 6:3 ტაილერ კენედი-13 (ჯ. სტაალი-28, იტონი-12), 7:3 გერინი-21 (დუპუი-19, კროსბი-55).

#### ტამპა ბეი-ოტავა 4:3 (ბ)

2:0, 1:2, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 სენტ ლუისი-28 (სტემკოსი-43, ლუნდინი-8), 2:0 პურსელი-6 (ლუნდინი-9, მელოუნი-25), 3:0 სტემკოსი-48 (სენტ ლუისი-64, ფოსტერი-32), 3:1 ფოლინო-9 (ი. რუუტუ-14, კულენი-32), 3:2 სპეცა-23 (ალფრედსონი-50, ე. კარლსონი-21), 3:3 ფიშერი-25 (ალფრედსონი-51, სპეცა-34).

ბულიტები გაიტანეს: პურსელი (ტამპა ბეი).

#### ფლორიდა-ნიუ ჯერსი 3:2

0:0, 1:1, 2:1

გოლები: 0:1 ელიაში-17 (ზუბრუსი-17, პარიზე-41), 1:1 ფროლიკი-20 (პორტონი-35, ბალარდი-19), 2:1 დვორაკი-14 (ოლეში-15, მატიასი-8), 3:1 პორტონი-19 (გარისონი-6, ფროლიკი-22), 3:2 კლარკსონი-11 (მოტო-15, მარტინი-6).

#### დალასი-ანაჰაიმი 3:2 (ბ)

0:0, 1:1, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 რაიანი-33 (რ. კარტერი-5), 1:1 ბენი-22 (ლეპტინენი-13, მოდანო-16), 1:2 რაიანი-34 (პერი-47, ვინშნიევსკი-25), 2:2 მოდანო-14 (დელეი-15, ბენი-19).

ბულიტები გაიტანეს: მოდანო (დალასი), ლეპტინენი (დალასი).

#### კალგარი-მინესოტა 1:2 (ბ)

0:1, 1:0, 0:0, 0:0

გოლები: 0:1 კობესიუ-9 (ველმანი-3, ბერნსი-16), 1:1 დეივსი-15 (მოსი-9, კონროი-13).

ბულიტები გაიტანეს: ბერნსი (მინესოტა), მიეტინენი (მინესოტა).

#### ლოს ანჯელესი-ფინიქსი 2:3 (ბ)

0:0, 1:0, 1:2, 0:0

გოლები: 1:0 დაუტი-16 (კოპიტარი-46, ჯასტინ უილიამსი-19), 2:0 ჯ. ჯონსონი-8 (რ. სმიტი-30), 2:1 ლომბარდი-18 (ვოლსკი-41), 2:2 პიატი-12 (ზ. მიხალეკი-14, ფიდლერი-22).

ბულიტები გაიტანეს: კოპიტარი (ლოს ანჯელესი), ერბატა (ფინიქსი), ა. ოკუანი (ფინიქსი).

#### სან ხოსე-ვანკუვერი 4:2

1:0, 3:0, 0:2

გოლები: 1:0 პაველსკი-25 (ქლოუ-38, სეტოგუჩი-16), 2:0 კუტური-5 (ვლაშიჩი-13, ტ. მიტჩელი-8), 3:0 ჯ. ტორნტონი-20 (ჰიტლი-42, მარლო-39), 4:0 მალორტა-14 (ტ. მიტჩელი-9, დ. მიურეი-12), 4:1 დემიტრა-3 (პ. სედინი-79, დ. სედინი-55), 4:2 ალბერტსი-3 (რეიმონდი-27).

ეროვნული ბიბლიოთეკა


# მარტინას ახალი ბრძოლა

ქალთა ჩოგბურთის ლეგენდა **მარტინა ნავრატილოვა** ამერიკელი ჟურნალისტების წინაშე შოკისმომგვრელი განცხადებით გამოვიდა - 53 წლის ჩოგბურთელს მკერდის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. ექიმებმა ავთვისებიანი სიმსივნე დაგეგმილი შემოწმებისა და მამოგრამის დროს აღმოაჩინეს. *„ეს დიაგნოზი ჩემთვის პერსონალურ 11 სექტემბრად იქცა,* - აღიარა ყოფილმა ჩოგბურთელმა. - *ყვირილი და ტირილი მინდოდა. მეგონა, რომ ვაკონტროლებდი ჩემს ცხოვრებასა და საკუთარ სხეულს, მაგრამ ეს ასე არ ყოფილა“.*

ნავრატილოვამ უკვე დაიწყო მკურნალობა და სიმსივნის მოსაცილებლად ოპერაცია გაიკეთა, მაისში კი პარიზში გაემგზავრება, სადაც ოთხ ან ექვსკვირიან სხივური თერაპიის კურსს ჩაიტარებს. პარალელურად, საფრანგეთის დედაქალაქში მარტინა როლან გაროსის მატჩებს გაუკეთებს კომენტარს. ექიმებს მიაჩნიათ, რომ სახელგათქმული ჩოგბურთელის სიცოცხლეს ამ მომენტისთვის საფრთხე არ ემუქრება, რადგან კიბო ადრეულ სტადიაზე იქნა აღმოჩენილი. *„ასიდან მხოლოდ ერთი ქალი იღუპება ასეთი დიაგნოზით,* - ამბობს ქირურგი **შელი ხვანი**. - *ნავრატილოვას სრულად გამოჯანმრთელების ძალიან მაღალი შანსი აქვს“.*

ჩოგბურთელის სიტყვებით, ის არ აპირებდა თავისი ავადმყოფობის შესახებ საჯაროდ მოყოლას, მაგრამ ეს ნაბიჯი სხვა ქალების სტიმულირებისთვის გადადგა, რათა მათ ხშირად მიმართონ მკერდის კიბოს პროფილაქტიკას და ყოველწლიურად გაიკეთონ მამოგრამა. თავად ნავარტილოვა გამოკვლევაზე ბოლო ოთხი წლის განმავლობაში პირველად მივიდა. სტატისტიკის მიხედვით, ყოველ წელს ამერიკაში დაახლოებით 70 ათასი ქალი მიმართავს ექიმს მკერდის კიბოს დაავადებით. მაგრამ ნავრატილოვა უბრალოდ ქალი არ არის - ის სუპერვარსკვლავია და ამიტომაც მისმა ავადმყოფობამ სპორტის სამყაროში ნამდვილი შოკი გამოიწვია. ახლა მისი მისამართით ყველა მხრიდან მხარდაჭერის სიტყვები ისმის.



■ ■ ■

მარტინა ნავრატილოვა ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი ჩოგბურთელია ისტორიაში. ჩეხოსლოვაკიაში დაბადებული ჩოგბურთელი 18 წლის ასაკში გაიქცა ამერიკაში, სადაც ფენომენური კარიერა მოიწყო. ნავრატილოვამ ერთეულთა თანრიგში „დიდი სლემის“ 18 ტიტული მოიგო, აქედან ცხრაჯერ უიმბლდონზე გაიმარჯვა. ყოფილი ჩეხი 237 კვირის განმავლობაში ინარჩუნებდა მსოფლიოს პირველი ჩოგნის ტიტულს - ასეთი შედეგი ისტორიაში არავის ჰქონია. აქტიური კარიერის დასრულების შემდეგაც ის საოცარ სპორტულ ფორმას აჩვენებდა, როდესაც ტრიატლონისა და შაიბის ჰოკეის ტურნირებზე მონაწილეობდა.

2002 წელს, რვაწლიანი შესვენების შემდეგ მარტინა კორტზე დაბრუნდა და რამდენიმე სეზონი წყვილთა თანრიგსა და მიქსტში გამოდიოდა. 50-წლიან იუბილემდე ცოტა ხნით ადრე, მან პროფესიულ კარიერაში უკანასკნელად მოიგო „დიდი სლემის“ ტურნირი - მიქსტში გაიმარჯვა თანამემამულე **ბობ ბრაიანთან** ერთად.

■ ■ ■

ამჟამად ნავრატილოვა ამერიკელი პენსიონერების მოძრაობის აქტიური მხარდამჭერია. მისი მიზანია იმ ადამიანების ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, ვისი ასაკიც 50 წელს გადასცდა. უშრეტი ენერგია და ურთიერთობისთვის გახსნილი ადამიანი - პირველ რიგში სწორედ ამ თვისებების გამო აფასებენ ნავრატილოვას. 1981 წელს ის ერთ-ერთი პირველი სპორტსმენი გახდა, ვინც საქვეყნოდ აღიარა არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის შესახებ. მას შემდეგ ჩოგბურთელის პირადი ცხოვრება ამერიკული მასმედიის განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა. და ხშირად ეს ინტერესი საფუძველს მოკლებული არ ყოფილა - ნავრატილოვას პარტნიორები ცნობილი მანდილოსნები იყვნენ, რომელთა ლესბოსელობის შესახებ ვერავინ იფიქრებდა. როგორც წესი, ამერიკელი მათთან ურთიერთობას ყოველთვის ხმაურიანი სკანდალებითა და სასამართლო გარჩევებით ამთავრებდა. მარტინას ყოფილი შეყვარებულები იყვნენ - ცნობილი გოლფისტი **სანდრა ჰეინი** და ყოფილი მის ტეხასი - **ჯუდი ნელსონი**.

დიდხანს დამაინტრიგებელ ამბად ითვლებოდა ქალთა ჩოგბურთის მთავარი ვარსკვლავისა და ტრანსსექსუალ **რენე რიჩარდსის** ურთიერთობა - ეს უკანასკნელი მარტინას მწვრთნელი იყო. რიჩარდსი იმით გახლდათ ცნობილი, რომ მან სქესის შეცვლის ოპერაცია გაიკეთა - ქალი გახდა და ამის შემდეგ WTA-ის ტურნირებში გამოსვლის უფლება მიიღო. გასულ წელს კი მარტინამ ნიშნობა მოაწყო ყოფილ მის საბჭოთა კავშირთან, 36 წლის რუს ემიგრანტ **იულია ლემიგოვასთან**. ამასთან, ნავრატილოვა აგრძელებს განქორწინების პროცესს ყოფილ ცოლთან - **ტონი ლეიტონთან**. ეს უკანასკნელი ჩოგბურთელისგან მსხვილ მატერიალურ კომპენსაციას ითხოვს იმის სანაცვლოდ, რომ მათმა განქორწინებამ ტონის ემოციური და ფიზიკური ზიანი მოუტანა.




# ენდიმ სიყვარული დაიბრუნა

ბრიტანული ჩოგბურთის პირველმა ნომერმა **ენდი მიურეიმ** თავისი ყოფილი შეყვარებულის - **კიმ სირსის** დაბრუნება გადაწყვიტა. როგორც გაზეთი The Independent წერს, მთელი სააღდგომო არდადეგები ენდიმ ექსგერლფრენდის საზოგადოებაში გაატარა.

შეგახსენებთ, რომ დაახლოებით ხუთი თვის წინ მიურეიმ და სირსმა ოფიციალურად გამოაცხადეს ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ. გოგონამ ამის ერთ-ერთ მიზეზად Playstation-ის თამაშებისადმი ჩოგბურთელის ძლიერი გატაცება დაასახელა. კიმი ამბობდა, რომ ენდი მას საერთოდ აღარ აქცევდა ყურადღებას და მთელ თავისუფალ დროს „ჯოისტიკით“ ხელში ტელევიზორთან ატარებდა.

როგორც გაზეთი წერს, ცოტა ხნის წინ ენდიმ მკურნალობის სპეციალური კურსი გაიარა, რითაც თამაშებისადმი მანიაკური დამოკიდებულება მოიშორა და გაახსენდა, რომ ერთ დროს ეს მშვენიერი გოგონა უყვარდა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

